# სარბიელი

სპორტული გაზეთი · ოთხშაბათი 30 ივნისი 1999 №121 (894) · ფასი 50 თეთრი



ეროვნული ბიბლიოთეკა



2


## კარნევალეც დაგვიბარა

„ბათუმის“ ახალდანიშნული მწვრთნელი, იტალიელი ჯანი კარნევალე დროებით სამშობლოში გაემგზავრა. გუნდს კი მისი დანატოვარი კონსპექტით მოამზადებენ


3


## თსუ-ს მფლობელი გამოუჩნდა

კლუბის აქციათა საკონტროლო პაკეტი ტრანსკავკასიური ვეტერინარული კორპორაციის საკუთრება გახდა


7


## აბა, იაფად, იაფად!

მადრიდის „ატლეტიკო“ 19,7 მილიონ დოლარად შეძენილ ბრაზილიელ ჟუნინიოს 15,6 მილიონად ყიდის

წარსულში ცნობილი ქართველი ძიუდოისტის, ევროპის ორგზისა და მსოფლიოს ჩემპიონის კობა კურტანიძის მდგომარეობა კვლავაც მძიმეა, თუმცა სტაბილური.

ჯერჯერობით სიახლე ისაა, რომ კობამ ოდნავ აამოძრავა მარცხენა ხელ-ფეხი. ექიმები იმედოვნებენ, რომ უახლოეს ხანს პარალიზებულ მარჯვენა კიდურებსაც დაუბრუნდება მოძრაობის უნარი.

უკვე მეორე დღეა, კურტანიძის სამკურნალოდ თბილისში იმყოფება ცნობილი რუსი ნეიროქირურგი, პროფესორი ალექსანდრ პოტაპოვი. ავადმყოფი ჯერაც უგონოდაა, თუმცა ექიმების თქმით, მიღებული ტრავმისა და ორი ოპერაციის მერე მისი ამჟამინდელი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

შეგახსენებთ, რომ კურტანიძე 27 ივნისს უგონოდ მყოფი, თავის ქალის უმძიმესი ტრავმით იპოვეს.

CHAMPIONS LEAGUE · UEFA CUP

# სცენარი ევროთასებისთვის

## ჟენევაში ჩვენი წილიც იყრება

## დინამო
## ტორპედო
## ლოკომოტივი

დღეს ჟენევის სასტუმრო „ინტერკონტინენტალში“ ჩვენი დროით 15 საათზე 1999-2000 წლების ევროთასების შესარჩევი ეტაპის წილისყრა გაიმართება. დღესვე გაირკვევა უეფას თასზე ქუთაისის „ტორპედოსა“ და თბილისის „ლოკომოტივის“ უშუალო, ხოლო ჩემპიონთა თასზე თბილისის „დინამოს“ 2 სავარაუდო მეტოქე


ევროთასების ყველა მონაწილე და გათამაშების სისტემა იხილეთ მეექვსე გვერდზე


# უიმბლდონზე, ცხადია, გაწვიმდა

## ჩოგბურთელები კი გამოდარებას და დუშაშსელიან




REUTERS ფოტოქრონიკა

ეს ორი დღეა, პიტ სამპრასის, შტეფი გრაფისა და სხვა მათ დართა ნაცვლად ყურადღების ცენტრში უიმბლდონის ყველაზე ნაკლებად სასურველი სტუმარი — წვიმა მოექცა.

პირველი ხუთი დღის მანძილზე „ოლ ინგლენდ კლაბში“ წვეთიც არ ჩამოვარდნილა, მაგრამ თავსხმამ ქომაგებს ათასფერი ქოლგები აафრიალებინა, აქამდე უსაქმოდ მყოფი მუშაკები კორტებზე ბრეზენტის გადაფარებაში გაწაფა, ჩოგბურთელები კი — ნარდის თამაშში.

გუშინ დაგეგმილ ქალთა მეოთხედფინალებზე რომ არაფერი ვთქვათ, ჯერჯერობით მეთექვსმეტედფინალებიდანაც კი მხოლოდ ხუთის დასრულება მოხერხდა.

იღბლიანი მეოთხედფინალისტების, ელენა დოკიჩის მორიგი მსხვერპლისა და ბალახის ოსტატად ქცეული მოთიხნარის ამბებს კი მეთერთმეტე გვერდზე იხილავთ.

# სიჭინავას ნაცვლად კორღალიძე



ოთარ კორღალიძე

პირველ ლიგაში წლეულს აღზევებული თბილისის „თბილისი“ მომავალ სეზონს ახალი მთავარი მწვრთნელით შეხვდება. „თბილისის“ ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, გუნდს ამიერიდან ოთარ კორღალიძე გაწვრთნის. მას მუშაობაში რამაზ მუმლაძე დაეხმარება, რომელიც მანამდე კორღალიძის წინამორბედის — ბორის სიჭინავას თანაშემწე გახლდათ. თავად სიჭინავა ამჟამად საზღვარგარეთ იმყოფება პირად საქმეებზე, საქართველოში დაბრუნების შემდეგ კი არ არის გამორიცხული, „თბილისში“ სხვა თანამდებობაზე გააგრძელოს საქმიანობა.

„თბილისი“, რომელიც, მოგეხსენებათ, ყოფილი „დინამო 2“ გახლავთ, მეთერთმეტე ეროვნული ჩემპიონატისთვის თბილისში მოემზადება. როგორც იცით, „დინამო“ 3 ივლისს ჰოლანდიაში მიემგზავრება, „თბილისიც“ ამ შემთხვევით ისარგებლებს და შეკრებას დილმის ბაზაზე მოაწყობს. საქართველოში სხვაგან წასვლას, ისევ თბილისში ყოფნა გვირჩევნია, რადგან თითქმის ყველა ადგილობრივი კლუბი აქ აპირებს მომზადებას და სპარინგ-პარტნიორის გამოძებნის პრობლემა არ გვექნებაო, გვითხრა გუშინ ბატონმა ოთარმა.

მისივე თქმით, ჯერჯერობით უცნობია გუნდის რამდენიმე ფეხბურთელის მომავალი. ოთარ ხიზანეიშვილი და ზურაბ ხიზანიშვილი რომ „დინამოს“ ღირსებას დაიცავენ, უკვე გადაწყვეტილია. „დინამოში“ ბოსკამპის ზედამხედველობით „თბილისის“ კიდევ ოთხი ფეხბურთელი ვარჯიშობს — ვალერი აბრამიძე, ოლეგ გველესიანი, ლადო ბურდული და გიორგი მიქაძე. ვის დაიტოვებს მათგან ჰოლანდიელი სპეციალისტი, ჯერაც გაურკვეველია. ახალი ფეხბურთელების დამატებას კი კორღალიძე ჯერჯერობით არ აპირებს.

**ვანო ოქრობირიძე**

# ჯერ მხოლოდ მოდიან



ვასილ მაისურაძის (მარცხნივ) და ჯონი შალამბერიძის ორთაბრძოლა

იტალიურ კოვერჩანოში უეფა-ს უმაღლესი დონის ხუთდღიან კურსებზე ცოდნაგაღრმავებული დავით ყიფიანი გუშინწინ „ტორპედოს“ დაუბრუნდა და სალორიის ბაზაზე გუნდის წვრთნას განაგრძობს. ერთი კვირის წინ გაუწყეთ, რომ თავის პირველ ქუთაისურ ვარჯიშზე ყიფიანმა არსენალელ ზაზა ზირაქიშვილს, გორდელ კახა სიდამონიძეს, აგრეთვე „დინამო 2“, „დინამო 3“ და კახურ გუნდებს გამოვლილ ჭაბუკთა ხუთეულს უხმო.

ერთი კვირის თავზე ტორპედოელებს კიდევ 4 კაცი შეემატა. ა[...] ისინიც: ვიტჯორჯიელი ვასილ მაისურაძე, რომელიც შარშან ამ დრო[...] „ტორპედოს“ ინტერტოტოზე ერთ მატჩში დაეხმარა, ბოლო ხანს უზბეკეთს გადახვეწილი მერანელი გიორგი კვეტენაძე, მეათე ეროვნული[...] მეორე წრეში „ლოკომოტივისთვის“ გარჯილი ექსტორპედოელი შალვ[...] ხუჯაძე და „სამგურალის“ კაპიტან[...] მიხეილ მახვილაძე, რომელიც „ტორპედომ“ თავის დროზე წყალტუბოურ[...] კლუბში უვადოდ გაანათხოვრა. არა[...] გამორიცხული, ქუთაისელებს სულ[...] მალე დავით მუჯირიც შეუერთდეს.

დღესდღეობით ყიფიანის განკარგულებაში ძველახლებიანად 30 ფეხბურთელია. ხვალ ქვეყნის ვიცე-ჩემპიონი და თასის მფლობელი დედაქალაქ[...] ეწვევა და მარად ჩემპიონს ამხა[...] გურად გაეჯიბრება.

**იუზა ბაციტაძე ქუთაისიდა[...]**

# კარნევალემ დაგვიბარა

„ბათუმის“ მწვრთნელად იტალიელი სპეციალისტი, ახლო წარსულში იტალიური კლუბების — „ნაპოლისა“ და „რომას“ თავდამსხმელის, ანდრეა კარნევალეს სისხლით მონათესავე ჯანი კარნევალე რომ დაინიშნა, გუშინდელ „სარბიელში“ გაუწყეთ. დაინიშნა აპენინელი „ბათუმის“ მწვრთნელად და, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, დღეს იგი უკვე სამშობლოში ბრძანდება. სინიორ კარნევალე ბათუმში ამ დღეებში ჩასულა, გუშინ დილით კი, იტალიაში გადაფრენილა, თან დაუბარებია, სამ-ოთხ დღეში ჩამოვალ და ოფიციალურად მუშაობას მაშინ შევუდგები, თან საჭირო აქსესუარებსაც ჩამოვიტან, ხომ დამჭირდებაო.

მანამდე კი გუნდის მეორე მწვრთნელ ამირან გოგიტიძისთვის პროგრამა დაუტოვებია, ჩემს არყოფნაში ბიჭები ამ გეგმის მიხედვით ავარჯიშეო. გუშინდელ „სარბიელში“ ვწერდით, რომ ჯანი კარნევალე აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ასლან აბაშიძეს უნდა შეხვედროდა და სამომავლო გეგმებზეც ესაუბრათ, თუმცა ამ შეხვედრის შესახებ ვერაფერს გეტყვით, ვინაიდან „ბათუმის“ პრეზიდენტმა, თემურ ბეჟანიძემ გვითხრა:

— ამ შეხვედრას, სამწუხაროდ, ვერ დავესწარი და, სიმართლე გითხრათ, არც კი ვიცი, რაზე ისაუბრეს. ლაპარაკია კარნევალესა და „ბათუმს“ შორის ერთ ან ორწლიან კონტრაქტზე, მაგრამ ჯერ ცნობილი არაფერია. როდესაც იგი ჩამოვა, ყოველივე მაშინ გადაწყდება. ჯერ არ ვიცით, რამდენ ხანს მოისურვებს იგი დარჩენას.

მანამდე იყო ვარაუდი, რომ თუ „ბათუმში“ მართლა დაინიშნა იტალიელი, არაა გამორიცხული მან ერთიორი თვისტომი ფეხბურთელიც ჩამოიყვანოსო, მაგრა ამაზე უარი თავად კარნევალეს უთქვამს, ამ ეტაპზე ჯერ ასე სჯობს, მერე ვნახოთო.

ალბათ, გაინტერესებთ, ვისთან მოუწევს ახლადდანიშნულ ჯანი კარნევალეს მუშაობა? რა ცვლილებებია „ბათუმში“? და ბევრი სხვა რამ.

როგორც ჩანს, დღეს ქართულ გუნდებში მოდაშია, მოსამზადებელ ციკლში დაახლოებით 30-35 ფეხბურთელამდე ჰყავდეთ, ამათგან კი შემდეგ ის ოცდაორი-ოცდახუთი კაცი შეარჩიონ, ვის იმედზე ყოფნაც სულ ცოტა, ერთი წლის მანძილზე მოუწევთ. „დინამოში“, „ლოკომოტივში“, „ტორპედოში“, „დილაში“ დაახლოებით სამ ათეულზე მეტი ფეხბურთელი ვარჯიშობს, გამონაკლისი ამ მხრივ, არც „ბათუმია“.



გელა ქორიძე

დღეს, ზღვისპირელთა გუნდში არც მეტი, არც ნაკლები, 32 ფეხბურთელი ემზადება, ამათგან ვის დაიტოვებს ახალი მწვრთნელი, მისი გადასაწყვეტია, ოღონდ ის კი უკვე თქვა, კლუბში მხოლოდ 20 ფეხბურთელი დარჩებაო.

„ბათუმი“ 20 ივნისს ხელმძღვანელებიან-ფეხბურთელებიანად შეიკრიბა, საჩემპიონატო სამზადისს კი 21-დან შეუდგა.

გუნდი ამჟამად თბილისის „დინამოში“ მოვარჯიშე ლევან ხომერიკთან, დავით ჭიჭვეიშვილთან და თენგიზ სიჭინავასთან, აგრეთვე ფეხბურთისთვის თავმინებებულ ვეტერან როსტომ თოღლაშვილთან ერთად თავდამსხმელმა დავით მაქაცარიამ დატოვა. მან თავად ისურვა კლუბიდან წასვლა. ძველი შემადგენლობიდან დანარჩენი ყველა ადგილზეა. „ბათუმი“ ხუთმა ფეხბურთელმა კი დატოვა, მაგრამ სამაგიეროდ საკმაოდ სოლიდური შევსებაც მიიღო. მშობლიურ გუნდს დაუბრუნდნენ თბილისის „დინამოდან“ იოჰან ბოსკამპის მიერ დათხოვნილები — ამირან მუჯირი და თემურ ტუღუში.

გუნდში ვარჯიშობენ ყოფილი მერანელი ნახევარმცველი გელა ქორიძე და „ლოკომოტივიდან“ წამოსული მცველი ზურაბ არჩვაძე. ამათ გარდა ზღვისპირელებმა რამდენიმე ადგილობრივი ბიჭიც აიყვანეს, „კოლეჯიდან“ — კობიძე, ჩიჩუა და ბახტაძე, ქობულეთის „შუქურადან“ — მეკარე პაატა გაბუნია და მცველი სიხარულიძე. ახალგაზრდულ სპორტულ სკოლა „განათლების“ ოთხი აღზრდილი — დარჩიძე, ბეჟანიძე, თედორაძე და ქაცარავაც, რომლებიც ახლახან გივი ჩოხელის სახელობის თასზე მონაწილეობდნენ, „ბათუმში“ ვარჯიშობენ. გუნდშია ნიგერიელი ზანგი უჩე უკაკვეც.

ერთი სიტყვით, კარნევალეს ჩამოსვლამდე გუნდის მეორე მწვრთნელი, ამირან გოგიტიძე აპენინელის დანატოვარი საგანგებო გეგმის მიხედვით 32 ფეხბურთელს ავარჯიშებს. ჯერჯერობით „ბათუმი“ ადგილზე გაივლის მზადებას. წავლენ თუ არა ზღვისპირელები ბოლო დროს მიჩვეულ უცხოურ შეკრებაზე, ეს თავად ახალი თავკაცის გადასაწყვეტია. ისე, არაა გამორიცხული, კარნევალემ „ბათუმი“ შეკრებაზე იტალიაშიც კი წაიყვანოს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ თანხები გამოინახა. თუმცა ერთი, ალბათ, უეჭველია, X ჩემპიონატში მეხუთე ადგილზე გასული გუნდი ახალი სეზონისთვის ნაყოფიერად მოსამზადებლად უცხოურ შეკრებას ნამდვილად მოიწყობს.

„ბათუმის“ შესახებ ჯერჯერობით სულ ეს არის. დანარჩენი მერე იყოს. ჰო, მართლა, ისე როგორ იქნებოდა, „ბათუმის“ პრეზიდენტ თემურ ბეჟანიძეს, გუნდის აწ უკვე ყოფილ მწვრთნელზე, შოთა ჭეიშვილზე არ დავკითხებოდით:

— მოგეხსენებათ, როდესაც „ბათუმის“ მწვრთნელად ჯანი კარნევალე დაინიშნა, შოთას მისი თანაშემწეობა შევთავაზეთ, მაგრამ მან უარი თქვა. მითხრეს, თითქოს მას რუსთავის „გორდა“ და გორის „დილა“ იწვევდა, მაგრამ ზუსტად ვერ გეტყვით, არ ვიცი. მე და შოთას დიდი ხნის მეგობრობა გვაკავშირებს ერთმანეთთან და ერთგვარად გულიც კი მწყდება, რომ იგი ჩვენთან ერთად არ იმუშავებს.

„ბათუმის“ მწვრთნელყოფილი შოთა ჭეიშვილი დღესდღეობით თბილისშია. მას ტელეფონით დავუკავშირდით, მაგრამ ბატონმა შოთამ გვითხრა, ბოდიშით, ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით, არ მსურს ამ თემაზე ლაპარაკიო და თავაზიანად დაგვემშვიდობა.

**გიორგი ვაშაკიძე**

# მხოლოდ საქმით

თბილისური „ვიტ ჯორჯია“ ის გუნდია, რომელმაც თითქმის ბოლომდე შეინარჩუნა ადრინდელი შემადგენლობა.

მეათე ჩემპიონატში ძლევამოსილი მეორე წრის შემდეგ გუნდმა მოსამზადებელი ეტაპი დაიწყო და ამის შესახებ „სარბიელმა“ უკვე გაუწყათ.

ძირითად ბირთვს მხოლოდ ერთი მოთამაშე დააკლდა. კლუბის ხელმძღვანელმა გაითვალისწინა ლიბერო ვასილ მაისურაძის დამსახურება „ვიტ ჯორჯიას“ წინაშე და ფეხბურთელის სურვილს წინ აღარ აღსდგომია.

„მაისურაძემ ჯერ კიდევ შარშან დააპირა უცხოეთში წასვლა და ჩვენც მივაღწიეთ შეთანხმებას, რომ ხელს არაფერში შევუშლიდით. მას სრული უფლება მივეცით, საკუთარ მომავალზე თავად ეზრუნა, ასე რომ ერთმანეთს კეთილი სურვილებით დავცილდით“ — გვითხრა „ვიტ ჯორჯიას“ პრეზიდენტმა გურამ რუხაძემ.

ერთი მოთამაშე წავიდა, მაგრამ გუნდს ორი უკვე შეემატა. გუშინ ოფიციალურად გაფორმდა კონტრაქტები ვალერი კოტორაშვილთან და გურამ მეტრეველთან.

შარშანდელ ჩემპიონატში კოტორაშვილი „ლოკომოტივის“ შემადგენლობაში ირიცხებოდა და მინდორზე ძალიან იშვიათად უწევდა გამოსვლა, ხოლო მეტრეველი „აკადემიის“ ღირსებას იცავდა.

„ვიტ ჯორჯიაში“ კიდევ რამდენიმე მოთამაშე ისინჯება და მათ[...] საკითხი მოგვიანებით გაირკვევა.

ყველაზე მთავარი მაინც ის გა[...]ხლავთ, რომ ვეტერინარები მიზან[...] ნაბიჯ-ნაბიჯ, საქმის კეთებით უახ[...]ლოვდებიან. ყოველნაირად ორგანი[...]ზებულ კლუბში საკუთარი მოვალეო[...]ბისადმი სერიოზული მიდგომა ტრა[...]დიციად იქცა. პროფესიონალიზმი[...] ხომ მეტი არაფერია.

**მამუკა ძვანტალიან[...]**

# გაფრთხილდით, ვიწყებთ!

სხვა რომ ყოფილიყო მათ ადგილზე, არ გამიკვირდებოდა, მაგრამ ახალი ჩემპიონატისთვის გორელთა ნაადრევი სამზადისი რას უნდა მიეწეროს, გაუგებარია.

ალბათ, მაინც იმას, რომ გორში ფეხბურთისკენ ის ხალხი შემობრუნდა, რომელთა ადგილიც სწორედ აქაა და არსად სხვაგან.

გორის „დილას" ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს. მერაბ ხუციშვილი ადრინდელ „დილაში" მუდამ გამორჩეული მოთამაშე ყოფილა. გუნდის სული და გული იყო, ასე იხსენებენ მას სტაჟიანი გულშემატკივრები. ხუციშვილს არც სამწვრთნელო გამოცდილება აკლია. მისი გაწვრთნილი „ქართლი" თავის დროზე საქართველოს ჩემპიონიც კი იყო. გუნდს შერჩენილი ვეტერანებიც ხომ მის ხელში გაზრდილ-დავაჟკაცებულან.

მერაბ ხუციშვილი ბოლო დროს ფეხბურთს ჩამოშორდა, სხვა საქმიანობას ეწეოდა. „დილაში" დაბრუნებულმა პირველად რაც გააკეთა, ეს იყო — ყოფილი მთავარი მწვრთნელი ივანე თაყაძე დაიყენა გვერდში. რაც არ უნდა იყოს, შინაურ სამზარეულოში იგი უკეთ არის გარკვეული.

სანამ კლუბის თავკაცები საბოლოო არჩევანს გააკეთებდნენ, მანამ არაერთი მწვრთნელის კანდიდატურა განიხილეს. იყო საუბრები „ბათუმიდან" აწ უკვე წამოსული შოთა ჭეიშვილის შესახებ, მაგრამ გორელებმა უცხოს ისევ შინაური არჩიეს. თანაც ხუციშვილ-თაყაძის დუეტს ფეხბურთელებმაც დაუჭირეს მხარი.

ადრინდელი პრინციპი არას გვარგებსო, თქვეს კლუბის ხელმძღვანელებმა და სერიოზული გუნდის შექმნა გადაწყვიტეს.

ჰოლანდიელ ბოსკამპს „დინამოში" 32 ფეხბურთელი შეუკრებიაო, გაიგეს გორელებმა, დატრიალდნენ და, მგონი, ჩემპიონებსაც გადააჭარბებენ. გორში გაზრდილი ფეხბურთელები ხომ მთელ საქართველოში თამაშობენ, ჰოდა, „დილას" თავკაცებს ლამის ყველა გორელი მობურთალი შეუყრიათ, ისინიც გაუხსენებიათ, ჯერაც ახალგაზრდას სხვადასხვა მიზეზის გამო თამაშისთვის თავი რომ დაუნებებია და შეიკრიბა გუნდი.

თავად განსაჯეთ, კვირას „ვიტ ჯორჯიას" ამხანაგურ მატჩში საპაექროდ ოცი ფეხბურთელი ხომ დაახვედრეს, ათიც იქვე ტრიბუნაზე იჯდა, რამდენიმე კი სხვადასხვა მიზეზის გამო სტადიონზე არ მისულა. იგივე განმეორდა ორშაბათსაც, როცა გორელები „ლოკომოტივს" გაეჯიბრნენ.

ასე რომ, „დილას" თავკაც მერაბ ხუციშვილს დიდი არჩევანი აქვს. ძველ-ახლებიდან კარგი გუნდის შექმნა არ უნდა გაუჭირდეს. ერთადერთი ფეხბურთელი, რომელსაც მწვრთნელი ვერ დატოვებს, ალექსანდრე კაიდარაშვილია.

მოგეხსენებათ, ალეკო ლეგიონერია და 2 ივლისს ტურინში უნდა გაემგზავროს, რათა იქაურ „ნივას" წლეულსაც დაეხმაროს. მანამდე კი მშობლიურ გუნდთან ერთად წაივარჯიშა, „ლოკომოტივის" ნაქებ დაცვას კი სულ ბდღვირი ადინა.



ახალი ჩემპიონატისთვის სამზადისი გორის „დილამ" მშობლიურ ცენტრალურ სტადიონზე დაიწყო

კვირას გამართული ამხანაგური მატჩი „დილამ" წააგო. მართალია, გორელებმა სტუმრებს ფაქტობრივად მეორე შემადგენლობა დაახვედრეს, მაგრამ „ვიტ ჯორჯიამაც" ძალიან ორგანიზებული გუნდის შთაბეჭდილება დატოვა. ეს, რა თქმა უნდა, მოსამზადებელი ეტაპის ფონზე.

„ლოკომოტივთან" უკვე „დილას" ძველმა, გამოცდილმა გვარდიამ მოსინჯა ძალა და უეფას თასის გათამაშების მონაწილე დიდი ანგარიშით დამარცხდა. თუმცა მხოლოდ ამხანაგური მატჩის მიხედვით, თანაც მოსამზადებელ ეტაპზე, საბოლოო დასკვნებს ვერავინ გააკეთებს.

ბოლოს გორის ცენტრალურ სტადიონზეც ვთქვათ. ადრე ერთ-ერთი საუკეთესო იყო საქართველოში, მაგრამ ახლა ყველას მსგავსად, ისიც შელახულია.

კლუბის თავკაცებმა კარგ გუნდს თუ ვაკეთებთ, კარგი სტადიონიც გვჭირდებაო, ჰოდა, მისი კეთილმოწყობაც დაწყებულია. სათამაშო მინდორს არაუშავს, უკეთესსაც გვპირდებიან. გასახდელებსაც რემონტი გაუკეთდებაო და რაც ყველაზე მთავარია, მსაჯებს და გულშემატკივრებს არაფერი ექნებათ საერთო.

ჩრდილოეთის მხრიდან კედელი გაინგრევა და მსაჯ-ფეხბურთელები პირდაპირ მინდორზე მოხვდებიან. ასე რომ, მსაჯებს ახლოდან არ მოუწევთ გინება-შეურაცხყოფის მოსმენა.

იცოდეთ, ჩვენ სერიოზულად ვიწყებთო, გვაფრთხილებენ გორელები, მაგრამ ერთზე მაინც მივუთითებდით, „დილას" არაფერი უჭირს ისეთი, რომ გუნდმა ბრაზილიის ეროვნული ნაკრების მაისურათი არ იბურთაოს, ანაც მადრიდის „რეალის" ფორმებით ითამაშოს.

უკვე დროა, „დილა" საკუთარი ემბლემით დამშვენებული სათამაშო ფორმით გავიდეს მინდორზე. არც ტრუსმაისურასთვის ფერთა შერჩევა უნდა გაუჭირდეთ. ეს მეტ სოლიდურობას შეჰმატებს ქართლელთა გუნდს. დანარჩენს კი მომავალი გვიჩვენებს.

*ამხანაგური მატჩები:*

დილა 1:2 ვიტ ჯორჯია

*დილა 3:0 ლოკომოტივი*

**მამუკა ქვანტალიანი**



მერაბ ხუციშვილი (მარჯვნივ) და ივანე თაყაძე: „დილას" ახალი და ძველი თავკაცები



ალექსანდრე კაიდარაშვილმა (შუაში) „ვიტ ჯორჯიასთან" ამხანაგურ მატჩშიც ითამაშა

# შევჩენკო იტალიაში, კალაძე იალტაში



კახა კალაძე

კახა კალაძის კიევის „დინამოს" პირველ გუნდში ბოლოდროინდელ უთამაშებლობას ერთი მარტივი და ლოგიკური მიზეზი აქვს. ვალერი ლობანოვსკიმ მართებული გადაწყვეტილება მიიღო და ვადამდე ადრე გაჩემპიონებული გუნდი საგრძნობლად გადაახალისა — ძირითადი შემადგენლობის თითქმის ყველა ფეხბურთელი დაასვენა და ჩემპიონატის დარჩენილ მატჩებში თავის გამოჩენის საშუალება გუნდის სათადარიგო მოთამაშეებს მისცა. მომქანცველი სეზონის შემდეგ დასვენების პატივი, ბუნებრივია, კალაძესაც ერგო, თუმცა არცთუ დიდი ხნით.

26 ივნისიდან კიეველები ჩემპიონთა ლიგისთვის გამალებულ მზადებას შეუდგნენ და საწვრთნელი ციკლის მოსაწყობად იალტას ეწვივნენ. საქართველოს ნაკრების მცველსაც იქ დავუკავშირდით. „ეს-ესაა, ვარჯიში დავამთავრეთ, ლობანოვსკი ჩვეულ სტიქიაშია, ამოსუნთქვის საშუალებას არ გვაძლევს. იალტას სრული შემადგენლობით ვეწვიეთ, ეგ არის, შევჩენკოს საკითხი საბოლოოდ გაირკვა, ანდრეი უკვე მილანშია და იქაური კლუბის ღირსებას, ალბათ, პირველი შესაძლებლობისთანავე დაიცავს, ჩემპიონთა ლიგის წინ მართლაც სერიოზული ძალა მოგვაკლდა".

კალაძის თქმით, ჯერჯერობით „დინამოს" არც ერთი ფეხბურთელი არ დაუმატებია. გუნდი იალტაში 8 ივლისამდე დარჩება, მაგრამ ამ ხნის მანძილზე საკონტროლო შეხვედრებს არ ჩაატარებს. შემდეგ კი... 12 ივლისს უკრაინის მორიგი ჩემპიონატი იწყება.

**პაატა ქვანტალიანი**

# თსუ-ს მშველელი გამოუჩნდა

თსუ საქართველოს მეცხრე ჩემპიონატში გათამაშების ლიდერი გვახსოვს. არც ის დაგვავიწყდება, სულ ახლახანს გავარდნას მხოლოდ ძველანაგელთა ძლევით რომ გადაურჩა.

მეათე ეროვნულის დასაწყისიდან კლუბის შეჭირვებულ ყოფაზე არაერთხელ თქმულა და დაწერილა. გუნდის დაშლას წინასწარმეტყველებდა მისი მცირერიცხოვანი გულშემატკივარიც, მაგრამ აღმოჩნდა, რომ თსუ არ ყოფილა დასაღუპად განწირული.

დღეიდან თსუ-ს არ მოშივდება, არც ნათხოვარი ავტობუსით მოუწევს ქალაქიდან ქალაქში წრიალი და პატრონიც სოლიდური ეყოლება. როცა მიმხედავი არსებობს, ახალგაზრდული გუნდის შენახვა რაღა გასაჭირია.

ტრანსკავკასიური ვეტერინარული კორპორაცია და კორპორაციის პრეზიდენტი დავით გოდერძიშვილი სტუდენტთა პრობლემებით სერიოზულად დაინტერესდნენ. კორპორაცია და საფეხბურთო კლუბი ერთმანეთთან „ვიტ ჯორჯიას" თავკაცმა გურამ რუხაძემ დააკავშირა, საქმეც გაიჩარხა. თსუ-ს მეპატრონე სწორედ ვეტერინარული კორპორაცია გახდა. საკონტროლო პაკეტი მათ განკარგულებაშია.

კლუბის პრეზიდენტის ვინაობა ერთ კვირაში გაირკვევა, მანამდე კი გუნდის ახალი თავკაცი კოტე დოლიძე სასურველ ფეხბურთელებს არჩევს. მწვრთნელის თანაშემწედ ზაზა დიდებაშვილი დაინიშნა, რომელიც თსუ-ში ოთარ გაბელიასაც ეხმარებოდა.

ასე რომ, ახალი ჩემპიონატიდან პირველ ჯგუფში კიდევ ერთი ახალი და ახალგაზრდული გუნდი იქნება. ამას კლუბის ახალი მეპატრონეების სერიოზულობა და სოლიდურობა მიუმატეთ და არა გვგონია, თსუ ისევ აუტსაიდერად მოგვევლინოს.

**მამუკა ქვანტალიანი**



უნიკალური კადრი: 1937 წლის 24 ივლისი. ბორის პაიჭაძე სამი ბასკის გვერდს ლამობს

# ბასკური ბილი, 1937-ში

*„გთხოვთ, გადამინახოთ ერთი ბილეთი“ — კიროვსკი. ინჟინერი. ორენბურგის ოლქი“ — ამგვარი წერილები თბილისის „დინამოს“ სტადიონის დირექტორის სახელზე ყოველდღე დასტა-დასტად მოდიოდა. 150 ბილეთს ითხოვდნენ გროზნოდან, 40-ს ერევნიდან, 20-20-ს ბათუმიდან, შამქორიდან და ქუთაისიდან. სულ 11 ქალაქიდან სურდათ „დინამოს“ სტადიონზე მოხვედრა. ადმინისტრაცია მთელი კვირის განმავლობაში გზავნიდა პასუხს — „ბილეთები გადადებულია, ჩამობრძანდით“. მაგრამ მაშინდელი არენა მხოლოდ 30000 კაცს იტევდა და მალე საპასუხო დეპეშების ტექსტი ასე შეიცვალა — „ბილეთები აღარ არის“. ამბობენ, რომ მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით 270000(!!!) გულშემატკივარი დარჩა უბილეთოდ. 1937 წლის 20 ივლისის გაზეთი „ფიზკულტურელი“ წერდა: „სტადიონის ადმინისტრაცია აქ არაფერ შუაშია. ყველაფერში „დამნაშავენი“ ბასკები არიან“.*

1937 იყო და საქართველოში ძალიან ცოტას თუ ახსოვდა ნიკო მარის, ბორდიმონის, შაჰის, ვარინისა და ლაფონის შეხედულებები ქართველთა და ბასკთა ნათესაობის შესახებ. ზვიად გამსახურდიას ისტორიულ ლექციამდე კი, სადაც მან ქება შეასხა ჰუმბოლტდის შრომებს, სულაც 53 წელი იყო დარჩენილი. ამის მიუხედავად, ბასკეთის საფეხბურთო ნაკრების ტურნე საბჭოთა კავშირში, განსაკუთრებით კი მისი საქართველოში ჩამოსვლა, ყველაზე გრანდიოზულ მოვლენად იქცა მაშინდელი საბჭოეთის რეპრესიების ციტადელში. მოვლენად, რომელმაც ჩვენში უზარმაზარი კვალი დატოვა.

XX საუკუნის 30-იანი წლები ბასკებისთვის ისეთივე ტრაგიკული გამოდგა, როგორც ქართველებისთვის. 1931 წელს ესპანეთში რესპუბლიკის გამოცხადებისთანავე ბასკთა ეროვნულმა მოძრაობამ აპოგეას მიაღწია და 1936 წელს „ბასკების ქვეყნის“ (ავტონომიის) შექმნით დასრულდა. 1918-21 წლების საქართველოსი არ იყოს, ბასკთა თავისუფლებაც უდღეური აღმოჩნდა — 1937 წლის ივნისის მეორე ნახევარში ქვეყანა ფრანკისტებმა დაიკავეს და დაუყოვნებლივ გააუქმეს ავტონომია.

ბასკთა 18-კაციან გუნდს ამ ამბავმა საბჭოთა კავშირში მოუსწრო, სადაც ისინი 16 ივნისს ერთი კონკრეტული, მეტად უცნაური მიზნით ჩამოვიდნენ. ამგვარ ტურნეს 1945 წელს თბილისის „დინამო“ გაიმეორებს, მეორე მსოფლიო ომში დანგრეული საბჭოთა ქალაქების მოსახლეობისთვის. 1937 წელს კი იდეა თავად ბასკთა ქვეყნის მეთაურს, წარსულში ესპანეთის ერთ-ერთ უძლიერეს ჰავბეკს, აგირეს დაებადა. მისი ბრძანებით, 18-მა ბასკმა ფრონტის ხაზი მიატოვა და შაშხანები ბუცებზე გაცვალა. ამით აგირემ ფრანკისტებისთვის საინფორმაციო ომის მოგება განიზრახა. *„ყოველი პესეტა, რომელსაც ტურნეში მონაწილეობით ვაგროვებთ, ქვეყნისთვის ამ მძიმე წუთებში დაუყოვნებლივ ეგზავნება ჩვენს მთავრობას. ყოველი პესეტა — ვაზნაა, პურია, ჭრილობის შესახვევი ბანდია. მთავრობის დავალების შესრულებისთანავე დავუბრუნდებით სანგრებს“* — ამბობდა ისიდორო ლანგარა, მეტსახელად „ტანკი“, რომელიც გამოძახებისთანავე პირდაპირ ფრონტიდან მივიდა ქვეყნის მეთაურის კაბინეტში.

ბასკურმა ფეხბურთმა აღმავლობა ეროვნულ მოძრაობასთან ერთად განიცადა. ლეგენდას საფუძველი ჩაეყარა 1929 წელს, როდესაც მანამდე უძლეველი ინგლისის ნაკრები პირველ ევროპულ ტურნეში იძულებული გახდა, დანებებოდა ესპანეთის ნაკრებს (3:4), რომლის ძირითად ბირთვს სწორედ ბასკები შეადგენდნენ. აქედან მოყოლებული ესპანეთის ნაკრებმა გრიგალივით გადაუარა ევროპას, 37 თამაში მოიგო, 10 ფრედ დაასრულა და 11 წააგო. 134(!) ბურთი გაიტანა და 60 გაუშვა. 1934 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მეოთხედფინალს მიაღწია. 1935 წელს აჯობა საფრანგეთს — 2:0 და გერმანიას — 2:1. 1936 წელს მაშინდელ ევროპაში ერთ-ერთ უძლიერეს შვედეთს — 2:0.

ფრანკისტების ინტერვენციის შემდეგ ბასკეთში ბურთი აღარ გაგორებულა. 1937 წლის ევროპული ტურნე პირველი მერცხალი იყო. ამის მიუხედავად, იბერიელებმა დიდებულად დაიწყეს „ბასკური ბილი“, რაც „ბასკურ სვლას“ ნიშნავს. აპრილში მათ ზედიზედ ორჯერ მოუგეს პარიზის „რესინგს“ — 3:0, 3:2 და გაანადგურეს საფრანგეთის ჩემპიონი მარსელის „ოლიმპიკი“ — 5:2. *„ბასკებმა დაამტკიცეს, რომ ისინი ისევე იცავენ თავიანთ კარს, როგორც მათი ხალხი — თავისუფლებას ესპანეთში“* — წერდა ფრანგული გასტროლების შემდეგ „ფიგარო“.

მაისში ბასკებმა ჩეხოსლოვაკიაში პრაღის ნაკრებთან ითამაშეს, რომელიც ეროვნული ნაკრების 9 ფეხბურთელით, მათ შორის ლეგენდარული მეკარით, პლანიჩკათი იყო გაძლიერებული. ეს თამაში ერთადერთი გამოდგა ტურნეში, რომელიც ბასკებმა ნაღდად წააგეს (2:3). ამის მიუხედავად, პლანიჩკა იტყვის: *„მათი ტემპი პირდაპირ განსაცვიფრებელია“*. შემდეგ ბასკებმა პოლონეთში გადაინაცვლეს და კატოვიცეს გუნდს 4:3 სძლიეს.

16 ივნისს, როდესაც ალყაშემორტყმული ბილბაოს დაცემამდე რამდენიმე დღე რჩებოდა, დაიწყო ბასკების ტურნე საბჭოთა კავშირში. საქართველომდე მათ ექვსი შეხვედრა ითამაშეს. ერთადერთი ლენინგრადის „დინამო“ იყო, რომელმაც სტუმრებს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია (2:2). დანარჩენები: მოსკოვის „ლოკომოტივი“ (0:5), მოსკოვის „დინამო“ (1:2), სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ნაკრები (4:7, ამ მატჩში გამოვიდნენ თბილისელები შავგულიძე და დოროხოვი), კიევის „დინამო“ (1:3) თამაშის შემდეგ შეშლილებივით საუბრობდნენ ახალ სისტემა „დუბლვეზე“, რომელიც საბჭოეთს პირველად სწორედ ბასკებმა აჩვენეს (ბასკები 2:6 დამარცხდნენ მოსკოვის „სპარტაკის“ ნაკრებთან, თუმცა მთელ საბჭოთა კავშირში გავრცელდა ხმები, რომ თამაშის წინ სტუმრები საგანგებოდ დაათვრეს(!).

თბილისში ბასკები 21 ივლისს მატარებლით ჩამოვიდნენ. ვაგზლის მოედანზე გმირებს (როგორც მაშინდელი „კომუნისტი“ წერდა სტუმრებზე) ათასობით თბილისელი ტრანსპარანტებითა და ყვავილებით შეეგება. მოედანი ისე იყო გადაჭედილი, თბილისის დინამოელებმა ძლივს მოახერხეს, პირველნი მისალმებოდნენ მატარებლიდან ჩამოსულთ. ბასკების გამოჩენისთანავე სადგურის მიმდებარე ტერიტორია ტაშით დაინგრა. იქვე გაიმართა მიტინგი, სადაც გამოვიდნენ: თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ბუჯიაშვილი, საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე მილშტეინი და ბასკთა დელეგაციის ხელმძღვანელი ბელასოტა.

თამაშამდე ბასკები ძალიან ბევრს ვარჯიშობდნენ, დადიოდნენ ქალაქში. სტუმრებს დიდი კონცერტიც გაუმართეს. ბასკები ერთობ მოუხიბლავს მეჩონგურე ქალთა ანსამბლს. ბორის პაიჭაძე იგონებს: *„შესანიშნავი ბიჭები იყვნენ, ნამდვილი მებრძოლები. ახლაც თვალწინ მიდგას მათი სახეები, ფუნიკულიორიდან სევდაჩამდგარი თვალებით რომ გადაჰყურებდნენ თბილისს. “შეხედეთ, როგორ ჰგავს ჩვენს ბილბაოსო“ — ჩაიდუდუნა თავისთვის ლანგარამ. ამ სიტყვების მწუხარებითა და სითბოთი გაბრუებულნი, დიდხანს ვდუმდით. ვიღაცამ „სულიკო“ წამოიწყო, ჯერ გაუბედავად, მერე კი თითქმის ყველა ბასკი აგვყვა. შემდეგ გადმოგვცეს, ბასკები თურმე „სულიკოს“ ღიღინებდნენ მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში“.*



1937 წლის დინამო: მარცხნიდან მარჯვნივ, გრაჩოვი, ფოჩხუა, ელიავა, ბ. ბერძენიშვილი, დოროხოვი, გ. ბერძენიშვილი, შავგულიძე, ფროლოვი, პაიჭაძე, მ. ბერძენიშვილი

იმ დღეებში თბილისელთა (და არა მარტო თბილისელთა) ერთადერთი საფიქრალი ბილეთი იყო. ბილეთზე ველოსიპედისა და საათის გაცვლა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. მატჩის დღეს, 24 ივლისს, იმდენი ადამიანი მიაწყდა სტადიონს, რომ ქალაქის ხელმძღვანელობას ცხენოსან მილიციელთა მთელი არმიის გამოყვანა დასჭირდა. ხანდაზმულები ამტკიცებდნენ, ამდენი ხალხი ყეენობის, ბერიკაობისა და წყალკურთხევის დღესასწაულებზეც არ შეკრებილაო. საბოლოოდ, 30000-იან „დინამოზე“ მოხვედრის 300000(!!!) მსურველიდან გულისწადილი 40000 კაცმა აისრულა. მათ შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც აქამდე ფეხბურთი საერთოდ არ აინტერესებდა. პოეტ იოსებ გრიშაშვილს ულიარებია: *„ფეხბურთისა არაფერი გამეგება, ბასკების სანახავად ვარ მოსულიო“*.

საღამოს 3 საათსა და 45 წუთზე ბასკები ლურჯი მაისურებითა და თეთრი ტრუსებით გამოვიდნენ. ხალხი მათ ფეხზე ამდგარი მიესალმა. აქა-იქ ესპანეთის დროშებსაც შენიშნავდით. სტუმრებს მიკროფონით დინამოელთა კაპიტანი შავგულიძე მიესალმა, საპასუხოდ ბასკთა კაპიტანი გოროსტიცა გამოვიდა.

ბასკებს მარტო ნამდვილი კაპიტანი-ლეგენდა, ლუის რეგეირო აკლდათ, რომელიც თბილისში ავად გახლდათ. გარდა სტუმრებმა ასეთი შემადგენლობა გამოიყვანეს: ბლასკო, არესო, აედო, სოლურენა, მუგურსა, ეჩებერია, გოროსტიცა, პ. რეგეირო, ლანგარა, ალონსო, ლარინგა. „დინამოს“ მწვრთნელმა სოკოლოვმა მეტოქეს ეს შემადგენლობა დაუპირისპირა: *დოროხოვი, შავგულიძე, ჭუმბურიძე, ჯორბენაძე, მინაევი, გაგუა, გავაშელი, მ. ბერძენიშვილი, პაიჭაძე, ლოლაძე, ასლამაზოვი.*

მატჩის შემდეგ ქართულ საფეხბურთო ლექსიკონში დარჩა სიტყვები, „ბასკივით თამაშობს“. მატჩი სოლურენას ცენტრიდან დარტყმით დაიწყო, რომელმაც დოროხოვის კარის ხარიხა შეაზანზარა. ამას ბორია პაიჭაძის გარღვევა და დარტყმა მოჰყვა, რასაც ლანგარამ დოროხოვის კარზე იერიშით უპასუხა. მე-6 წუთზე ლოლაძე-ასლამაზოვმა დაკარგეს ანგარიშის გახსნის შანსი. მე-7 წუთზე პაიჭაძის დარტყმას ბლასკო ნახტომით იგერიებს. მე-9 წუთზე კუთხურიდან ჩამოწოდებული რეგეირომ თავით გაგვიტანა, მაგრამ მსაჯმა რატომღაც არ ჩათვალა. მე-17 წუთზე დიდებულად ირჯება ლანგარა და ბურთი სასწაულად სცდება მასპინძელთა კარს. იგი კიდევ სამჯერ უტევს უშედეგოდ დოროხოვის კარს და ქართველთა მეკარით აღფრთოვანებული ბოლოს ყვირის — „ზამორა“!

27-ე წუთზე ლანგარამ მაინც აჯობა ქართველთა დაცვას და გოროსტიცას პასით ანგარიში გახსნა — 0:1. ორ წუთში ასლამაზოვს ჰქონდა ანგარიშის გაქვითვის შანსი, მაგრამ ვერ გამოიყენა (უნდა ითქვას, რომ ასლამაზოვი ამ მატჩში მონაწილეთაგან ყველაზე ტრაგიკული ბედის ფეხბურთელია, მოგვიანებით იგი საქართველოს ცკ-ში მუშაობისას თავს მოიკლავს).

მეორე ტაიმი მთლიანად ბასკებისა გამოდგა. რომ არა დოროხოვი, ანგარიში გაცილებით დიდი იქნებოდა. „დუბლვემ“ „ხუთი ხაზზე“ სისტემა, ფაქტობრივად, „შეჭამა“. მეორე ავტოგოლი გავიდა — 87-ე წუთზე ბურთი მინაევს ბეჭზე მოხვდა და დოროხოვმა რეაქცია ვერ მოასწრო — 0:2.

ბასკთა თამაშმა იმდენად მოხიბლა მაშინდელი ქართული საფეხბურთო სამყარო, რომ ადგილობრივმა „სპორტის მინისტრმა“ მილშტეინმა მოსკოვში „იჩალიჩა“ და ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა საკავშირო კომიტეტს მეორე მატჩის ნებართვაც დასტყუა.

30 ივლისს ბასკებს ლოკომოტიველი, გაიოზ ჯეჯელავათი გაძლიერებული „დინამო“ წარუდგა (იმ შემადგენლობიდან დღეს მხოლოდ ჯეჯელავაა ცოცხალი, იგი 84 წლისაა), რომელსაც საქართველოს ნაკრები დაარქვეს. „ნაკრები“ ამ თამაშისთვის კიკეთში მოემზადა, თუმცა ბასკებმა ეს შეხვედრა უფრო იოლად მოიგეს.

მე-5 წუთზე სოლურენა-ალონსო-ლანგარას მშვენიერი კომბინაცია უკანასკნელმა გოლად აქცია. ლანგარა მატჩის გმირი გახდა. მე-7 წუთზე მან იდეალური გადაცემა მიაწოდა ალონსოს — 2:0. ერთ წუთში პაიჭაძის პასით ჯეჯელავას შეეძლო სხვაობის შემცირება, მაგრამ ბლასკო ბურთს ადგილზე დახვდა. 26-ე წუთზე ლანგარამ თამაში დაასრულა — 3:0. მეორე ნახევარმა მნიშვნელობა დაკარგა. სოკოლოვმა ჯეჯელავა და გაგუა აფრიდონიძითა და ანიკინით შეცვალა. ბევრი გამოცვალეს ბასკებმაც. საბოლოოდ მცირე უპირატესობა პაიჭაძემ 11-მეტრიანი დარტყმით ასახა — 1:3.

*მეორე დღეს ბასკები სამხედრო გზით თბილისიდან გაემგზავრნენ. საქართველოს კი დარჩა 180 წუთიანი თანამედროვე ფეხბურთის პირველი ლექცია, რომელზეც თაობები აღიზრდებიან.*

**სიმონ მენაბდე**

## ბასკეთის ნაკრები

*გრეგორიო ბლასკო (ატლეტიკო, ბილბაო. 28 წლის, მძღოლი); პედრო არესო (ბარსელონა. 25 წლის, მასწავლებელი); სერაფინ აედო (ბუზიტი, სევილია. 25 წლის, ლუდის მხარშავი); ლეონარდო სოლურენა (ატლეტიკო, ბილბაო. 24 წლის, ყასაბი); ხოსე მუგურსა (ატლეტიკო, ბილბაო. 26 წლის, იარაღის ქარხნის მუშა); გილერმო გოროსტიცა (ატლეტიკო, ბილბაო. 28 წლის, პროვიზორი); ლუის რეგეირო (რეალ მადრიდი. 24 წლის, მექანიკოსი); პედრო რეგეირო (ატლეტიკო ბილბაო. 23 წლის, სტუდენტი); ისიდორო ლანგარა (ოვიედო. 24 წლის, მექანიკოსი); ენრიკო ლარინგა (სანტანდერი. 26 წლის, მძღოლი); ემილიო ალონსო (რეალ მადრიდი. 24 წლის, ქიმიკოსი); რობერტ ეჩებერია (ატლეტიკო, ბილბაო. 28 წლის, იარაღის ქარხნის მუშა); მწვრთნელი — ვალანო (ჟურნალისტი და მსაჯი).*

# წერილი უეფას

— ჩემთან დაგირეკავს, სამსახურში მითხრეს.
— ჰო, ჰო. სად ხარ ამდენ ხანს?
— მოხდა რამე?
— მეტი რაღა უნდა მომხდარიყო. დამაწყდა ნერვები, 26 ივნისის მერე სხეული აღარ მემორჩილება.
— სხვა საქმე არა გაქვს?
— სწორედ მაგიტომ მჭირდები.
— რა საქმეა ასეთი?
— ოთხი ღამეა, არ მიძინია. წერილი დავწერე ქართული საფეხბურთო სამყაროს სახელით...
— კი მაგრამ, რა უფლებით?
— იმ ბიჭებმა მომცეს უფლება, „მწვანე მინდვრის რაინდებს“ რომ ეძახდნენ ადრე.
— ვინ?!
— იმ ხალხმა, ფეხბურთის საცქერლად რომ ათენ-აღამებდა სტადიონებზე.
— ახლა აღელვებული ხარ და აზრი არა აქვს შენთან ლაპარაკს.
— მოიცა, არ წახვიდე! ერთი სათხოვარი მაქვს შენთან.
— მაინც?
— წერილი უნდა მიმიწვდინო ადრესატამდე და აუცილებლად 30 ივნისამდე.
— ვის სახელზე დაწერე?
— უეფას.
— რაღაც საშინელებანი გექნება აღწერილი.
— ძალიან გთხოვ, უარი არ მითხრა. ჯერ შენ ჩაიკითხე და რაც არ მოგეწონება, ამოვშალოთ.
— მაჩვენე ერთი, რა დაწერე.

„წერილი უეფას

თქვენო ბრწყინვალებავ! ბატონებო!

მოგესალმებით აწ გარდაცვლილი ქართული ფეხბურთის გულდათუთქული და ძილგატეხილი გულშემატკივრების სახელით. გისურვებთ მზეგრძელობასა და საუკუნოდ ბურთის გორებას მწვანე მინდორსა ზედა. გავკადნიერდებით და ერთი სათხოვარით მოგმართავთ. თუმც ვიდრე თხოვნითა და წუწუნით შეგიწუხებდეთ თქვენს ბაჯაღლო გულებს, ჩვენს მდგომარეობაში რომ არ გაგიჭირდეთ შემოსვლა და საერთოდ რომ არ გეუცხოოთ სიტყვა „ქართული“, მოგახსენებთ:

საქართველო კავკასიაში მდებარეობს. ერთ დროს ორ ზღვას შუა გადაჭიმული ჩვენი ტანჯული ქვეყანა, დღეისთვის ტერიტორიებდაკარგული ივერთა მიწა, ევროპის კონტინენტის განუყოფელი ნაწილია. ადრე ერთიანი საბჭოთა კავშირის ძმური ოჯახის წევრები გახლდით და მოძმე თოთხმეტ რესპუბლიკასთან ერთად ვეწეოდით კომუნიზმისკენ მიმავალ სოციალისტურ რელსებზე დამდგარ ურიკას.

იმ დიად სამშობლოში ფეხბურთის დიდი ჩემპიონატი ტარდებოდა და ჩვენც ავანგარდში ვიყავით მეტწილად. სამხრეთული ბუნებისა და მდიდარი ფანტაზიის უნარის მქონე ხალხს არ გაგვჭირვებია სპორტის ამ სახეობასთან გაშინაურება. მიუხედავად ქართველი ფეხბურთელებისადმი საკავშირო ფედერაციის მესვეურთა და მსაჯთა არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულებისა, ისინი მაინც აზერხებდნენ წარმატებულ მოღვაწეობას და საპრიზო ადგილებსაც არაერთხელ გამოჰკრეს ხელი.

თბილისის „დინამო“ საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი, ხუთგზის ვერცხლისა და ცამეტგზის ბრინჯაოს პრიზიორი იყო. ორჯერ ფლობდა თასს და ექვსჯერ ფინალშიც ითამაშა. უმაღლესი ლიგის ხშირი სტუმარი იყო ქუთაისის „ტორპედო“. ერთი წლით ლანჩხუთის „გურიაც“ გაერია საუკეთესოთა მარაქაში.

მერე კი ის ქვეყანა საპნის ბუშტივით გასკდა. მასთან ერთად საპონიც გაქრა მაღაზიის დახლებიდან და „ხელის ჭუჭყიც“ ჩვენი ჯიბეებიდან. „ხელის ჭუჭყი“ რაც არის, არ გესწავლებათ. მთელი თქვენი მოღვაწეობა ხომ დიდ ფულთან იყო და არის დაკავშირებული. ფეხბურთი მარტო უბრალო სპორტის სახეობა რომ არ არის და შოუ-ბიზნესთან წილნაყარია, უეფას საქმიანობა გვარწმუნებს.

ქართველებიც ადრიანად მივხვდით ამას და როგორც კი დაინგრა მეტროპოლია და დამოუკიდებელნი გავხდით, შინაური საფეხბურთო გათამაშებაც გავაჩაღეთ. აბა, უფულოდ შორს რომ ვერ წავიდოდით, კარგად გვესმოდა და... სახელმწიფო მეწველი ძროხა არ არისო — ასე გვიპასუხეს პარლამენტისა და მთავრობის წევრებმა. ჩემპიონატის მატჩისას ტრიბუნაზე თუ დააცემინა ერთმა გულშემატკივარმა, მეორე ეუბნება — სანამ ჩვენი მთავრობა ფეხბურთს მიხედავდეს, მანამ არაფერი გეტკინოსო. ახლა თავისუფალნი ვართ, „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნის“ და ყველამ თავის თავს მოუაროსო — ასეთი დევიზი აგვაფარეს პოლიტიკოსებმა. სახელმწიფოსგან გარიყულმა ქართულმა ფეხბურთმაც დაიწყო პირველი, დამოუკიდებელი ნაბიჯების გადადგმა, მაგრამ მის სათავეებს იმდენი უთავო კაცი დაეპატრონა, რომ საქმისთვის თავის მობმა კი არა, თავის გარეთ გამოყოფა გვრცხვენია დღეს.

ფეხბურთი და ბიზნესი. აბა, ერთი მეორის გარეშე როგორ იქნებაო — ხმამაღლა განაცხადეს ფედერაციის ჩინოვნიკებმა. ბიზნესი საქმეს ნიშნავს. საქმე კი მხოლოდ ფულის კეთება ჰგონიათ ჩვენში. ჰოდა, ფეხბურთიც ფულის საჭრელ მანქანად აღიქვეს მისმა მესვეურებმა და რაკი არავინ გვეხმარება, კეთილი ინებონ და ხელსაც ნუ შეგვიშლიანო.

ქართული ფედერაციაც ჩემპიონატის ჩემპიონატზე მიყოლებით იყო დაკავებული. ლამაზად ჩაწიკწიკებული შეხვედრათა ოქმები დღემდე ისე თავმომწონედ ინახება სფფ-ს თაროებზე, ვერც მტვერი მისწვდება და ვერც ყოფილი მოძმე რესპუბლიკების ფედერაციათა თვალთახედვა.

ძალიან მაღალი საფეხბურთო კოშკი ავაგეთ. ვადებდით აგურს აგურზე, მივიწევდით მაღლა, მერე ზემოდან მოვინდომეთ ქედმაღლურად გადმოხედვა, შეგვამჩნიეთ, დაგვინახეთ, ეს ჩვენ ვართ მესხის, პაიჭაძის, იამანიძის, მეტრეველის, ყიფიანის დარი ფეხბურთელების სამჭედლო. ადრე თუ გვიან მაინც მოგიწევთ ამის აღიარება და ნულარ აყოვნებთო — ასე მოგმართეთ 1992 წელს. თქვენც, უეფას წარმომადგენლებმაც, გადმოგვხედეთ მოწყალების თვალით და დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ გაგვაწევრიანეთ ევროპული ფეხბურთის ორგანიზაციაში. ეს იყო პირველი ფანჯარა იმ კოშკისა, ნათელი სხივი რომ შემოუშვა. უსახელოდ ნამდვილად არ მოვსულვართ. 1981 წლის 13 მაისი გვეწერა მკერდზე და ბეჭზე „პირველი მერცხალი“ გვეხატა.

ეჰ, სწორედ მაშინ დაიწყო ჩვენი წამება. ევროპაში გასასვლელი ფანჯარა რომ გვეგონა, სარკე ყოფილა მხოლოდ, სარკე, რომელმაც საკუთარი სახე დაგვანახვა, სიმართლეს თვალებში ჩაგვახედა. კოშკი კი არა, ქაჯეთის ციხე აგვიგია და უნახავმა რა ნახაო, ისე დაგვემართა. ევროპული ვოიაჟის სურვილით ანთებული ქართული კლუბები ერთმანეთს წაეკიდნენ, ქალაქი ქალაქს გადაემტერა. ევროპულ საგზურს უსაშველო ფასი დაედო. ამბიციათა ზრდასთან ერთად ფედერაციის ჩინოვნიკთა ჯიბეებიც ივსებოდა და დაიწყო გულშემატკივართა გულების ხეთქვა.

ათასი სირცხვილი და თავის მოჭრა — აი, შედეგი უეფასგან აღიარებისა. ევროსარბიელზე იღბლის ამარაღა დავრჩით. იღბალი კი მხოლოდ ძლიერთა მხარესაა ყოველთვის.

ამ წერილის დაწერა ადრეც შეგვეძლო, მაგრამ ქართველები ამაყი ხალხი ვართ. შინაური ჭირის გარეთ გატანა, არ გვიყვარს. ვფიქრობდით, ადრე თუ გვიან ყველაფერს მოევლებოდა, ადრე თუ გვიან ჩვენთვისაც დადგებოდა ევროთასებზე ღირსეულად გამსვლელი ზაფხული, მაგრამ...

26 ივნისს კიდევ ერთი „უიღბლო“ დღე გაუთენდა ქართულ ფეხბურთს.

— ძალიან უიღბლო დღე იყო. 0:7 წავაგეთ და სულ იმას ვფიქრობდი, შინ რომ წავალთ, გზაში ავარია არ შეგვემთხვას-მეთქი — ეს სიტყვები „ნოტინგემის“ ყოფილ თავკაც ფრენკ კლარკს ეკუთვნის.

მართალი კაცი ყოფილა ინგლისელი კლარკი, მწარედ რომ დასცინო საკუთარ თავსა და გუნდს, ამას ნიჭი და გამბედაობა სჭირდება.

ჩვენებურები კი ისევ თავის მართლებას ცდილობენ. ის ბურთი რომ არ გაგვეშვა, შეხვედრას სასურველი ანგარიშით დავამთავრებდით და დანარჩენ სამ გოლსაც იქით გავუტანდით მოწინააღმდეგესო — ძნელია, ამის კომენტარი. იმის მაგივრად, რომ ბოდიში მოვუხადოთ ქომაგებს...

მეათე ეროვნული ჩავამთავრეთ და ისევ თქვენსკენ მოვდივართ. ისევ ევროპულ ფეხბურთს ვეზმანებით უკვე მერამდენედ და ფოთის „კოლხეთის“ მაგალითმა სულ დაგვიკარგა მოსვენება. ალალად გეტყვით — 30 ივნისის კენჭისყრა გვაფრთხობს.

ჰოდა, ვიდრე ოთხშაბათი გათენდება, გადავწყვიტეთ, თხოვნით მოგმართოთ. არა ფულის სესხებას როგორ გაკადრებთ, თანაც მარტო ფული მაინც ვერ უშველის ჩვენს გაჭირვებას. რაც ქართულ ფეხბურთს სჭირდება, არც ის იყიდება ფულზე. პროფესიონალიზმის მხოლოდ სწავლა შეიძლება. სწავლა კი სიბერემდეო — უთქვამს ბრძენ კაცს და ჩვენც სიბერემდე თუ არა, კარგა ხანს მოგვიწევს ლოდინი. მანამდე კი ერთ საქმეში მაინც შეგვეწიეთ და 30 ივნისს მაკედონიის „ცემენტარნიცას“ დარ გუნდებს აგვარიდეთ როგორმე. ვითომ უსაშველო რამეს გთხოვთ? რა მოხდება ისეთი გადასარევი, თბილისის „ლოკომოტივს“ ანდორის „პრინჩიპატი“ რომ შეახვედროთ, ქუთაისის „ტორპედოს“ — ლუქსემბურგის „დუდელანჟი“, თბილისის „დინამოს“ კი — ფარერების „ჰაფნარსა“ და სომხეთის „ცემენტს“, არა, არა ეს „ცემენტები“ აღარ გვინდა, აზერბაიჯანის „ქიაფაზს“ შორის გამარჯვებული რომ არგუნოთ...

თუ ესეც არ შეგიძლიათ, მაშინ ერთ რჩევას მოგცემთ. თასების თასის გათამაშება რომ გააუქმეთ, იქნებ მის ნაცვლად ახალი ტურნირი მოგეწყოთ ჩვენისთანა მაჩანჩალა ქვეყნებისთვის. სახელიც მოფიქრებული გვაქვს. მაგალითად, „ყვითელი ვარდის თასი“. ყვითელი ვარდი ხომ განშორების სიმბოლოდ ითვლება და ქართული ფეხბურთიც კარგა ხანია, განშორდა ნამდვილ ფეხბურთს.

ლამის ჭკუიდან გადასული ქართველი გულშემატკივრები მაინც შეიცოდეთ, ყოველ ზაფხულს რომ უფრთხიან. გვეყოფა კოშმარები „ბრაგასგან“, „ბოავიშტასგან“, „ტილბურგისგან“, „ცრვენა ზვეზდასგან“. ეს ის კლუბებია უმადური საყვარლებივით რომ მოექცნენ ქართულ ფეხბურთს. რატომ საყვარლებივით? აბა, დღემდე რომ ვერ დაივიწყა მათი სახელები გათელილმა ქართულმა ფეხბურთმა?

ჰოდა, თუ ღმერთი გწამთ, 30 ივნისს კიდევ ახალ საყვარლებს ნუ შეგვიწყვილებთ...“

— ამ წერილის გაგზავნას აპირებ უეფაში?
— აბა, რა ვქნათ?
— იქნებ სხვა გამოსავალი მოგვეძებნა...
— ახლა არ მითხრა, ბოსკამპიო.
— რა, არ მოგწონს?
— რატომ? სალი კბილები აქვს.
— სხვა ვერაფერი შეამჩნიე?
— რას გულისხმობ?
— საქმეს.
— ლიგაში მოხვედრას არა?
— რომ შეძლოს?
— სიცილით მოკვდება...
— ტირილით სიკვდილს არ ჯობს მერე?
— უმჯობესია, ბავშთა ლიგის შექმნაზე გვეზრუნა, თორემ ბავშვებიც თუ დაეჩვივნენ სიცილით უცქირონ უფროსი თაობის ფეხბურთელების უსუსურ თამაშს, კარგად გვექნება საქმე...
— აბა, უარი ვთქვათ ევროპაზე?
— თუ გგონია, კალთებს ჩამოგვახევენ, ძალიან ცდები.
— ესე იგი წარსულიც დავივიწყოთ?
— მაშინ აწმყოზე მეტს ვიფიქრებთ...

**ხვიჩა სანიძიძე**



მამუკა დარჩიას ფოტოები

26 ივნისი. „კოლხეთი“ — „ცემენტარნიცა“ 0:4. ავტოგოლის ავტორ ელდარ გვასალიას (№9) და ფოთელებს კარგა ხანს ემახსოვრებათ მაკედონიური კოშმარი



მამუკა დარჩიას ფოტოები

ივანე ჯუღელს (მარცხნივ) საევროპოდ „კოლხეთში“ დაბრუნება სანანებელი გაუხდა

# სცენარი ევროთასებისთვის დღეს ჟენევაში ევროპის საკლუბო ტურნირების წილისყრაა

## ჩემპიონთა თასი

ჩემპიონთა ლიგის ახალი ფორმატის თანახმად შეჯიბრებაში 32 გუნდი მონაწილეობს. ამ 32 გუნდში ავტომატურად შედიან გასული გათამაშების გამარჯვებული და 15 რეიტინგით უპირატესი გუნდი. რეიტინგით უპირატესობას განსაზღვრავს ქვეყნის (ეროვნული ასოციაციის) კოეფიციენტი. 15 რჩეულს შორის იქნება 9 უპირატესი ქვეყნის ჩემპიონი და 6-ის ვიცე-ჩემპიონი.

დანარჩენი 16 გუნდის ვინაობას განსაზღვრავს სამრაუნდიანი შესარჩევი ეტაპი. მის პირველ ეტაპზე მონაწილეობს 18 კლუბი. ისინი რეიტინგით 30-47 ქვეყნების ჩემპიონები გახლავან. მეორე ეტაპზე, პირველიდან გასულ 9 გუნდს ემატება 17-29 ქვეყნების ჩემპიონები პლუს 10-15 ქვეყნების ვიცე-ჩემპიონები. სულ 27 კლუბი დაგროვდება, კიდევ ერთი გუნდის ვინაობას, სავარაუდოდ, კენჭისყრის წინ დაადგენენ. მესამე რაუნდი კი გადამწყვეტია, მისი გამარჯვებულები ლიგის ჯგუფებში მოხვდებიან. ამ რაუნდში ითამაშებს მეორედან გასული 14 და კიდევ 18 გუნდი, რომელთა ვინაობაც ასეა განსაზღვრული:

ა) 1-6 ქვეყნების მესამე ადგილზე გასულები;
ბ) 1-3 ქვეყნების მეოთხე ადგილზე გასულები;
გ) 7-9 ქვეყნების ვიცე-ჩემპიონები;
დ) 10-15 ქვეყნების ჩემპიონები.

ლიგის გათამაშება შედგება ორი ჯგუფური ეტაპისა და პლეი ოფისგან. მატჩები გაიმართება სამშაბათობითა და ოთხშაბათობით.

პირველ ჯგუფურ ეტაპზე ითამაშებს 32 გუნდი, რომლებიც ოთხ-ოთხად, რვა ჯგუფს შეადგენს. ჯგუფებში ყველა ყველას შინ და სტუმრად შეხვდება, ანუ გაიმართება ექვსი ტური. მეორე ეტაპზე გავლენ ჯგუფების ჩემპიონები და მეორე ადგილზე გასულები.

მეორე ჯგუფურ ეტაპზე ოთხი ოთხგუნდიანი ჯგუფი შეიქმნება. მატჩები აქაც შინ და სტუმრად გაიმართება, ასე რომ კვლავ 6 ტური ჩატარდება.

მეორე ეტაპის გამარჯვებული ოთხი და ამდენივე მეორე ადგილზე გასული გუნდი მეოთხედფინალში დაწყვილდებიან. როგორც მეოთხედფინალი, ასევე ნახევარფინალი ორ-ორი მატჩისგან (შინ და სტუმრად) იქნება შედგენილი. ამ პროცესის ბოლოს გაირკვევა ორი ფინალისტის ვინაობა.

## უეფას თასი

წლეულს უეფას თასის გათამაშება სახეცვლილად ტარდება, რაც, პირველ რიგში, თასების მფლობელთა თასის ტურნირის გაუქმებამ განაპირობა. ამიერიდან ეროვნული თასის მფლობლებიც უეფას თასის გათამაშებაში მონაწილეობენ. თუ ეროვნული თასის მფლობელი ჩემპიონთა ლიგაში გადის, მაშინ უეფას თასის საგზური ფინალისტს გადაეცემა. თუ ფინალისტიც ლიგაშია, მაშინ საგზურს ნახევარფინალისტები შეეცილებიან ერთმანეთს. თუ თასის მფლობელს ეროვნულ პირველობაზე დაკავებული ადგილის მიხედვით ისედაც უეფას თასზე უწევს გასვლა, მაშინ, ვაკანტური ადგილი გადაეცემა არა წაგებულს, არამედ ცხრილში ერთით ქვედა ადგილზე გასულს (როგორც საქართველოში მოხდა, „ტორპედომ“ მეორე ადგილიც მოიპოვა და თასიც, ამიტომ უეფაზე მოხვდა არა ფინალისტი (სამგურალი), არამედ ერთი ადგილით დაბლა მდგომი „ლოკომოტივი“.)

ბოლო სეზონებში უეფას თასის მონაწილეთა რიცხვი 64-დან 115-მდე გაიზარდა, რაც აღმოსავლეთ ევროპული ქვეყნებისა და საკუთრივ უეფას მიერ გამოყოფილი ახალი ადგილების (ეროვნული თასის, ინტერტოტოსა და ფეარ პლეის რეიტინგის გამარჯვებულები) დამატებასთანაა დაკავშირებული. რამდენმა გუნდმა უნდა ითამაშოს შეჯიბრებაში ცალკეული ქვეყნიდან, უეფას საკოეფიციენტო სისტემით განისაზღვრება. ეს სისტემა, თავის მხრივ, კლუბების მიერ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ნაჩვენებ შედეგებზეა აგებული.

დღეისათვის შეჯიბრება შედგება შვიდი საფეხურისგან, რომელშიც შედის ერთი შესარჩევი ეტაპი და ფინალი. ყველა ეტაპზე, ნახევარფინალების ჩათვლით, გუნდები ერთმანეთს ორ შეხვედრაში, შინ და სტუმრად ეჯიბრებიან. გამარჯვებულად ცხადდება ის, ვინც ორი მატჩის ჯამში მეტ გოლს გაიტანს. თუ მათ გოლების თანაბარი რაოდენობა გაიტანეს, გამარჯვებულად გამოცხადდება გუნდი, რომელმაც სტუმრად მეტი გაიტანა. თუ ეს მაჩვენებელიც თანაბარია, მეორე თამაშის მერე დაინიშნება ორი 15-წუთიანი ტაიმისგან შედგენილი დამატებითი დრო. თუ გუნდებმა დამატებითშიც ბურთების თანაბარი რაოდენობა გაიტანეს, სტუმრად გატანილი გოლი ორმაგად ჩაითვლება. თუ დამატებით 30 წუთში ბურთი არ გავა, მაშინ გამარჯვებული პენალტებით გამოვლინდება.

ფინალი ერთმატჩიანია. თუ მისი ძირითადი დროის შედეგი ფრეა, მაშინ დამატებით დროში გამარჯვებული ოქროს გოლით გამოვლინდება. თუ დამატებითში გოლი არ გავა, გამარჯვებულს პენალტები გაარკვევს.




სარჩიელის არქივიდან

ერთი თვის წინათ შარშანდელი ევროსეზონი მანჩესტერის ტრიუმფით დამთავრდა. დღეს კი ახალ გათამაშებას ჩაეყრება საფუძველი

ჩემპიონთა თასი — უეფას თასი

| ჯგუფი | მესამე შესარჩევი ეტაპი 10-11.08, 24-25.08 | მეორე შესარჩევი ეტაპი 28.07, 04.08 | პირველი შესარჩევი ეტაპი 14.07, 21.07 | ქვეყანა | 1/32 ფინალი 16.09, 30.09 | შესარჩევი ეტაპი 12.08, 26.08 |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | | | | | | |
| მილანი, ლაციო | ფიორენტინა, პარმა | | | 1 იტალია | ბოლონია, რომა, უდინეზე | |
| ბაიერნი, ლევერკუზენი | ჰერტა, დორტმუნდი | | | 2 გერმანია | ვერდერი, ვოლფსბურგი, ლაუტერნი | |
| ბარსელონა, რეალი | მალიორკა, ვალენსია | | | 3 ესპანეთი | ატლეტიკო, სელტა, დეპორტივო | |
| ბორდო, მარსელი | ლიონი | | | 4 საფრანგეთი | ნანტი, ლანსი, მონაკო | |
| ფეიენოორდი, ტილბურგი | ეინდჰოვენი | | | 5 ჰოლანდია | აიაქსი, ვიტესი, როდა | |
| არსენალი | ჩელსი | | | 6 ინგლისი | ნიუკასლი, ლიდსი, ტოტენჰემი | |
| პორტუ | ბოავიშტა | | | 7 პორტუგალია | ბეირა მარი, ბენფიკა, სპორტინგი, სეტუბალი | |
| ოლიმპიაკოსი | აეკ | | | 8 საბერძნეთი | პანათინაიკოსი, პაოკ, იონიკოსი, არისი | |
| სპარტა | ტეპლიცე | | | 9 ჩეხეთი | სლავია | სიგმა |
| რუსენბორგი | | მიოლდე | | 10 ნორვეგია | სტაბეკი | ვიკინგი, ბოდო გლიმტი |
| | შტურმი | რაპიდი | | 11 ავსტრია | ლინცერი | გრაცერი |
| | სპარტაკი | ცსკა | | 12 რუსეთი | ზენიტი | ლოკომოტივი (მ) |
| | კროაცია | რიეკა | | 13 ხორვატია | ოსიეკი | • ჰაიდუკი |
| | გალათასარაი | ბეშიქთაში | | 14 თურქეთი | ფენერბაჰჩე | ანკარაგიუჯიუ |
| | ოლბორგი | ბრონდბიუ | | 15 დანია | აბ კოპენჰაგენი | ლიუნგბიუ |
| | სერვეტი | | | 16 შვეიცარია | ლოზანა | გრასჰოპერი, ციურიხი |
| | | დინამო (კ) | | 17 უკრაინა | კარპატი | შახტიორი, კრივბასი |
| | | ვიძევი | | 18 პოლონეთი | ამიცა | ლეგია, ლეხი |
| | | მტკ | | 19 უნგრეთი | დებრეცენი | ფერენცვაროში, უიპეშტი |
| | | გენკი | | 20 ბელგია | | ლიერსი, ბრიუგე, ანდერლეხტი |
| | | სლოვანი | | 21 სლოვაკეთი | | დუკლა, ინტერი, სპარტაკი |
| | | რაპიდი | | 22 რუმინეთი | | სტიაუა, დინამო |
| | | აიკ | | 23 შვედეთი | | გიოტებორგი, ჰელსინგბორგი |
| | | დინამო | | 24 საქართველო | | ტორპედო, ლოკომოტივი |
| | | ანორთოსისი | | 25 კვიპროსი | | აპოელი, ომონია |
| | | რეინჯერსი | | 26 შოტლანდია | | სელტიკი, კილმარნოკი, სტ. ჯონსტონი |
| | | ჰაპოელი (ჰ) | | 27 ისრაელი | | ჰაპოელი (თ-ა), მაკაბი (თ-ა) |
| | | მარიბორი | | 28 სლოვენია | | ოლიმპია, გორიცა |
| | | დნეპრტრანსმაში | | 29 ბელარუსი | | ბელშინა, ბეტა |
| | | | ვესტმანეიარი | 30 ისლანდია | | ლეიფტური, რეიკიავიკი |
| | | | ჰაკა | 31 ფინეთი | | ჰიკი, ვაასა |
| | | | სკონტო | 32 ლატვია | | რიგა, მეტალურგსი |
| | | | ლიტექსი | 33 ბულგარეთი | | ცსკა, ლევსკი |
| | | | სლოგა | 34 მაკედონია | | ვარდარი, სილექსი |
| | | | ჟალგირისი | 35 ლიტვა | | კარედა, კაუნასი |
| | | | პარტიზანი | 36 იუგოსლავია | | ცრვენა ზვეზდა, ვოივოდინა |
| | | | ზიმბრუ | 37 მოლდოვა | | შერიფი, კონსტრუქტორული |
| | | | ფლორა | 38 ესტონეთი | | ლევადია, ლანტანა, ტულევიკი |
| | | | ცემენტი | 39 სომხეთი | | ერევანი, შირაქი |
| | | | გლენტორანი | 40 ჩრდ. ირლანდია | | პორტადაუნი, ლინფილდი |
| | | | ვალეტა | 41 მალტა | | ბირკირკარა, შლემა |
| | | | ბერი თაუნი | 42 უელსი | | ინტერი, ქვიმბრან თაუნი |
| | | | სენტ პატრიკი | 43 ირლანდია | | ბრეი, კორკ სიტი |
| | | | ჰაფნარი | 44 ფარერები | | კლაკსვიკარი, ბ 36 ტორსჰაგენი |
| | | | ტირანა | 45 ალბანეთი | | ვლაუნია, ბილიში |
| | | | ჟენეს ეში | 46 ლუქსემბურგი | | მონდერკანჟი, დუდელანჟი |
| | | | ქაფაზი | 47 აზერბაიჯანი | | ნეფთჩი, შამქირი |
| | | | | ლიხტენშტაინი | | ვადუცი |
| | | | | ანდორა | | პრინჩიპატი |

# ქალთა სიმძაფრე

დღეიდან, ამერიკის ქალაქებში ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი სულ სხვა სიმძაფრით განაგრძობს სუნთქვას — იწყება პლეი ოფი, მეოთხედფინალური ეტაპი.

დღეს, 1995 წლის ჩემპიონი, ნორვეგიის ნაკრები შვედეთს, ერთ-ერთი ფავორიტი, ჩინეთი კი რუსეთს ეთამაშება. ეს მატჩები სან ხოსეში, „სპარტან სტედიუმზე" გაიმართება.

დანარჩენ ორ შეხვედრას ხვალ, ხუთშაბათს, მერილენდის ქალაქ რელონის სტადიონი „კენტ კუკი" უმასპინძლებს. იქ, უმთავრესი ფავორიტი, ტურნირის მასპინძელი, შეერთებული შტატების გუნდი, გერმანიას დაუპირისპირდება, ხოლო ბრაზილია ნიგერიასთან ჭიდილში გაარკვევს მორიგი ნახევარფინალისტის ვინაობას.

დღევანდელი წყვილების გუნდებზე ამბობენ, რომ ისინი მონათესავე საფეხბურთო სტილის მიმდევარნი არიან. კერძოდ, მათ მოთამაშეებს ბურთის დაბლა გორება და შეტევათა ნახევარდაცვიდან წამოწყება უყვართ. როგორც მოგახსენეთ, წყვილებში უპირატესობას ნორვეგიელები და ჩინელები ფლობენ. შვედები და რუსები მათთან ვერ მოვლენ, მაგრამ ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ამთავითვე განწირულები არიან.

„ნორვეგიის გუნდი ძალიან ორგანიზებულია და ძალისმიერი თამაში უყვარს. ამასთანავე, მას რამდენიმე ხალასი ნიჭით დაჯილდოვებული ფეხბურთელი ჰყავს. შესაბამისად, მისი დაძლევა ძალიან ძნელ ამოცანას წარმოადგენს" — ამბობს შვედეთის ნაკრების მწვრთნელი მარიკა დომანსკი ლიფორსი.

ნორვეგიელების დიდი პლუსი, მნიშვნელოვან შეხვედრებში ძალ-ღონის მოკრების უნარი გახლავთ. ამას გოლების გატანის ცოდნა და ალღოც ემატება: ჯგუფური ტურნირის სამ მატჩში 13-ჯერ დალაშქრეს მოწინააღმდეგის კარი, გაშვებით კი მხოლოდ ორი გოლი გაუშვეს.

მსოფლიოს ჩემპიონთა თავდასხმის მთავარი ფიგურა ხსენებული 13 გოლიდან სამის ავტორი, ან კრისტინ აარონესი გახლავთ, თუმცა, როგორც მოგახსენეთ, გუნდის კოზირი ერთსულოვანი კოლექტიური თამაშია.

ნორვეგიის ნაკრებს მეტ-ნაკლებად ჯანმრთელობის პრობლემაც აწუხებს. ოთხი წლის წინ, შვედეთში გამართული ჩემპიონატის ფინალში გერმანელ ქალთა მძლეველს იაპონიასთან ამასწინანდელ შეხვედრაში ცხვირგატეხილი ვეტერანი მცველი, ლინდა მედალენი გამოაკლდა. ბომბარდირი აარონესი კი მუხლს უჩივის.

„აარონესის მუხლი არ ჩანს სერიოზულად დაშავებული და ამიტომ განგაშის გრძნობა არ დამუფლებია" — ბრძანებს მწვრთნელი პერ-მათიას ჰომგო.

რაც შეეხება ნორვეგიის ნაკრების დაცვას, იგი მშვიდადაა, რამეთუ ზურგსუკან მეკარე ბენტე ნორდბიუ ეგულება, ხოლო მოედნის შუაგულს ჰეგე რიისე აკონტროლებს.

„ერთი სული მაქვს მეოთხედფინალამდე" — დასძენს ჰომგო — „შვედებთან თამაში სახალისოდაც კი მიმაჩნია და ერთობ იმედიანად ვარ განწყობილი".

ახლა შვედებზეც ვთქვათ: გუნდი, რომელიც ქალთა პირველ მსოფლიოს ჩემპიონატზე, 1991 წელს, მესამე ადგილზე გავიდა, მას მერე, საერთაშორისო შეჯიბრებებში, მეხუთე პოზიციას არ ასცილებია. მიმდინარე ჩემპიონატში მას ორი ლიდერი ჰყავს, ჯგუფური ტურნირის მატჩებში ორ-ორი გოლის ავტორები ვიქტორია სვენსონი და ჰანა ლიუნგბერგი.



სუნ ვენი — ჩინეთის მეტოქეთა რისხვა

„ნოვეგიელებთან შეხვედრაში ერთი შანსიც რომ ვიხელთო, გარწმუნებთ, ხელიდან არ გავუშვებ" — იქადნება სვენსონი.

ჩინეთი, 1996 წლის ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანი, გასულ სამ შეხვედრაში თვალსაჩინო აღმასვლას განიცდიდა. ჩინელთა ნებისმიერი მეტოქე დაცვაში კოშმარულ სირთულეებს აწყდება და ამ სირთულეთა მთავარი მიზეზი ხუთი გოლის ავტორი სუნ ვენი გახლავთ.

„ჩემი სურვილი ფინალში გასვლაა" — ამბობს სუნ ვენი — „იმედი მაქვს, რომ ხუთ გოლზე არ გავჩერდები. როგორც ყველა ფორვარდს, ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირობა მწადია".

სუნ ვენი განსაკუთრებით სახიფათო მაშინაა, როდესაც მარცხენაფლანგელი ნახევარმცველისაგან, ჟაო ლირონგისგან იღებს პასს. საგანგებოდ გამოსაყოფია მეკარე გაო ჰონგიც, რომელიც ქალი გოლკიპერის კვალობაზე, შეიძლება ითქვას, თავის ზონაში ჩიტს არ აჭაჭანებს.

„ძალიან კარგად მოგვეხსენება, რომ ჩინეთი ფავორიტია, მაგრამ ბოლო წამამდე ბრძოლას ახლავე ვპირდებით" — თქვა რუსმა ნახევარმცველმა ირინა გრიგორიევამ.

რუსთა სტილი უფრო შემტევია. გუნდის ორი თავდამსხმელი, ოლგა ლეტუჩოვა და ელენა ფომინა ორ-ორი გოლით იწონებენ თავს.

რაც შეეხება ნახევარფინალებს, ეს მატჩები 4 ივლისს კალიფორნიაში, პალო ალტოსა და მასაჩუსეტსში, ფოქსბოროზე გაიმართება. ფინალი 10 ივლისს ისევ კალიფორნიაში, პასადენას „როუზ ბოულზეა" დანიშნული.

**მიხეილ სურგულაძე**



ესპანურმა „დეპორტივომ" სანტანდერის „რასინგიდან" პორტუგალიის ახალგაზრდული ნაკრების და მადრიდის „რეალის" ყოფილი წევრი ვიქტორ სანჩესი შეიძინა. ლაკორუნიულმა კლუბმა სანჩესის სანაცვლოდ 6,9 მილიონი დოლარი გადაიხადა.

**იტალიური „რომას" წარმომადგენელთა განცხადებით, რომაული კლუბი აღარ აპირებს „მალიორკას" კამერუნელი მცველის — ლაურენის გადაბირებას. „7 მილიონი გირვანქა ლაურენი ნამდვილად არ ღირს. გარდა ამისა, ჩვენ გვყავს ვინსენტ კანდელა, რომელიც აღარსად აპირებს გადასვლას, და ახალ შეძენილი პარაგვაელი კარლოს გამარა, ასეთი მცველების პატრონ „რომას" კამერუნელი არ სჭირდება" — განაცხადა იტალიური კლუბის მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ. ამ გარიგების ჩაშლის მიუხედავად, ლაურენს „მალიორკაში" დარჩენა არ სურს და იმედოვნებს, რომ ექტორ რაულ კუპერთან ერთად ისიც „ვალენსიაში" გადავა.**

ავსტრალიის 17-გუნდიანი საფეხბურთო ჩემპიონატი 1999-2000 წლების სეზონში შესაძლოა 19-იანი გახდეს. საქმე ისაა, რომ მწვანე კონტინენტის საფეხბურთო პირველობაში მონაწილეობის სურვილი ორმა ახალზელანდიურმა კლუბმა — „პოუერმა" და „კინგზმა" გამოთქვა. ამ საკითხთან დაკავშირებით 5 ივლისს ავსტრალიელი და ახალზელანდიელი ფეხბურთის მამები ხვდებიან ერთმანეთს. ალბათ, ყველაფერი იქ გაირკვევა.

**ისრაელის ეროვნული ნაკრებისა და ინგლისური „ვესტ ჰემის" ნახევარმცველი ეიალ ბერკოვიჩი ლონდონური კლუბის დატოვებას აპირებს. „სამწუხაროა, რომ უიალო მიდის. უკვე ყველაფერი გადაწყდა. ამ კვირაში იგი სხვა კლუბში გადავა" — განაცხადა „ჩაქუჩთა" წარმომადგენელმა გრემ მაკრელმა. სავარაუდოდ, ბერკოვიჩი ლონდონიდან გლაზგოში წავა და იქაურ „სელტიკში" ჩაირიცხება.**

საფრანგეთის ნაკრებისა და ლონდონის „არსენალის" თავდამსხმელი ნიკოლა ანელკა მომავალი პარასკევიდან შესაძლოა, რომის „ლაციოს" წევრი გახდეს. „ჩემი ოცნება „რეალში" თამაშია, მაგრამ თუ ასე არ მოხდა, რატომაც არ გადავალ „ლაციოში"? მითუმეტეს, რომ აპენინებზე ძალის მოსინჯვას ყოველთვის ვაპირებდი" — განაცხადა ანელკამ. ვიჩენცო მორაბიტოს თქმით, რომელიც „ლაციოს" ხელმძღვანელობამ საგანგებოდ ფრანგი თავდამსხმელის გადაბირების მიზნით დაიქირავა, შეთანხმება პრაქტიკულად მიღწეულია და ანელკას რომაული კლუბის წევრად გახდომა მხოლოდ დროის ამბავია.

**ინგლისის პოლიციის განცხადებით, „მანჩესტერ იუნაიტედის" ირლანდიელი კაპიტანი როი კინი გასულ თვეში მომხდარი ინციდენტის გამო არ დაისჯება. შეგახსენებთ, რომ 27 წლის კინს 18 მაისს მანჩესტერის ერთ-ერთ ბარში ხულიგნობა და ქალის ცემა ედებოდა ბრალად.**

გერმანული ბუნდესლიგის ბინადარმა ფრანკფურტის „აინტრახტმა" უნგრეთის ეროვნული ნაკრების წევრი ტიბორ დომბი შეიძინა. 24 წლის დომბმა, რომელიც გერმანულ კლუბში უნგრული „დებრეცენიდან" გადავიდა, ახალ კლუბთან ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

**შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში გამართულ სხდომაზე ფიფას და უეფას წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ისინი ყველანაირ დახმარებას გაუწევენ კოსოვოში მდებარე ბავშვთა საფეხბურთო სკოლებს, რომლებშიც სულ 80 ათასი მოზარდი ვარჯიშობს. უკვე გადაწყვეტილია მათთვის 10 ათასი საფეხბურთო კომპლექტის გადაცემა. თითოეულში ბურთი, სათამაშო კოსტიუმი, ბუცები და სპორტული ჩანთა შედის. ფიფას და უეფას ამ კეთილშობილურ წამოწყებას, ბავშვთა საერთაშორისო ორგანიზაცია UNCEF-მაც დაუჭირა მხარი.**

რუსეთის საფეხბურთო ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის კლუბ „როტორის" პრეზიდენტ ვლადიმერ გორიუნოვის ვაჟი, რომანი, თავის მეგობარ ალექსანდერ ჩერნოვთან ერთად, რუსეთის პოლიციამ ვოლგოგრადის მახლობლად მდებარე ტყესთან უგონოდ მყოფი იპოვა. 20 წლის რომან გორიუნოვი, რომელიც სადისტურად არის ნაცემი, ამჟამად კომაშია და ვოლგოგრადის ერთ-ერთ საავადმყოფოში წევს. ვლადიმერ გორიუნოვის განცხადებით, რომელიც რუსეთის პარლამენტის წევრიცაა, ვოლგოგრადულ კლუბს მტრები ჰყავს და მის შვილზე წინასწარ ორგანიზებული თავდასხმა განხორციელდა. აღსანიშნავია, რომ გასულ წელს „როტორის" წამყვან ფეხბურთელ ვალერი ვერეტენიკოვსაც დაესხნენ თავს, თუმც ამას მძიმე შედეგები არ მოჰყოლია.

**ალჟირის ახალგაზრდული ნაკრები ტუნისის ეროვნულ გუნდთან გასულ ორშაბათს მიღწეული ფრით პირველი გუნდი შეიქნა, რომელიც მომავალ სექტემბერს სამხრეთ აფრიკაში გასამართ სრულიად აფრიკულ თამაშებში მიიღებს მონაწილეობას.**

# აბა, იაფად, იაფად!



ჟუნინიო

ბრაზილიელი გამთამაშებელი ჟუნინიო მადრიდის „ატლეტიკომ" შეიძლება გაყიდოს. ესპანური რადიოს ცნობით, ქვეყნის თასის ფინალში დამარცხებული კლუბის ხელმძღვანელობას იგი აღარ სჭირდება.

ჟუნინიო ესპანურ კლუბში ორი წლის წინ გადავიდა ინგლისური „მიდლსბროდან", თუმცა „ატლეტიკოში" ძირითად შემადგენლობაში ადგილის დაბევება ძალიან გაუჭირდა, ორი წლის წინ მადრიდელებმა ალბიონურ კლუბს 19,7 მილიონი დოლარი გადაუხადეს.

— „ატლეტიკო" განიხილავს ყველა წინადადებას ჟუნინიოს შესახებ, ოღონდ ერთი აუცილებელი პირობით — საუბარი მხოლოდ და მხოლოდ 15,6 მილიონი დოლარიდან დაიწყება — განაცხადა „ატლეტიკოს" პრესატაშემ.

ბრაზილიელი კლუბს აღარ სჭირდება, არადა, გაზაფხულზე რა ამბავი ატყდა მის ირგვლივ! მადრიდელთა იტალიელი მწვრთნელი არიგო საკი ჟუნინიოს იშვიათად ათამაშებდა და სწორედ მაშინ გადაწყვიტა მოთამაშემ სხვაგან გადასვლა. „მიდლსბრო" და „ასტონ ვილა" მზად იყვნენ, „ატლეტიკოსთვის" სათანადო საკომპენსაციო თანხა გადაეხადათ, მაგრამ გუნდის ხელმძღვანელობამ ფეხბურთელის გასხვისება იუარა.

ფეხბურთელს უნდოდა წასვლა — გუნდი არ უშვებდა, გუნდი უშვებდა — ფეხბურთელი არ მიდიოდა...

...მერე კლუბში რადომირ ანტიჩი დაბრუნდა, მწვრთნელი, რომელმაც ჟუნინიო „მიდლსბროდან" „ატლეტიკოში" გადაიყვანა. ბრაზილიელი კვლავ ათამაშდა, მაგრამ მწვრთნელი ახლა ისევ შეიცვალა — გუნდის თავკაცად ისევ იტალიელი მოვიდა.

„ვალენსიადან" გადასულმა კლაუდიო რანიერიმ „ატლეტიკოს" განახლება გადაწყვიტა. სახეცვლილება კი ჟუნინიოს გასხვისებით იწყება.

# ბლანი ინტერში

საფრანგეთის ნაკრების მცველი ლორან ბლანი სავარაუდოდ მილანის „ინტერში" გადავა და ძველ მეგობარს, ბრაზილიელ თავდამსხმელ რონალდოს შეუერთდება.

ვეტერანი ფეხბურთელი 1996-97 წლების სეზონში თამაშობდა რონალდოსთან ერთად „ბარსელონაში", ახლა კი „მარსელის" მცველი მილანშია და „ინტერთან" კონტრაქტის საკითხებს ათანხმებს.

მილანელები ბლანის სანაცვლოდ 2,6 მილიონ დოლარს იხდიან.

„ინტერის" განცხადებით, ბლანის გარდა შეიძლება „მარსელის" ცენტრალური მცველი სირილ დომორო შეიძინონ.

— ლორან ბლანი მილანში იყო და კლუბში გადასვლის საკითხებს აგვარებდა — განაცხადა „ინტერის" პრესატაშე სანდრო საბატინიმ და დასძინა — მოლაპარაკებები საკმაოდ კარგად მიმდინარეობს, თუმცა საბოლოოდ შეთანხმებული ჯერ არაა.

ლორან ბლანი, „მარსელის" კაპიტანი და 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, რომელმაც ბრაზილიელებთან ფინალი დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა, ზღვისპირა კლუბში „ბარსელონადან" 1997 წლის ზაფხულში გადავიდა.

— თუ ტრანსფერი განხორციელდა, ეს შესანიშნავი იქნება — განაცხადა ბლანმა.

# ბილეთები, ბილეთები

— ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე ტურნირზე დასასწრები ბილეთების საერთო რაოდენობის ნახევარი გაიყიდება — განაცხადეს 2000 წლის ბელგია — ჰოლანდიის ევროპის ჩემპიონატის ორგანიზატორებმა.

გულშემატკივრებმა უკვე დიდი ხანია, დაიწყეს ბილეთებზე „ნადირობა", ჩემპიონატის ორგანიზატორები კი ჯერჯერობით არ ჩქარობენ.

როგორც გაირკვა, ბილეთები წინასწარ დადგენილ დროის მონაკვეთებში გაიყიდება. პირველი ასეთი ეტაპი გასულ 29 მარტს დაიწყო და 7 მაისს დასრულდა. სწორედ იმ 10 დღეში ბილეთების საერთო რაოდენობის 34 პროცენტი გაიყიდა.

— ფინალის, ორივე ნახევარფინალის და სამი მეოთხედფინალის ბილეთების უმეტესობა უკვე გაყიდულია. ამას გარდა კიდევ ერთი მილიონი მოთხოვნა მოვიდა, მათ შორის 400 ათასი მხოლოდ ბელგიის და ჰოლანდიის ეროვნული ნაკრების გულშემატკივრებისა" — განაცხადა ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენელმა.

ბილეთების უდიდესი ნაწილი 2000 წლის იანვრიდან გაიყიდება, რადგან იმ დროისთვის ტურნირის ყველა მონაწილე გაირკვევა. შეგახსენებთ, რომ ამჟამად მომავალი ევროპის ჩემპიონატის მხოლოდ სამი მონაწილეა ცნობილი. ბელგიისა და ჰოლანდიის ეროვნულ გუნდებთან ერთად ევროპის უპირველეს საფეხბურთო ტურნირზე ასპარეზობის უფლება ჩეხეთმაც დაიბევა.

**კობა ჭკადუა**

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი
☎ 99 67 67, 98 30 20

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლუკე. „ესტადიო ლუკეენო"



ასუნსიონი. „ესტადიო დეფენსორეს დელ ჩაკო"

# სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატის განრიგი

39a. Copa América Paraguay '99

**A ჯგუფი**

| | | |
|---|---|---|
| 29.06.99 | ასუნსიონი | პერუ — იაპონია |
| 29.06.99 | ასუნსიონი | პარაგვაი — ბოლივია |
| 02.07.99 | ასუნსიონი | პერუ — ბოლივია |
| 02.07.99 | ასუნსიონი | პარაგვაი — იაპონია |
| 05.07.99 | კაბალერო | იაპონია — ბოლივია |
| 05.07.99 | კაბალერო | პარაგვაი — პერუ |

**B ჯგუფი**

| | | |
|---|---|---|
| 30.06.99 | ესტე | ჩილე — მექსიკა |
| 30.06.99 | ესტე | ბრაზილია — ვენესუელა |
| 03.07.99 | ესტე | ბრაზილია — მექსიკა |
| 03.07.99 | ესტე | ჩილე — ვენესუელა |
| 06.07.99 | ესტე | მექსიკა — ვენესუელა |
| 06.07.99 | ესტე | ბრაზილია — ჩილე |

**C ჯგუფი**

| | | |
|---|---|---|
| 01.07.99 | ასუნსიონი | ურუგვაი — კოლუმბია |
| 01.07.99 | ლუკე | არგენტინა — ეკვადორი |
| 04.07.99 | ლუკე | ურუგვაი — ეკვადორი |
| 04.07.99 | ლუკე | არგენტინა — კოლუმბია |
| 07.07.99 | ლუკე | კოლუმბია — ეკვადორი |
| 07.07.99 | ლუკე | არგენტინა — ურუგვაი |

**მეოთხედფინალი**

1. 10.07.99 კაბალერო .................................... 2A — 2B
2. 10.07.99 ასუნსიონი ................ 1A — მესამეადგილოსნებს შორის მეორე
3. 11.07.99 ლუკე ..................... 1C — მესამეადგილოსნებს შორის საუკეთესო
4. 11.07.99 ესტე .................................... 1B — 2C

**ნახევარფინალი**

13.07.99 ასუნსიონი .... მეორე და მესამე მეოთხედფინალებში გამარჯვებულნი
14.07.99 ესტე ....... პირველ და მეოთხე მეოთხედფინალებში გამარჯვებულნი

**მატჩი მესამე ადგილისთვის**

17.07.99 კაბალერო

**ფინალი**

18.07.99 ასუნსიონი



კაბალერო. „ესტადიო რიო პარაპიტი"



ესტე. „ესტადიო სიდად დელ ესტე"

# რატომ ლურჯი და არა მწვანე?

FEDERAZIONE ITALIANA GIUCO CALCO

ამა თუ იმ ქვეყნის ფეხბურთელთა ნაკრების ფორმა უმეტეს შემთხვევაში სახელმწიფოს დროშის ფერებითაა განპირობებული. მაგალითად, ბრაზილიის ნაკრების სამოსელი მწვანე-ყვითელია. ინგლისი თეთრი მაისურათია ცნობილი — ქვეყნის დროშის ძირითადი ფერი ხომ თეთრია. საფრანგეთის ნაკრების ფორმა ლურჯია — მათი სამფეროვანი ალმის პირველი ფერიც ხომ ლურჯია. იგივე ითქმის ესპანეთზე, არგენტინაზე, ნორვეგიაზე, შვედეთზე...

ყველა ზემოჩამოთვლილი მაგალითის გათვალისწინებით, ცოტა არ იყოს უცნაურია, რომ ისეთი საფეხბურთო ქვეყანა, როგორიც იტალიაა, თამაშობს ლურჯი მაისურათი, როცა დროშაში ასეთი ფერი არ ურევია.

რა არის ამის მიზეზი? ბევრმა იტალიელმა გულშემატკივარმა (სხვებზე რომ აღარაფერი ვთქვათ), ალბათ, არც კი იცის, რატომ თამაშობს მისი საყვარელი გუნდი ლურჯი მაისურათი, რატომ ინოდება იგი „სკუადრა აძურად", როცა ეროვნული დროშა მწვანე-წითელია.

მოდით, „სკუადრა აძურათი" დავიწყოთ. იტალიურ ენაზე „სკუადრა", როგორც ცნობილია, გუნდს ნიშნავს, რაც შეეხება „აძურას", ქართული „ცისფერის" შესატყვისია. შესაბამისად, ამ ორი სიტყვის ერთობლიობა ქმნის „ცისფერ გუნდს". იტალიის „სკუადრა აძურად" მოხსენიება იმითაა გამოწვეული, რომ გუნდი ლურჯი ფერის მაისურათი თამაშობს, მაგრამ რატომ ლურჯით და არა მწვანეთი ანაც წითლით?

...სანამ იტალია რესპუბლიკად გამოცხადდებოდა, ქვეყანას მეფე მართავდა. იტალიის უკანასკნელი სამეფო გვარი პიემონტი გახლდათ, რომლის საგვარეულო დროშაში ლურჯი ფერი ჭარბობდა. მას შემდეგ, რაც 40-იან წლებში სახალხო რეფერენდუმმა აპენინები რესპუბლიკად გამოაცხადა და მონარქია გაუქმდა, ოფიციალურად გამოცხადდა სწორედ ის დროშა, რომელიც იტალიას ახლაც აქვს. სხვათა შორის, სამფეროვანი ალამი (მწვანე-თეთრ-წითელი ფერებით) იტალიელებს ნაპოლეონმა უბოძა, როცა იტალიის ჩრდილოეთში დაქუცმაცებულ საგვარეულოებს აერთიანებდა და რესპუბლიკას აარსებდა.

მიუხედავად იმისა, რომ იტალიის ხელისუფლებამ ოფიციალურად დაამტკიცა მწვანე-თეთრ-წითელი დროშა, ქვეყნის უკანასკნელი სამეფო დინასტიის, პიემონტების საგვარეულოს ფერი — ლურჯი, მაინც იტალიის სიმბოლოდ დარჩა.

იტალიის ნაკრებს „სკუადრა აძურად" რომ მოიხსენიებენ, სწორედ ზემოხსენებული მიზეზითაა გამოწვეული — ოფიციალური დროშა ოფიციალურ დროშად, მაგრამ სამეფო გვარის ფერი...

„სკუადრა აძურაზე" საუბარს აქვე დავამთავრებდით, მაგრამ რახან იტალიელთა უკანასკნელი სამეფო ოჯახი ვახსენეთ, აქვე ერთ საინტერესო, ოღონდ არასაფეხბურთო ამბავსაც გეტყვით.

იტალიის უკანასკნელი მეფე, პიემონტთა საგვარეულოს წარმომადგენელი უმბერტო ძალიან განათლებული პიროვნება ყოფილა. სხვათა შორის, ტანმორჩილი უმბერტო ბრწყინვალედ იცნობდა ქართულ კულტურას და ისიც სცოდნია, რომ ქართველები ღვინის მოყვარული ხალხია.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ამბავი ასეთია: თბილისის ყოფილი სამხედრო გუბერნატორი შალვა მაღლაკელიძე, რომელიც საქართველოდან ჩვენში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გადაიხვეწა, 30-40-იანი წლების შესაყარზე იტალიას სწვევია და მეფე უმბერტოსაც შეხვედრია. ქართველ ემიგრანტს მეფესთან 15-წუთიანი შეხვედრის უფლება ჰქონია, თუმც მონარქი სტუმართან შეხვედრას იმდენად გაუტაცია, რომ ქართველ მოსაუბრესთან გაცილებით დიდი დრო გაუტარებია.

...გავიდა წლები. სახალხო არჩევნებმა იტალია რესპუბლიკად გამოაცხადა. უმბერტომ კი ქუდი დაიხურა და აპენინის ნახევარკუნძული მშვიდად დატოვა. მისი შთამომავლები დღესაც ცხოვრობენ საფრანგეთის ქალაქ ალბერვილში. სხვათა შორის, თავად უმბერტოს სამშობლოში დაბრუნების უფლება არ ჰქონდა.

რაც შეეხება შალვა მაღლაკელიძეს, იგი თბილისში გარდაიცვალა 70-იან წლებში. ევროპის შუაგულში გადახვეწილი ემიგრანტი სამშობლოში საბჭოთა ხელისუფლებამ „დააბრუნა" — მაშინდელ ვესტ (დასავლეთ) ბერლინიდან ისტ (აღმოსავლეთ) ბერლინში გადაიტყუეს, იქიდან კი მისი მოსკოვში ჩაყვანა აღარ გასჭირვებიათ...

ლაშა გოდუაძე

ქირავდება
ერთოთახიანი ბინა
ქავთარაძის ქუჩაზე
Tel: 93 15 72

# დიდი ჩვიდმეტი

*იყო თუ არა? დაისმება კითხვა და მასზე პასუხის გაცემას, ხანდახან, ათწლეულები სჭირდება. ალბათ, ფეხბურთი იმიტომაც არის დიდებული, რომ ვნებათაღელვასთან ერთად დაუსრულებელი კამათისა და მსჯელობის საბაბს იძლევა. კამათი ბევრს კამათად აინტერესებს, ზოგი კი სადავო ეპიზოდს დაუფიქრდება და იბადება ახალი ტაქტიკური სვლა, განლაგება, ვარიანტი..*

## კანონი 11

იყო თუ არა? დღემდე არავინ იცის იყო თუ არა ინგლისელი ჯეფ ჰერსტის გოლი 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში. იმ შეხვედრის თანამსაჯმა, ბაქოელმა საბჭოელმა ტოფიკ ბახრამოვმა ბურთი კარის ხაზს შიგნით დაინახა, მაგრამ ეპიზოდზე, აგერ უკვე 36 წელიწადია კამათობენ. ამასწინათ, კომპიუტერული ანალიზიც კი ჩაატარეს და დაადგინეს ბახრამოვი შეცდაო, მაგრამ სხვა ინსტიტუტმა, არანაკლები აპარატურის დახმარებით, საპირისპირო დაასკვნა.

იყო თუ არა, მაგალითად რამაზ შენგელიას მიერ, 1981 წლის თასების თასის ნახევარფინალში, როტერდამის „ფეიენოორდის“ კარში გატანილი გოლი ჩასათვლელი? ქართველი გულშემატკივარი ცალსახად ამტკიცებდა, რომ გოლი უნდა ჩათვლილიყო, მაგრამ ამასწინათ, როდესაც ის მომენტი უკვე 17 თუ 18 წლისა გახდა, ამ სიტყვების ავტორმა, იმავე ქართველ გულშემატკივარს შორის ატეხილი საკმაოდ ცხარე დავა მოისმინა. აქ შენგელიას გოლის აღწერასა და განხილვას არ ვაპირებთ, მაგრამ თავისთავად ის ფაქტი, რომ მრავალი წლის მერე ძველ თემაზე დავა ისევ ცხარე იყო, მრავლის მეტყველია.

ანდა, გავიხსენოთ რამაზ შენგელიას სხვა გოლი, 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე, სსრკ-ს ნაკრების შემადგენლობაში, ბრაზილიელთა კარში გატანილი.

იყო თუ არა?

გოლები, ქართული ფეხბურთის ვარსკვლავს რომ არ ჩაუთვალეს, (ჰერსტისა სხვა შემთხვევა გახლდათ) მსაჯების აზრით თამაშგარე მდგომარეობიდან ანუ საერთაშორისო ენაზე რომ ვთქვათ, ოფსაიდიდან გავიდა. ჩვენი წერილის თემაც სწორედ ოფსაიდი გახლავთ.

## როგორ მოდიოდა ოფსაიდი

ოფსაიდზე საუბარი მე-19 საუკუნის შუიდან უნდა დავიწყოთ. მისი პრინციპი იმთავითვე განისაზღვრა: თუ მოთამაშე ბურთზე წინ ანუ ბურთსა და მეტოქის კარს შორის მოხვდებოდა, მასზე ამბობდნენ „Off his side“ ანუ თავის გუნდს გარეთ არისო. სხვანაირად, თვლიდნენ, რომ იგი გუნდს გამოეყო, დაშორდა ანუ დააშავა.

10 ივნისის „სარბიელში“ გამოქვეყნებულ წერილში „ფეხბურთის ოთხთავი“, მოყვანილი გახლდათ იმ პერიოდის წესთა ოთხი ვერსია. თუ დავაკვირდებოდით, ვნახავდით, რომ 1857 წელს,შეფილდში მოგონებულ წესთა შორის ოფსაიდის განმსაზღვრელი ერთიც არ იყო, ამიტომაც შეფილდურად მოთამაშე გუნდების ფეხბურთელები ბურთს მთელი ძალით არტყამდნენ წინ, მეტოქის კარისკენ, სადაც მას თანაგუნდელები ელოდნენ.

მაგრამ, მოგეხსენებათ, შეფილდის გარდა ფეხბურთს ინგლისის სხვა ქალაქებსა და სოფლებშიც თამაშობდნენ, სადაც ოფსაიდი აუცილებელ წესად მიაჩნდათ. ისინი თვლიდნენ, რომ ნებისმიერი ფეხბურთელი ბურთის უკან უნდა ყოფილიყო. დღევანდელ ფეხბურთს შეჩვეული კაცისთვის ასეთი რამ მართლაც ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ მოდით, უფრო მარტივად გამოვთქვათ აზრი: მათებურ ფეხბურთში პასის წინ გადაწოდება არ შეიძლებოდა და ამიტომაც შეტევის ერთადერთ ხერხად დრიბლინგი რჩებოდა.

ფეხბურთი ამას დიდხანს ვერ იგუებდა და არც იგუა. მალე გამოჩნდა, რომ პასის წინ გადაწოდება აუცილებელია ხოლო ოფსაიდის წესი შესაცვლელი. 1848 წელს შექმნილ — დაბეჭდილი კემბრიჯის უნივერსიტეტის წესებით თუ ფეხბურთელსა და მოწინაალმდეგის კარს შორის სულ მცირე სამი ფეხბურთელი იდგა, ოფსაიდი არ ფიქსირდებოდა. ეს გახლდათ ონსაიდი ანუ მოთამაშე გუნდს არ გამოჰყოფია, თუმცა სრულყოფამდე ჯერ დიდი გზა იყო გასავლელი.

კემბრიჯისგან განსვავებით აპინგემში (1862) პასის წინ გადაწოდება ჯიუტად არ მოსწონდათ. მათი კანონების მე-9 პუნქტი ბრძანებდა: „თუ თანაგუნდელების დარტყმულმა ბურთმა მოთამაშეს ჩაუქროლა, იგი მას არ უნდა შეეხოს სანამ მეტოქე ან მისი რომელიმე თანაგუნდელი არ მიეკარება“. ბუნებრივია „მისი რომელიმე თანაგუნდელი“ ბურთს უკნიდან უნდა დაწეოდა.

1863 წელს ოფსაიდის წესის აპინგემური ვარიანტი ფეხბურთის ასოციაციამაც გაიზიარა.

1860-იანი წლებიდან დაწყებული ოფსაიდის წესი საგანგებო დავის საგნად იქცა. საინტერესოა, რომ 70-იანებში, თითქოს ყველაზე უკიდურესმა, შეფილდმა შესთავაზა საზოგადოებრიობას ყველაზე პროგრესული ვერსია, მოთამაშესა და მეტოქის კარს შორის მხოლოდ ერთი ფეხბურთელი დავტოვოთო, მაგრამ ასოციაციამ კემბრიჯული „სამეული“ ამჯობინა.

მოგეხსენებათ, საბოლოოდ ერთი ფეხბურთელის იდეამ გაიმარჯვა, მაგრამ ეს დიდი ხნის მერე, 1925 წელს მოხდა. მანამდე, ცოტა ხნით ადრე კი სამი ორამდე შეამცირეს, რითაც გოლების რაოდენობის გაზრდა სცადეს.

## ოფსაიდი

ფეხბურთის წესთა დღევანდელი წიგნის XI კანონი ბრძანებს:

ფეხბურთელი თამაშგარე მდგომარეობაშია თუ მისკენ პასის გადაწოდების მომენტში იგი მეტოქის კარის ხაზთან ბურთზე და ბოლოს წინა მეტოქეზე ახლოსაა.

მოთამაშე თამაშგარე მდგომარეობაში არ არის თუ იგი მოედნის საკუთარ ნახევარზეა: თუ იგი ბოლოს წინა მეტოქესთან ერთ ხაზზეა ან თუ იგი ბოლო ორ მეტოქესთან ერთ ხაზზეა.

ოფსაიდის დროს ფეხბურთელი ისჯება თუ, მსაჯის აზრით, იგი აქტიურობს ანუ ერევა თამაშში, ხელს უშლის მეტოქეს ან წინ მიიწევს.

ოფსაიდი არ ფიქსირდება თუ მოთამაშემ ბურთი კარიდან დარტყმის, აუტის ან კუთხურის გზით მიიღო.

ნებისმიერი ოფსაიდის დროს მსაჯი ნიშნავს თავისუფალ დარტყმას თამაშგარეში მოხვედრილი ფეხბურთელის გუნდის კარის მიმართულებით, იმ ადგილიდან, სადაც წესის დარღვევა დაფიქსირდა. თუ ოფსაიდი მეკარის ბაქანში დაფიქსირდა, თავისუფალი დარტყმა ბაქნიდან უნდა შესრულდეს.

## განვმარტოთ

იყო თუ არა ოფსაიდი? ეს კითხვა ზუსტად იმ ხნისაა, რა ხნისაც თავად ფეხბურთი გახლავთ, მიზეზი კი საკუთრივ წესის არსში უნდა ვეძიოთ. თეორიულად, თითქოს ყველაფერი ნათელია, მაგრამ სინამდვილეში მსაჯებს ნაირგვარი ვითარება ხვდებათ და დიდი ინტერპრეტაციის საშუალება ეძლევათ. სწორედ ამიტომ, ნებისმიერი არბიტრი სრულად უნდა გრძნობდეს იმ პასუხისმგებლობას, ოფსაიდის შეფასების დროს რომ ეკისრება.

საუკუნის გამოცდილება გვაჩვენებს, რომ არბიტრი თეორიას არ უნდა აჰყვეს, იგი ფაქტებს უნდა დაეყრდნოს. გასათვალისწინებელია, რომ თამაშგარე მდგომარეობის წესი დაცვითია. ერთი და იგივე მოთამაშე შეიძლება უამრავჯერ მოხვდეს ოფსაიდში, მაგრამ მსაჯი მას არ გააფრთხილებს, უბრალოდ შეტევა ჩაიშლება და დაინიშნება თავისუფალი დარტყმა საპირისპირო მიმართულებით.

თამაშგარე მდგომარეობის სირთულე ისაა, რომ მსაჯმა, დიდი დაშორებით (მოედნის მთელ სიგანეზე) განლაგებული ფეხბურთელებს ადგილმდებარეობა ერთბაშად უნდა შენიშნოს.

## თანამსაჯის როლი

თამაშგარე მდგომარეობის შეფასებაში გადამწყვეტი როლი თანამსაჯებს ენიჭებათ. ვინაიდან მსაჯი წინა პასის დროს ოფსაიდის ხაზიდან შეიძლება 50 მეტრშიც კი იდგეს, მისთვის წესის დარღვევის ზუსტად შენიშვნა შეუძლებელია და იგი იძულებულია კოლეგებს ენდოს. სწორედ ამიტომ თანამსაჯი გამუდმებით და გაფაციცებით უნდა ცდილობდეს იდგეს უკანა მცველის გასწვრივ და სწრაფი, სპრინტერული გარბენისთვის იყოს მზად. სხვანაირად რომ ვთქვათ, თანამსაჯს უკანა მცველის მხრის გასწვრივ მუდმივად უნდა ჰქონდეს გავლებული წარმოსახვითი ხაზი მოედნის სიგანეზე.

## რატომ ცდებიან?

თანამსაჯი დაუყოვნებლივ წევს ალამს, ბურთს კი გრძელი გზა აქვს გასაფრენი და ბოლოს სულ სხვაგან, სხვა ვითარებაში ხვდება.

თანამსაჯი მოედნის სიღრმეზეა კონცენტრირებული და ამ დროს მის ცხვირწინ, ოფსაიდში მდგომ მოთამაშეს ვერ ამჩნევს.

თანამსაჯს ეფარებოდნენ და ვერ შენიშნა, რომ ბურთი შემტევს დამცველი გუნდის ფეხბურთელმა გადააწოდა.

თანამსაჯმა ძალიან დიდი პაუზა გააკეთა და მოედანზე სრულიად სხვა ვითარება შეიქმნა. თამაშგარე მდგომარეობის ეპიზოდი კარგა ხანია წარსულს ჩაბარდა.

თანამსაჯმა ვერ შენიშნა, რომ თამაშგარეში მოხვედრილმა ფეხბურთელმა მდგომარეობით ისარგებლა. მაგალითად ხარიხიდან ასხლეტილ ბურთს დაამატა.

თანამსაჯმა ყოყმანით აწია ალამი და მყისვე დაუშვა.

თანამსაჯი არ იდგა ბოლოს წინა მცველის გასწვრივ.

## კიდევ

კარში პირდაპირი დარტყმის დროს, ოფსაიდიში მოხვედრილმა ფეხბურთელმა ითამაშა თუ არა როლი შექმნილ სიტუაციაზე, მხოლოდ მსაჯის გადასაწყვეტია.

ჯარიმის დარტყმის დროს თუ ოფსაიდში მოხვედრილმა ფეხბურთელმა დამცველი გუნდის მეკარეს ხელი შეუშალა, ჟესტიკულირებდა ან ყვიროდა, მსაჯი ამ ოფსაიდს დააფიქსირებს.

თუ მოთამაშემ შენიშნა, რომ თამაშგარეში მოხვდა და იმისათვის, რომ მისი გუნდის შეტევა არ შეაჩერონ, დემონსტრაციულად ტოვებს მოედანს, მსაჯს შეუძლია არ შეაჩეროს შეტევა.

მცველს, იმისათვის რომ მეტოქის თავდამსხმელი ოფსაიდში დატოვოს, მოედნიდან გასვლა არ შეუძლია.

## სიტუაციები

განვიხილოთ რამდენიმე საჩოთირო სათამაშო სიტუაცია, რომელიც შეიძლება მატჩის დროს შეიქმნას.

1. შემტევი გუნდის ერთი მოთამაშე მეორეს აწვდის ბურთს, რომელიც მცველს ხელზე ხვდება და ოფსაიდში მყოფ მესამე შემტევთან მიდის.

მსაჯი თამაშს აჩერებს და ოფსაიდს აფიქსირებს, რადგან მესამე შემტევმა ბურთი თამაშგარე მდგომარეობაში ყოფნის დროს მიიღო. მცველისგან შემთხვევით ასხლეტილი ბურთი, მეტოქის პასად არ ითვლება ანუ ოფსაიდი ოფსაიდად რჩება.

2. შემტევი გუნდის ერთი ფეხბურთელი მეორეს აწვდის ბურთს, ამ დროს მცველი მის ხელით შეჩერებას ლამობს, მაგრამ ვერ ახერხებს და ასხლეტილი ბურთი ოფსაიდში მდგომ მესამე შემტევთან მიდის.

მასჯი თამაშს აჩერებს, რადგან მესამე შემტევი თამაშგარე მდგომარეობაში იმყოფებოდა, მაგრამ მცველი, რომელიც ბურთის ხელით შეჩერებას ლამობდა ყვითელი ბარათით უნდა დაისაჯოს.

3. შემტევი გუნდის ერთი ფეხბურთელი მეორეს აწვდის ბურთს, ამ დროს მცველი ხელით აჩერებს მას, მაგრამ დაუყოვნებლივ შესრულებულ პასს შემთხვევით მესამე შემტევს აწვდის, ის კი ოფსაიდშია.

მასჯი თამაშს არ აჩერებს და მიუხედავად მცველის გაფრთხილების სურვილისა, თვლის, რომ თამაშგარეში მოხვედრილმა მესამე შემტევმა პასი მეტოქისგან მიიღო. თუმცა, აქ ყველაფერი მოვლენათა განვითარების სისწრაფეზეა დამოკიდებული. იმ შემთხვევაში თუ მცველი, რომელმაც ბურთი ხელით დაიმორჩილა, ბურთს ოფსაიდში დარჩენილ მეტოქეს დიდი დაყოვნების მერე აწვდის, მსაჯმა თამაში უნდა შეაჩეროს, მცველი გააფრთხილოს და მისი გუნდის კარის მიმართულებით ჯარიმა დანიშნოს.

## დაბოლოს

ოფსაიდის თემა ამოუწურავია. ამიტომაც მის შესახებ ყოვლისმომცველი წერილის დაწერა შეუძლებლად მიგვაჩნია. ასეთი რამ მიზნად არც დაგვისახავს, ხოლო თუ ამ წერილმა თუნდაც კამათის ხასიათზე დაგაყენათ, ჩავთვალოთ, რომ მას თავისი ამოცანა შეუსრულებია.

**ბაჩუნა ძიძია**



offside



onside

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

| | ესპანეთის ჩემპიონატი. გადასასვლელი ტურნირი. საპასუხო მატჩები | | | |
|---|---|---|---|---|
| 30.06 | რაიო ვალეკანო — ესტრემადურა | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | სევილია — ვილიარეალი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| | **ავსტრიის ჩემპიონატი. I ტური** | | | |
| 30.06 | ბრეგენცი — რიდი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | ზალცბურგი — ლუსტენაუ | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | ლინცერი — შტურმი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| | გრაცერი — აუსტრია | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| | **შვედეთის ჩემპიონატი. XIII ტური** | | | |
| 30.06 | ტრელებორგი — ჰამსტადი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 10.07 | ჰამარბი — ნორჩიოპინგი | 2,0 | 3,0 | 3,3 |
| | იორგრიტე — ელგსბორგი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | **ნორვეგიის თასი. მერვედფინალი** | | | |
| 30.06 | ბოდო გლიმტი — ლინი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | კიელსასი — მოლდე | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| | ლილესტრომი — ჰაუგესუნდი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | ოდ გრენლანდი — ვიკინგი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| | რაუფოსი — კონგსვინგერი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | რუსენბორგი — მოსი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | ტრომსო — სტაბეკი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | ვალერენგა — ბრანი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| | **კოპა ამერიკა. I ტური** | | | |
| 30.06 | ჩილე — მექსიკა | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| | ბრაზილია — ვენესუელა | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| 1.07 | ურუგვაი — კოლუმბია | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | არგენტინა — ეკვადორი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | **ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი. მეოთხედფინალი** | | | |
| 30.06 | ჩინეთი — რუსეთი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | ნორვეგია — შვედეთი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 1.07 | აშშ — გერმანია | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | ბრაზილია — ნიგერია | 1,25 | 4,4 | 8,0 |

**კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი.**

*კოეფიციენტებს ადგილზე გაეცნობით*

### ქვეყნის ჩემპიონატები

| | |
|---|---|
| **გერმანია** | |
| ბაიერნი | 1,3 |
| დორტმუნდი | 4,0 |
| ლევერკუზენი | 5,0 |
| კაიზერსლაუტერნი | 6,0 |
| ჰერტა | 8,0 |
| **ინგლისი** | |
| მანჩესტერი | 1,4 |
| არსენალი | 3,5 |
| ჩელსი | 4,0 |
| ლივერპული | 6,0 |
| ლიდსი | 8,0 |
| **საფრანგეთი** | |
| მარსელი | 2,0 |
| ბორდო | 3,0 |
| მონაკო | 3,0 |
| პსჟ | 4,0 |
| ლიონი | 6,0 |
| ნანტი | 8,0 |
| ლანსი | 8,0 |
| **იტალია** | |
| მილანი | 2,5 |
| ინტერი | 2,5 |
| იუვენტუსი | 3,0 |
| ლაციო | 3,0 |
| პარმა | 5,0 |
| ფიორენტინა | 7,0 |
| რომა | 8,0 |
| **ესპანეთი** | |
| ბარსელონა | 1,6 |
| რეალი | 2,3 |
| ვალენსია | 5,0 |
| ატლეტიკო | 7,0 |
| დეპორტივო | 8,0 |
| სელტა | 8,0 |
| ბილბაო | 8,0 |
| მალიორკა | 8,0 |
| სოსიედადი | 8,0 |
| **პორტუგალია** | |
| პორტუ | 1,7 |
| ბენფიკა | 2,5 |
| სპორტინგი | 4,0 |
| ბოავიშტა | 8,0 |
| **ჰოლანდია** | |
| აიაქსი | 2,0 |
| ფეიენოორდი | 2,5 |
| ეინდჰოვენი | 2,5 |
| **ბელგია** | |
| ბრიუგე | 2,2 |
| ანდერლეხტი | 2,2 |
| გენკი | 3,0 |
| სტანდარდი | 8,0 |
| **საბერძნეთი** | |
| ოლიმპიაკოსი | 2,0 |
| პანათინაიკოსი | 2,0 |
| აეკ | 3,0 |
| პაოკ | 8,0 |
| **ჩეხეთი** | |
| სპარტა | 1,6 |
| სლავია | 2,3 |
| სიგმა | 8,0 |
| ტეპლიტე | 8,0 |
| ბანიკი | 8,0 |
| **პოლონეთი** | |
| ვისლა | 1,5 |
| ლეგია | 2,5 |
| ვიძევი | 4,0 |
| ლეხი | 8,0 |
| პოლონია | 8,0 |
| **უკრაინა** | |
| დინამო კიევი | 1,1 |
| შახტიორი | 6,0 |
| კარპატი | 8,0 |
| ტავრია | 8,0 |
| **თურქეთი** | |
| გალათასარაი | 1,4 |
| ფერენბაჰჩე | 3,0 |
| ბეშიქთაში | 5,0 |
| ტრაბზონი | 7,0 |
| **შოტლანდია** | |
| რეინჯერსი | 1,6 |
| სელტიკი | 2,3 |
| **ავსტრია** | |
| რაპიდი | 1,8 |
| შტურმი | 2,0 |
| ზალცბურგი | 4,0 |
| აუსტრია | 5,0 |
| გრაცერი | 8,0 |
| **შვეიცარია** | |
| გრასჰოპერი | 1,8 |
| სერვეტი | 3,0 |
| ციურიხი | 4,0 |
| ლოზანა | 5,0 |
| **დანია** | |
| ბრონდბიუ | 2,0 |
| კოპენჰაგენი | 3,0 |
| ოლბორგი | 3,0 |
| სილკებორგი | 5,0 |
| აკდემიკსი | 5,0 |

### რომელი გუნდი გაიმარჯვებს

| | |
|---|---|
| მანჩესტერი | 2,5 |
| მილანი | 2,5 |
| ბარსელონა | 2,5 |
| ლაციო | 4,0 |
| ფიორენტინა | 5,0 |
| პარმა | 5,0 |
| ბაიერნი | 5,0 |
| რეალი | 6,0 |
| არსენალი | 7,0 |
| ჩელსი | 7,0 |
| დორტმუნდი | 10,0 |
| ლევერკუზენი | 10,0 |
| მარსელი | 10,0 |
| ბორდო | 10,0 |
| ვალენსია | 10,0 |
| მალიორკა | 15,0 |
| ჰერტა | 15,0 |
| ლიონი | 15,0 |
| ფეიენოორდი | 15,0 |
| ეინდჰოვენი | 15,0 |
| პორტუ | 15,0 |
| დინამო (კიევი) | 15,0 |
| სპარტაკი | 25,0 |
| რუსენბორგი | 25,0 |
| კროაცია | 25,0 |
| პარტიზანი | 25,0 |
| გენკი | 25,0 |
| ოლიმპიაკოსი | 50,0 |
| აეკ | 50,0 |
| გალათასარაი | 50,0 |
| ბოავიშტა | 50,0 |
| ცსკა (მოსკოვი) | 50,0 |
| ბეშიქთაში | 50,0 |
| რეინჯერსი | 50,0 |

*ნებისმიერი სხვა გუნდი (თითოეული) 100,0*

### ჩემპიონთა თასი

CHAMPIONS LEAGUE

#### რომელი ქვეყნის წარმომადგენელი გაიმარჯვებს

| | |
|---|---|
| იტალია | 2,0 |
| ესპანეთი | 2,4 |
| ინგლისი | 2,4 |
| გერმანია | 3,0 |
| საფრანგეთი | 5,0 |
| ჰოლანდია | 8,0 |
| პორტუგალია | 15,0 |
| უკრაინა | 15,0 |
| ნორვეგია | 25,0 |
| რუსეთი | 25,0 |
| ხორვატია | 25,0 |
| ბელგია | 25,0 |
| იუგოსლავია | 25,0 |
| საბერძნეთი | 50,0 |
| თურქეთი | 50,0 |
| შოტლანდია | 50,0 |

*ნებისმიერი სხვა ქვეყანა (თითოეული) 100,0*

### უეფას თასი

UEFA CUP

#### რომელი ქვეყნის წარმომადგენელი გაიმარჯვებს

| | |
|---|---|
| იტალია | 2,5 |
| ესპანეთი | 3,0 |
| ინგლისი | 3,0 |
| გერმანია | 5,0 |
| საფრანგეთი | 8,0 |
| ჰოლანდია | 8,0 |
| პორტუგალია | 12,0 |
| ბელგია | 15,0 |
| რუსეთი | 25,0 |
| ხორვატია | 30,0 |
| იუგოსლავია | 30,0 |
| ჩეხეთი | 50,0 |
| ნორვეგია | 50,0 |
| თურქეთი | 50,0 |
| შვეიცარია | 50,0 |
| შოტლანდია | 50,0 |

*ნებისმიერი სხვა ქვეყანა (თითოეული) 100,0*

### რომელი გუნდი გაიმარჯვებს

| | |
|---|---|
| იუვენტუსი | 3,0 |
| რომა | 5,0 |
| ლიდსი | 7,0 |
| ტოტენჰემი | 7,0 |
| ბოლონია | 7,0 |
| უდინეზე | 7,0 |
| აიაქსი | 7,0 |
| კაიზერსლაუტერნი | 7,0 |
| დეპორტივო | 10,0 |
| სელტა | 10,0 |
| ატლეტიკო | 10,0 |
| ნიუკასლი | 10,0 |
| ვერდერი | 15,0 |
| ვოლფსბურგი | 15,0 |
| ჰამბურგი | 15,0 |
| დუისბურგი | 15,0 |
| ვესტ ჰემი | 15,0 |
| მონაკო | 15,0 |
| ნანტი | 15,0 |
| ლანსი | 15,0 |
| რენი | 25,0 |
| მონპელიე | 25,0 |
| ბენფიკა | 25,0 |
| სპორტინგი | 25,0 |
| ვიტესი | 25,0 |
| ლოკომოტივი (მ) | 25,0 |
| ჰაიდუკი | 25,0 |
| ცრვენა ზვეზდა | 25,0 |
| ბრიუგე | 25,0 |
| ანდერლეხტი | 25,0 |
| სელტიკი | 25,0 |
| გიოტებორგი | 25,0 |
| პაოკ | 50,0 |
| პანათინაიკოსი | 50,0 |
| როდა | 50,0 |
| სლავია | 50,0 |
| ზენიტი | 50,0 |
| ფენერბაჰჩე | 50,0 |
| გრასჰოპერი | 50,0 |
| ლიერსი | 50,0 |
| ლოკერენი | 50,0 |
| სტ. ტრუიდენი | 50,0 |
| სტიაუა | 50,0 |
| დინამო (ბუქარესტი) | 50,0 |

*ნებისმიერი სხვა გუნდი (თითოეული) 100,0*

*გადამრავლება შეიძლება მხოლოდ ქვეყნის ქვეყანაზე ან გუნდის გუნდზე. ქვეყნის და გუნდის გადამრავლება არ შეიძლება. უეფას თასზე იმ გუნდებზე, რომლებიც სიაში არ არის შეტანილი, ფსონები არ მიიღება.*

კროკოს ბიუროთა მისამართები:
თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე; გლდანი, I სავაჭრო ცენტრი.
ქუთაისში — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში.
ბათუმში — აჰმედ მელაშვილის ქუჩა 23. (ყოფილი კამოს ქუჩა)
რუსთავში — მაჩაბლის ქუჩა 3. პირიმზე, მეორე სართული.
გორში — სტალინის ქუჩა. ჭადრაკის კლუბი.
ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# დოკიჩის მორიგი შამათი

REUTERS ლონდონიდან



დამირ დოკიჩი

## როცა პრემიერ-მინისტრიც გაქებს

პირველ წრეში მარტინა ჰინგისის დამარცხების შემდეგ ელენა დოკიჩზე იმაზე მეტი დაიწერა და ითქვა, ვიდრე თავად 16 წლის ავსტრალიელი ოდესმე წარმოიდგენდა.

სრულიად მოულოდნელად ტურნირზე კვალიფიკაციის გავლით მოხვედრილი ექსიუგოსლაველი საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა: „ოლ ინგლენდ კლაბის" ტერიტორიაზე გავლა ასობით ავტოგრაფის მსურველთა ალყაში თითქმის შეუძლებელი გახდა; ყველამ გაიგო, რომ ვარსკვლავი კოლეგებისგან განსხვავებით, რომლებიც 4000 დოლარად მახლობლად ქირაობენ სახლებს, დოკიჩების ჯალაბი მოკრძალებულ სასტუმროში 70-დოლარიან ნომერში ცხოვრობს.

ამ ფაქტის გამო კინაღამ პატარა სკანდალიც მოხდა — BBC-ის ერთმა მოურიდებელმა კომენტატორმა პირდაპირ ეთერში შემდეგი რამ განაცხადა: „ყველამ ვიცით, სად ცხოვრობს დოკიჩი, იაფ საროსკიპოში ორი უბნის იქით".

მიუხედავად იმისა, რომ ავსტრალიელებს პროტესტი ჯერჯერობით არ გამოუთქვამთ, ელენას მამამ, ყოფილმა მოკრივემ, შერეკილმა დამირმა ეს უპასუხოდ არ დატოვა: „მე მძულს ბრიტანეთი. ერთი სული მაქვს, აქედან როდის გავაღწევ".

თუმცა მთელ ამ აურზაურს ელენაზე უარყოფითად არ უმოქმედია: პატარა ვუნდერკინდი ბეჯითად მიიწევს წინ და წვიმიან ორშაბათს მეოთხედფინალის საგზურიც გაიფორმა მეცხრედ განთესილი მარი პირსის 6:4, 6:3 დამარცხებით.

უნდა ითქვას, რომ უფროსი დოკიჩი ცუდი საქციელით ჯერჯერობით არ გამორჩეულა: ისტბორნისგან განსხვავებით, ის არც ცარიელი ვისკის ბოთლებით ცხადდება ტრიბუნაზე და არც ქუჩაში აპირებს გაწოლას, მსოფლიოში, ალბათ, ერთ-ერთი უდიდესი ზომის სათვალეებს ამოფარებული, მშვიდად ზის და ქალიშვილის წარმატებებს ვეება ხელებით დაუზოგავად უკრავს ტაშს.

მატჩი ელენას შთამბეჭდავად ნამდვილად არ დაუწყია — კრეატინით დაბერილი კუნთებით აღჭურვილმა პირსმა პირველი სამი გეიმი მოიგო, მერე 4:1 დაწინაურდა.

თუმცა რთულ მდგომარეობაში ჩავარდნილმა დოკიჩმა ჰინგისის მწარედ დამკაწრავი კლანჭები სწრაფად გამოაჩინა: ასე გამხდარი, კნაჭა გოგოსთვის მოულოდნელად მძლავრი, ხაზებს გაყოლებული დარტყმებითა და დროული შემოკლებულებით ზედიზედ ხუთი გეიმი და მასთან ერთად პირველი სეტიც მოიგო.

ტანმშვენიერმა ფრანგმა ტემპის შენელებისა და მეტოქის რიტმიდან ამოგდებისთვის მთელი არსენალი გამოიყენა: რაღაც გაუგებარ საკითხებზე დაუსრულებლად ესაუბრებოდა მთავარ მსაჯს, ხშირად ისწორებდა და თავიდან იკრავდა თასმებს, გამუდმებით იწუნებდა მიწოდებულ ბურთებს, რომლებიც ხანგრძლივი თვალიერების შემდეგ რაღაც ამოუხსნელ, მხოლოდ მარისთვის ცნობილ პარამეტრებს ვერ აკმაყოფილებდნენ.

მაგრამ არაფერმა გაჭრა — ასე თუ ისე თანაბარმა ბრძოლამ მხოლოდ 3:3-მდე გასტანა, მერე კი მეტოქის შეცდომებისა და საკუთარი უნაკლო გარჯის ხარჯზე დოკიჩმა სწრაფად მოითავა საქმე.

მალა ჭამაში მოდისო და ელენა, რომელიც ადრე მხოლოდ ერთი-ორი წრის მოგებას იმედოვნებდა, ახლა უკვე ჩემპიონობის პრეტენდენტადაც თვლის თავს: „მეოთხედფინალიდან ტურნირის მოგება ნებისმიერს ძალუძს. თანაც რაც უფრო ძლიერ მეტოქეს ვხვდები, მით უკეთ ვთამაშობ".

ამასობაში კი დოკიჩის გმირობებს მის მეორე სამშობლოშიც გაფაციცებით ადევნებენ თვალყურს. გაზეთების პირველი გვერდები ამ „გოგო-საოცრების" ამბებითაა სავსე, მეხოტბეთა რიგებს კი საშაბათს ავსტრალიის პრემიერ მინისტრი ჯონ ჰოვარდიც შეუერთდა: „ელენამ დაამტკიცა, რომ პირველი წრის გამარჯვება შემთხვევითი არ იყო და მართლაც მომავლის ჩოგბურთელია".

## გუგას სამბა ბალახზე

მნიშვნელობა არა აქვს, როგორ დასრულდება წვიმის გამო გადადებული მატჩები, ყველაზე მოულოდნელ მეოთხედფინალისტად კაცებს შორის მაინც გუსტავო კუერტენი დარჩება.

როლან გაროსის გამარჯვებულ ბრაზილიელს წლევანდელ უიმბლდონამდე ბალახზე ცხოვრებაში ერთი მატჩიც კი ვერ მოეგო, „ოლ ინგლენდ კლაბს" წინა ორ სეზონში პირველივე წრის შემდეგ ტოვებდა და ორგანიზატორებმაც კი, კლასიფიკაციაში მეშვიდე ადგილის მიუხედავად, მხოლოდ მეთერთმეტედ განთესეს.

„აქ საკუთარი თავისგან არაფერს ველოდი და მხოლოდ იმიტომ ჩამოვედი, რომ დიდ ტურნირზე თამაშით მესიამოვნა. ადრეც ასე იყო, მაგრამ მაშინ, ალბათ, ბედი არ მწყალობდა და საკუთარი ძალების არ მწამდა. თანდათან ვეჩვევი კარგად თამაშს და ძველი ეჭვებიც აღარ მაწუხებს".

22 წლის ბრაზილიელს ლონდონში უამრავი თანამემამულე ქომაგობს, მეერვედფინალურ მატჩს კი წინადღით საფრანგეთში მოასპარეზე ფორმულა 1-ის პილოტი რუბენს ბარიჩელოც დაესწრო მეუღლითურთ.

„გუგა" თავისიანებს ვერ გააწბილებდა, თუმცა, დოკიჩის მსგავსად, შვეიცარიელ ლორენცო მანტასთან მატჩი ისე დაიწყო, თითქოს გამოუძინებელი და ძლივს გამოფხიზლებული იყო: პირველ სამ გეიმში ერთი ქულაც კი ვერ მიითვალა.

როდესაც მატჩი წვიმის გამო ერთი საათით შეწყდა, მანტას ორი სეტ-პოინტი ჰქონდა 5:4-სა და 40:15-ზე, თუმცა შესვენების შემდეგ კუერტენი კორტზე სულ სხვა მოთამაშედ დაბრუნდა: რთული სიტუაციიდან თავი დაიძვრინა და პირველ-მეორე ხელიც მოიგო.

ბრაზილიელმა მესამე სეტში კი წააიფორხილა და 5:3 უპირატესობაც შემოეფანტა, მაგრამ 16 ეისისა და 17 ორმაგი შეცდომის მომწოდებელ მეტოქეს ბოლო მაინც უპრობლემოდ მოუღო: 7:5, 6:4, 5:7, 6:3.

„მე წევრი გავხდი, ახლა ბალახის კორტების ოსტატი ვარ — ღიმილით განაცხადა პრესკონფერენციაზე გუსტავომ, რომელსაც მეოთხედფინალში ყოფილ ჩემპიონ ანდრე აგასისთან მოუხდება შეხვედრა — იმედია, ანდრე ისე ძლიერად არ დაარტყამს ბურთებს, როგორც შეუძლია და თამაშს და გახარებას მეც დამანებებს".

ხოტორა ამერიკელმა, თავის მხრივ, მერვედფინალში ნაკლებად ცნობილი, მაგრამ ძალიან სახიფათო მეტოქე უეინ არტურსი დაამარცხა. სახიფათო იმიტომ, რომ საკვალიფიკაციო ტურნირისა და ძირითადი ბადის ექვს შეხვედრაში, ესე იგი, ზედიზ 98-ჯერ, 28 წლის ავსტრალიელს მოწოდება ერთხელაც არ დაეკარგა (!).

ჩოგბურთში საუკეთესო მიღების პატრონს ზორბა მეტოქის წინააღმდეგობის გატეხვა ძალიან გაუჭირდა: პირველი სეტი ტაი-ბრეიკზე წააგო და მეორის ბოლოში ორი ბრეიკ-პოინტი რომ არ გადაერჩინა, მამაზეციერიც ველარ უშველიდა.

მაგრამ როგორც ნამდვილ ჩემპიონებს ჩვევიათ, ანდრემ პირველივე ბოძებული შანსს დამშეული მტაცებელივით ჩაავლო კბილი, ტაი-ბრეიკზე ბადესთან მეტოქის შეცდომით ისარგებლა და ანგარიში გაათანაბრა.

აქედან მოყოლებული აგასის უპირატესობა ეჭვს აღარ იწვევდა: მან მეტოქის აქამდე აუღებელ ციხესიმაგრეს ოთხჯერ შეუნგრია კარი, მატჩ-პოინტზე ბრწყინვალე აბრაგანს ზუსტი შემოკლებული მიაყოლა და საბოლოოდ 6:7 (5:7), 7:6 (7:5), 6:1, 6:4 მოიგო.

თუმცა საუკეთესო დარტყმა ანდრემ ჟურნალისტებისთვის მოიტოვა. როდესაც ერთმა მათგანმა ამერიკელს ჰკითხა, რაიმე მსგავსებას თუ ხედავთ ამ ტურნირსა და 1992-ის უიმბლდონს შორის, როდესაც ჩემპიონი გახდითო, ასეთი პასუხი მიიღო: „კი, როდესაც ჩემპიონი გავხდი, მაშინაც ჯერ მეოთხედფინალში გავედი".

**მერვედფინალი: ქალები: ლინდსი დევენპორტი (3, აშშ) — ბარბარა შეტი (14, ავსტრია) 7:6 (9:7), 6:1; იანა ნოვოტნა (5, ჩეხეთი) — ნატალი დეში (საფრანგეთი) 6:3, 7:5.**

ავთანდილ სვანიძე

REUTERS ლონდონიდან



გუსტავო კუერტენი

## შვილიშვილები პაპის ტურნირზე

გუშინ თბილისში, ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე დაიწყო საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის სოლომონ თუხარელის ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალური ტურნირი.

— მამაჩემმა, სოლომონ თუხარელმა, რომელმაც სამწვრთნელო საქმიანობა 70-იან წლებში დაიწყო, ბევრი ბავშვი აზიარა ჩოგბურთს, მათ შორის შვილებიც და ოცნებობდა, შვილიშვილებიც თავადვე აღეზარდა, მაგრამ ვერ მოესწრო, 55 წლისა გარდაიცვალა. ახლა, ამ ტურნირზე მისი შვილიშვილები სალომე და ანი გველესიანები გამოდიან — გვიამბობს ტურნირის დირექტორი ოლიკო თუხარელი. — განზრახული გვაქვს ამ ტურნირის მასშტაბები გავზარდოთ. ამ საქმეში დაგვეხმარება ჩემი დაც, რომელიც რამდენიმე თვეა ამერიკაში ჩაგბურთის სფეროში მუშაობს.

რაც შეეხება ამ ტურნირს, მასში საქართველოს საჩოგბურთო სკოლების 150-მდე გოგო-ბიჭი მონაწილეობს, ერთი კი ერევნიდანაც გვეწვია. შეჯიბრება ოლიმპიური სისტემით იმართება, რომელშიც 1983-93 წლებში დაბადებული სპორტსმენები მონაწილეობენ.

როგორც ოლიკო თუხარელმა გვითხრა, ტურნირის მიზანია საქართველოში სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაცია და ნორჩი ჩოგბურთელების დაოსტატება. ასპარეზობა მნიშვნელოვანია მოზარდთათვის საშეჯიბრო გამოცდილების შეძენის თვალსაზრისითაც და იმედია, იგი პერსპექტიულ ჩოგბურთელებსაც გამოავლენს.

გიგა გურასაშვილი

## სხვადასხვა



ალექსანდრა სტივენსონი

**ალექსანდრა სტივენსონი** უიმბლდონის საპრიზოებს აუცილებლად მიიღებს.

WTA ტურმა თავიდან დაადგინა, რომ რადგანაც 18 წლის ამერიკელს ტურნირის დასაწყისში მოყვარულის სტატუსი ჰქონდა, მას საპრიზოები არ ერგებოდა. იგივეს ბრძანებს დიდი სლემის წესებიც, მაგრამ „უიმბლდონის" ორგანიზატორებმა სხვაგვარად გადაწყვიტეს.

„ჩვენი წესდების მიხედვით, ყველა მოთამაშე პროფესიონალად ითვლება, თუ ორგანიზატორებს წინდაწინ საწინააღმდეგოს არ შეატყობინებენ. სტივენსონს რეგისტრაცია მოყვარულად არ გაუვლია, ამიტომ ფულზეც მთელი უფლება აქვს" — აღნიშნა ტურნირის ერთ-ერთმა თავკაცმა კრისტოფერ გორინჯმა.

ასე რომ, თეთრკანიანი დედისა და შავკანიანი მამის მულატი თვალის სინათლე მერვედფინალში გასვლისთვის კუთვნილ 42 340 დოლარს ნაღდად მიიღებს.

კიდევ კარგი, თორემ დედა, სამანტა სტივენსონი, რომელიც საჩოგბურთო სამყაროში ინტრიგანის რეპუტაციით სარგებლობს, სასამართლოში ჩივილსაც კი აპირებდა.

ჟურნალისტმა სამანტამ ცოტა ხნის წინ კოლეგებს განუცხადა, WTA ტურზე რასიზმია გავრცელებული, ჩემს ქალიშვილს კი ამას გარდა სხვა ქალი ჩოგბურთელები ეკურკურებიანო.

„ალექსანდრას გასახდელში მარტოს არ ვტოვებ, რათა გაგიჟებული ეჭვიანობისა და ლესბოსური შეტევებისგან დავიცვა. ეს სრული ჯუნგლებია, დიდი, ცუდი ადგილი, მთავარი ხიფათი კი სხვა ჩოგბურთელებიდან მოდის. თუ პატარა გოგონების მხარდამჭერები არ ეყოლებათ, ცუდ გზაზე იოლად მოხვდებიან".

* * *

**2000 და** 2001 წელს სეზონის დამაგვირგვინებელი ATP ტურის მსოფლიოს ჩემპიონატი შესაბამისად ლისაბონსა და სან პაულოში ჩატარდება.

დიდი სლემების შემდეგ კაცების ყველაზე პრესტიჟული ტურნირს დიდი ხნის მანძილზე ნიუ იორკის „მედისონ სკვერ გარდენში" ჰქონდა ბინა, 90-იანებში კი გერმანიაში გადმობარგდა და 1996-დან ჰანოვერში ტარდებოდა.

ლისაბონსა და სან პაულოს მნიშვნელოვანი კონკურენციის გადალახვა მოუხდათ: მათ გარდა ჩემპიონატის მასპინძლობა ბარსელონას, ლონდონს, ლას ვეგასს, მილანს, მოსკოვს, რიო დე ჟანეიროსა და ვალენსიასაც სურდათ.

„ძალიან გახარებულები ვართ ამ გადაწყვეტილებით, ლისაბონიცა და სან პაულოც ზუსტად შეესაბამებიან ტურნირის მსოფლიოს სხვადასხვა დიდ ქალაქში ჩატარების ჩვეულ სტრატეგიას" — განაცხადა ATP-ის თავკაცმა მარკ მაილსმა.

* * *

**გრეგ რუზედსკი** და მისი საცოლე, ლუსი კონორი, ზედ უიმბლდონის წინ ორ მილიონ დოლარიან სახლში გადავიდნენ ბეთარსიზე.

სახლი ადრე ინგლისელთათვის იქნებ კარგად, ჩვენთვის კი სრულიად უცნობ მსახიობ ნათანიელ პარკერს და მის მსახიობ მეუღლე ანა პატრიკს ეკუთვნოდა და უკვე დიდი ხანია, იყიდებოდა.

პირველი შთაბეჭდილება მაინცდამაინც სასიამოვნო არ ყოფილა: 1,95 მეტრიან გრეგს დაბალჭერიან ჰოლში შესვლისას თავის დახრა მოუხდა, მაგრამ ჩოგბურთელმა თავისუფლად მაშინ ამოისუნთქა, როდესაც საჯინიბოსხელა სამზარეულოში შეიხედა: „ო, ეს კარგი რამაა".

თუმცა სახლში რუზედსკის საყვარელი ადგილი სამზარეულო კი არა, საძინებელი ოთახი იქნება. არა, მშვენიერ ლუსიზე და „ისეთ" რამეებზე ნუ იფიქრებთ, უბრალოდ გრეგს თურმე ძილი ძალიან უყვარს.

„საღამოობით დაახლოებით თერთმეტის ნახევარზე ვიძინებ და დილით ცხრაათზე ვიღვიძებ. 10-11 საათის ძილი ძალიან მიყვარს და დიდად მშველის".

# გაჭირვებულ რუსთავს გაუგეს

მეათე ტურის მატჩი „ყოჩები“ — „რუსთავი“ რომ გადაიდო, გუშინდელ „სარბიელში“ გაუწყეთ. გუშინვე რუსთაველთა ხელმძღვანელობასთან საუბრისას გავარკვიეთ, რომ გუნდს საერთოდ დაშლის საფრთხე ემუქრება. ქალაქის მერიას სეზონის დასაწყისში საორგანიზაციო საკითხები უპრობლემოდ მოუგვარებია, ხელსაყრელი პირობებიც შეუთავაზებია „რუსთავისთვის“, მაგრამ დაპირება დაპირებად და გუნდი შუა სეზონში, ფაქტობრივად, უპატრონოდ დარჩა.

მწვრთნელი რამაზ სანებლიძე ყველანაირად ცდილობს, შეინარჩუნოს გუნდის ძირითადი ბირთვი, მანამდე, სანამ ფინანსური დახმარება გამოჩნდება. რაგბის კავშირმაც გაუგო შეჭირვებულ რუსთაველებს და „ყოჩების“ ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით მათთან გასამართი მატჩი გადაუდო. ახლა რუსთაველ მორაგბეებს იმის იმედიღა აქვთ, რომ ქალაქის მერია იმ მინიმალურ თანხას მაინც გამონახავს, რომლითაც სეზონის ჩამთავრებას შეძლებენ.

უსახსრობისვე გამო ვერ წავიდა „ლოკომოტივი 2“ ბათუმში, „დათვებთან“ სათამაშოდ.

ამ ყოველივეზე რაგბის კავშირში მსჯელობასა და სათანადო გადაწყვეტილებების მიღებას აპირებენ.

**ბაჩო სვანიძე**

# წადი, ჟო, ჩრდილში დადექი



REUTERS კარდიფიდან

უელსელებმა (წინა პლანზე) სამხრეთაფრიკელებთან ისტორიული გამარჯვება მოიპოვეს

კარდიფი

**უელსი 29(19):19(6) ს. აფრიკა**

უელსი: ჰოვართი, ტომასი, ტეილორი, ბეტმენი, ჯეიმსი, ნ. ჯენკინსი, ჰოულეი (კაპ), სინკინსონი, ს. ქვინელი, ჩარვისი, ვაიატი, კ. ქვინელი, იანგი, გ. ჯენკინსი, როჯერსი

2ლ — ტეილორი, ტომასი; 2გ. და 5ს. — ნ. ჯენკისი

ს. აფრიკა: მონტგომერი, ტერბლანში, მელერი, მულდერი, როსოუ, ვან სტრაატენი, სვანეპოელი, კრაიგი, ტეიჩმენი (კაპ), ერასმესი, ოტო, ბოობი, ვიზაჟი, დროცკე, კემპსონი

2ლ. — სვანეპოელი, მონტგომერი; 3ს. — ვან სტრაატენი

განახლებულ „არმზ პარკზე“, რომელსაც ახლა „მილენერი“ ჰქვია, უელსელებმა პირველად ითამაშეს და მერე როგორ. 27 000 მაყურებლის თვალწინ მათ ისტორიული გამარჯვება მოიპოვეს. აქამდე გამართულ მატჩებში მასპინძლები 1995 წლის მსოფლიოს ჩემპიონებს ვერასოდეს ჯობნიდნენ.

გამარჯვება კი მათ ნამდვილად დაიმსახურეს. ყველა უელსელმა ძალიან კარგად ითამაშა, მაგრამ ერთი კაცის გამორჩევა მაინც უპრიანია — ნილ ჯენკინსის ზუსტმა დარტყმებმა მნიშვნელოვანწილად განაპირობა „ქურციკთა“ ძლევა. უელსის დამრტყმელმა ანგარიში უკვე მატჩის მეორე წუთზე გახსნა — ეს კი ახალ სტადიონზე მოპოვებული პირველი ქულები იყო. მან პირველ ტაიმში თავის მონაგარს კიდევ ცხრა ქულა შემატა საჯარიმოებით.

ჯენკინსის ამ ოთხ საჯარიმოს სამხრეთაფრიკელმა ბრაამ ვან სტრაატენმა ორი ზუსტი დარტყმით უპასუხა. ჯერ კიდევ ყველაფერი გასარკვევი იყო. გუნდებს რამდენიმე წამში უნდა შეესვენათ კიდეც, მაგრამ ტეილორმა ლელოს გატანა მოინდომა და შეძლო კიდეც. ჯენკინსის მიერ შესრულებული გარდასახვის შემდეგ კი უელსი ცამეტი ქულით დაწინაურდა.

მასპინძელთა ახალზელანდიელი მწვრთნელის გრეჰემ ჰენრის გასახარად, უელსელთა დაცვა პირველ ტაიმში და მეორის დასაწყისში ჩინებულად ირჯებოდა.

თუმცა 50-ე წუთზე სტუმრებმა მაინც შეძლეს დაცვის გარღვევა და სვანეპოელმა ოვალური ბურთი მოწინააღმდეგის სალელოე მოედანზე დაამიწა. ათიოდ წუთში ვან სტრაატენმა კიდევ ერთი საჯარიმო გაიტანა და აფრიკელებსაც მატჩის გადარჩენის იმედი მიეცათ.

64-ე წუთზე ტომასის ლელოს, ჯენკინსის გარდასახვისა და საჯარიმოს შემდეგ შეხვედრის ბედი, ფაქტობრივად, გადაწყდა კიდეც. სამხრეთაფრიკელი მონტგომერის ლელოს აღარაფერ შეუცვლია.

„დაცვაში ძალიან კარგად გავისარჯეთ და ამიტომაც მოვიგეთ. ბიჭების ძალიან კმაყოფილი ვარ. თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს მხოლოდ ერთი ტესტური გამარჯვებაა, თუნდაც ისტორიული და მეტი არაფერი. მთავარია, შემოდგომაზე, მსოფლიოს თასზეც ასე ძლიერად ვითამაშოდ“ — თქვა უელსელთა მწვრთნელმა ჰენრიმ.

სიდნეი

**ავსტრალია 22(10):15(7) ინგლისი**

ავსტრალია: ლეთემი, თაუნი (ბარკი 77), ჰერბერტი, გრეი, როფი, ჰორანი, გრეგენი, კეფუ (სტრაუსი 47), უილსონი (კაპ.), კოკბეინი (უილიამსი 75), გიფინი, ველბორნი, ნორიეგა, პაული, პანოჰო (კროულეი 27)

4ლ — თაუნი (2), როფი, უილსონი; 1გ — როფი

ინგლისი: პერი, რიისი, ქეტი (დე გლანვილი 75), გასკოტი, ლუჯერი, უილკინსონი, ბრეკენი (დეისონი 53), კორი (კლარკი 70), ბეკი, ჰილი, როდერი (გრევოკი 62), ჯონსონი (კაპ.), გარფორტი (უბოგო 70), კოკრილი (გრინინგი 54), ლეონარდი

2ლ — პერი (2); 1გ და 1ს — უილკინსონი

„ვოლაბებმა“ დღესასწაული არ ჩაიმწარეს და დაძაბულ ბრძოლაში ინგლისს მოუგეს. ალბათ იკითხავთ, რა დღესასწაულიო? რა და, ავსტრალიის მორაგბეთა ნაკრებს პირველი ტესტ-მატჩი ზუსტად 100 წლის წინ გაუმართავს.

ისე, კარდიფის მსგავსად, სტადიონი მორაგბეთათვის აქაც ახალი იყო, თუმცა სიდნეის ოლიმპიური სტადიონი, „მილინერისგან“ განსხვავებით, სხვა სახეობებს უკვე დაეჭაშნიკებინათ.

შეხვედრა ბრიტანელთა უპირატესობით დაიწყო და მათ მეტოქის დაცვას ბევრი თავსატეხიც გაუჩინეს. ავსტრალიელებმა კი იბრძოლეს, მაგრამ მაინც გატყდნენ — მეტიუ პერის გატანილი ლელო უილკინსონმა ლამის აუტის ხაზიდან გარდასახა და ინგლისი 7:0 დაწინაურდა, თუმცა სტუმრებმა ამის მერე, მეტის გაკეთება ველარ შეძლეს, ტაიმის ბოლო წუთებზე კი სულაც საკუთარ სალელოე მოედანს მიაჯაჭვეს ავსტრალიელებმა. სწორედ ამ დროს, სულ რაღაც სამ წუთში, მასპინძელთა ბრწყინვალე ფრთამ, ბენ თაუნმა ორჯერ ისახელა თავი და თავისიანებს ტაიმიც მოაგებინა.

„ვოლაბებმა“ მეორე ნახევარიც ისევე ძლიერად დაიწყეს, როგორც პირველი დაასრულეს. ინგლისს სულ უფრო და უფრო უჭირდა მათი შეტევების მოგერიება. 48-ე წუთზე ჯოი როფის გაახსენდა, რომ ზეთორმეტის საუკეთესო მელელოეა და მასპინძლების მონაგარს ხუთი ქულაც მიუმატა. ძელებს შორის დამიწებული ლელო იოლი გარდასასახიაო და მანვე კიდევ ორი ქულა მიითვალა (დანარჩენი სამი გარდასახვა როფიმ ვერ გამოიყენა).

მატჩის დასრულებამდე 10 წუთით ადრე მასპინძელთა კაპიტანმა უილსონმა მეოთხე ლელოც გაუტანა ინგლისელებს და გამარჯვებულის ვინაობაც გაირკვა, თუმცა მატჩისშემდგომ ვიდეოჩანაწერის ნახვისას ავსტრალიელთა ბოლო ლელო ბევრმა საეჭვოდ ჩათვალა.

ინგლისელთა მთავარმა მწვრთნელმა კლივ ვუდვორდმა აღიარა, რომ როცა მისი გუნდი 7:0-ს იგებდა, საბოლოო გამარჯვება ირწმუნა: „...მაგრამ მერე ჩვენს თამაშში რაღაც მოიშალა, მეტოქე კი პირიქით, ჩინებულად გაისარჯა. თუმცა მოგება, ალბათ, კიდევ შეგვეძლო. ერთი სიტყვით, ძალიან დასანანი მარცხი ვიწვნიეთ.



REUTERS ველინგტონიდან

ფრანგებთან ახალზელანდიელებს მარშალი (ბურთით) გაუძლვა

ველინგტონი

**ახ. ზელანდია 54(30):7(0) საფრანგეთი**

ახ. ზელანდია: უილსონი, კულენი, ლერემია (ალატინი 64), გიბსონი, უმაგა, მერთენსი (ბრაუნი 69), მარშალი, კრონფელდი (ჰამეტი 80), რანდელი (კაპ), მიკა (ბლოუერსი 60), ბრუქი, მაქსველი (ჯონსი 75), მეუვსი, ოლივერი, ჰოეფტი

7ლ. — კულენი (2), მარშალი (2), უმაგა (3); 5გ. და 3ს. — მერთენსი

საფრანგეთი: გარბაჟოზა (სადურნი 41), სარამეა, კასტანიედი (ლამეზონი 56), ნტამაკი, დომინისი (გარბაჟოზა 42), მოლა, მინიონი (გალტიე 57), მანი, ჟუიე (აკა 71), კოსტი (კალიფანო 79), ორადუ, პელუ, ტურნერი, იბანესი (კაპ) (დალმაზო 71), კალიფანო (კრენკა 71)

1ლ. — მოლა; 1გ. — კასტანიედი

რა უნდა თქვა თამაშზე, რომელიც ასეთი შედეგით მთავრდება? ბევრი არაფერი. ვისაც რაგბის ცქერა უყვარს, ის კი ისიამოვნებდა ზელანდიელთა ლაღი ბურთაობით და ფრანგთა დაცვის დაწიოკებით. ფრანგთა, რომლებმაც ისტორიული მარცხი განიცადეს „ოლ ბლექსთან“.

მასპინძელთა ნაკრები ნამდვილად ბრწყინვალე ფორმაშია, სტუმრებისა რა მოგახსენოთ. მათ ხომ ოდენ პრესტიჟის ლელოს გატანა შეძლეს მეორე ტაიმის დასაწყისში, თავად კი ერთბაშად შვიდი გაუშვეს.

ყველაზე სასეირო ალბათ, ის იყო, რომ მატჩის შემდეგ „მამლების“ მენეჯერი ჟო მაზო მსოფლიოს ჩემპიონატზე მისი გუნდის შანსებზე რომ საუბრობდა: „ამ წაგებით ქვეყანა არ დაქცეულა. ჩვენ მუშაობას განვაგრძობთ და ოპტიმალურ შემადგენლობასაც მივაგნებთ. მსოფლიოს ჩემპიონატზე პროგრამა-მინიმუმი ნახევარფინალში გასვლაა და ამას, ალბათ, შევძლებთ კიდეც. ჯგუფში კანადის, ფიჯის და ნამიბიის დამარცხება არ გაგვიჭირდება. მეოთხედფინალში დუბლინში სავარაუდოდ ავსტრალიისგან ძლეულ ირლანდიას შევხვდებით. მათ კი ბოლო ოთხი მატჩი მოვუგეთ და შემოდგომაზეც შევძლებთ იგივეს გაკეთებას. შემდეგ მეტოქედ, ალბათ, ახალი ზელანდია გვერგება, ფინალში გასავლელ მატჩში. აქ შედეგის წინასწარ განჭვრეტა ცოტა ძნელი საქმეა (?!), მაგრამ ზელანდიელთა დამარცხება ნამდვილად შეგვიძლია (?!), უამისოდ პროგრამა-მაქსიმუმის შესრულებაზე ლაპარაკი ზედმეტია. ჩვენი საბოლოო მიზანი ხომ მსოფლიოს ჩემპიონობის ოქროს მედლებია“.

ნათქვამია, კაცი იმედით ცოცხლობსო, ანდა იმედი ნუ მოგიშალოს ღმერთმაო, მაგრამ ჩვენ სამოურ-ტონგურზელანდიური მზით თავ და ტვინ გავარვარებულ ჟო მაზოს ერთს მაინც ვურჩევთ: ჟო, წადი, ბიძიკო, ჩრდილში დადექი!

**გაგი გურული**



REUTERS სიდნეიდან

ავსტრალიელმა თაუნმა ინგლისელებს ორი ლელო გაუტანა



2 ივლისი ნამდვილად [illegible] ჩება ქართული სუმოს ისტორიაში: ამ დღეს დიდომში, [illegible] საქართველოს ღია პირველობა გაიმართება. ქართველი გოლიათები იაპონელ სუმისტებს გაეჯიბრებიან



ვაკანოჰანა გახდომამდე

# 2 ივლისი დიდი ბიჭების დაბადების დღეა

## ამხელა იოკოძუნა ცოლთან ჩხუბმა დაადნო

**სუმო** იაპონელთა ეროვნული ჭიდაობაა. ამომავალი მზის ქვეყანაში ყოველივე ეროვნულს აღმერთებენ და გამონაკლისი არც სუმოა. თუმც ძიუდოც ხომ ასევე ღვთაებრივია მათთვის. როცა გუშინ, პრესკონფერენციაზე, იაპონელთა მწვრთნელ შინსაკუ ტაკეუჩის ვკითხე, იაპონიაში ამ ორში რომელი უფრო პოპულარულია-მეთქი, ორივე ეროვნულია და თანაბარიო, მიპასუხა. თუმცა ესეც დაამატა, სუმოსაგან განსხვავებით ძიუდოში რაღაც ნიუანსები მაინცაა არაიაპონური და დასკვნების გასაკეთებლად ასეთი მაგალითი დაგვისახელა — ქვეყნის იმპერატორი ძიუდოს შეჯიბრს შეიძლება არ დაესწროს, სუმოსას კი არ გამოტოვებსო.

იაპონიაში სუმო, ძიუდოსგან განსხვავებით, სასკოლო პროგრამებში არ შედის. ბავშვები 7-8 წლიდან იწყებენ ვარჯიშს ჩიბოკო ანუ პატარა სუმოში, პროფესიონალებში გადასვლის უფლება კი 23 წლიდან ეძლევათ. ოღონდ საამისოდ სამი დანიც უნდა მოიპოვონ. ქვეყანაში არსებობს სუმოს კლუბები — ჰეა. მასში უცხოელებს ძნელად იღებენ. მაქსიმუმ ორ კაცს. ტაკეუჩის თქმით, ამჟამად ამ კლუბებში მხოლოდ სამი უცხოელია — მონღოლი, ჰავაელი და არგენტინელი ჭაბუკები. კანდიდატებს კლუბის მეპატრონე არჩევს წონების მიხედვით. იქ მოყვარულები ასპარეზობაში ფულს არ იღებენ. ფული მხოლოდ პროფესიონალებს ეძლევათ, თანაც კარგა გვარიანადაც. იოკოძუნა თვეში 40 ათას დოლარს იღებს. იოკოძუნა ფალავანთა ფალავანს ეწოდება. იაპონელები თვლიან, რომ სუმოს ნიჭი ღვთის მიერაა ბოძებული. ამიტომაც აღმერთებენ მას.

საკმაოდ ენაწყლიანმა ტაკეუჩიმ ისიც გვითხრა, რომ 70 იოკოძუნადან 60 წლამდე მხოლოდ სამმა იცოცხლა. ეს მან ასე ახსნა — იოკოძუნად გახდომამდე ისინი საგანგებო რეჟიმით იკვებებიან, აღიარების მერე კი თავს არაფრით იზღუდავენ და სწორედ ეს შეუზღუდავი ჭამა-სმა უსწრაფებთო სიცოცხლეს. მან ისიც გვითხრა, რომ ბეჭმტკივანი იოკოძუნო ტაკანოჰანა მალე განაახლებს ვარჯიშს და კვლავ უძლიერესი გახდება, ხოლო ვაკანოჰანა სტიუარდესა მეუღლესთან წარმოქმნილი პრობლემების გამო გამხდარა.

იაპონელები თბილისში სამკაციანი გუნდით გვეწვივნენ. სამივე სუმისტი 21-22 წლის სტუდენტია. მათგან უფრო სახელიანი 125 კილოიანი ჰირანო მასატოა, რომელმაც წლეულს იაპონიის ჩემპიონატში მესამე ადგილი დაიკავა. ისინი მხოლოდ აბსოლუტურ და გუნდურ პირველობებში იასპარეზებენ, მსუბუქ (85), ქვემძიმე (115-მდე) და მძიმე (+115) წონებში კი ქართველები შეებრძოლებიან ერთმანეთს.

**ირაკლი თავაძე**

# ლიგა მომავალს ევროპაში ეძებს

ევროპა ყველგან და ყველაფერში ბატონობს. გაიხსენეთ 24 ივნისს ტორონტოში გამართული ცერემონიალი, სადაც ბებერი კონტინენტის წარმომადგენლებმა ლიგის ინდივიდუალური პრიზების უმეტესობა დაისაკუთრეს. და აი, ახალი გამარჯვება. ოთხი პირველი ადგილი, პირველი რაუნდის 28 არჩევანისგან 15, ესე იგი, ნახევარზე მეტი — ასეთია ევროპელთა მონაგარი მორიგ დრაფტზე, რომელიც 26 ივნისს ბოსტონში მოეწყო. პირველ ნომრად კი, როგორც მოსალოდნელი იყო, 18 წლის ჩეხი ვუნდერკინდი პატრიკ შტეფანი დაასახელეს.

## ჰარი სინდენი იმას ამბობს, რასაც სხვები ფიქრობენ

ცნობილი სპეციალისტი, ბოსტონის გენერალური მენეჯერი ჰარი სინდენი, რომელიც ევროპელებს არასოდეს სწყალობდა, ახლაც ბრაზობდა: „არაფერი მესმის. ან ევროპელი მოთამაშეები ვითარდებიან სწრაფად, ან ნორჩი ჰოკეისტების ჩამოყალიბების ჩვენეული პროგრამები მოძველდა“ — თქვა მან მას შემდეგ, რაც დრაფტზე პირველ ოთხ ნომრად ევროპელები აირჩიეს.

რაღა გვეთქმის — 1992 წლის შემდეგ, როცა ნჰლ ლამის წალეკა პოსტსოციალისტური ქვეყნების მოთამაშეთა ნაკადმა, ესოდენ ევროპული დრაფტი არ ყოფილა. თუმცა მაშინ ბებერ კონტინენტელებს ასეთი სრული და თვალსაჩინო უპირატესობა არ ჰქონიათ: პირველი ხუთი ნომრიდან მათ მხოლოდ სამი — პირველი, მეორე და მეხუთე ერგოთ, პირველ რაუნდში კი სულ 11 მოთამაშე აირჩიეს. სიმბოლურია, რომ მაშინაც და ახლაც დრაფტს პირველ ნომრად ჩეხი ჰოკეისტი მოევლინა. თუ 90-იანების დასაწყისში ეს რომან ჰამრლიკი იყო, წლევანდელი ყოჩი, როგორც უკვე მოგახსენეთ, პატრიკ შტეფანი გახლავთ. შტეფანი თანატოლთა შორის მართლაც საუკეთესოა — იჰლ-ის ლიგაში ჩატარებულ 33 მატჩში მან 35 (11+24) ქულა დააგროვა და საუკეთესო ახალბედაც გახდა. ათლეტური აღნაგობის შტეფანს (188 სმ, 85 კგ) ძალისმიერი სათამაშო სტილის გამო ერიკ ლინდროსს ადარებენ.

და მაინც, დრაფტის მთავარი მოვლენა ერთი უპრეცენდენტო შემთხვევა გახდა, რომლის დარიც ლიგის ისტორიას არ ახსოვს!




REUTERS ბოსტონიდან

დრაფტის პირველ ნომერ პატრიკ შტეფანს ატლანტის მაისურა ლიგის ამ ახალბედა კლუბის პრეზიდენტმა ჰარვი შილერმა გადასცა




REUTERS ბოსტონიდან

ტყუპ სედინებს ოცნება აუხდათ: ისინი ვანკუვერში ერთად ითამაშებენ. შვედ ძმებს მარტო ეს კლუბი კი არა, მთელი ლიგა იმედით შეჰყურებს

## ძმები სედინები: ტყუპად ახდენილი ოცნება

ამ უნიჭიერეს ტყუპებს დრაფტამდე არაერთხელ განუცხადებიათ, რომ ერთ გუნდში სურდათ თამაში და ვანკუვერის გენერალური მენეჯერი ბრაიან ბურკიც დაფაცურდა. მან ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რათა შვედი ძმების ოცნება ასრულებულიყო. თავიდან ბურკს მესამე საარჩევნო ნომერი ჰქონდა, მაგრამ სედინების დასაუფლებლად უფრო მაღალი ნომერი უნდა მოეპოვებინა. ჰოდა, იგიც საქმეს შეუდგა. ჯერ იყო და, ბრაიან მაკეიბის შეელია და ჩიკაგოს დრაფტის მეოთხე ნომერში გაუცვალა, მერე ეს და მესამე რაუნდის ორი არჩევანი ტამპას დაუთმო პირველი ნომრის სანაცვლოდ. ყოველივე ატლანტასთან შეთანხმებამ დააგვირგვინა, რის შედეგადაც ლიგის დებიუტანტს პირველი, ხოლო ბურკს მეორე და უკვე მის ხელთ არსებული მესამე ნომრები ერგო, თანაც „თრეშერსის“ წარმომადგენლებს პირობა ჩამოართვა, რომ ისინი სედინებს არ განცალკევებდნენ.

მართლაც, ისე მოხდა, რომ დრაფტის პირველი ნომერი ატლანტას შერჩა, რომელმაც შტეფანი აირჩია, ხოლო სედინები ვანკუვერში აღმოჩნდნენ.

## ელვებმა მომავალი გაინათეს

ამასობაში არც სხვა კლუბების გენერალური მენეჯერები მსხდარან გულხელდაკრეფილნი. ერთობ იმარჯვა ტამპამ: მან ვანკუვერისგან მიღებული მაღალი მეოთხე ნომერი რეინჯერსს შესწირა, სამაგიეროდ, სოლიდური კომპენსაცია მიიღო — მეკარე დენ კლუტიე, ფორვარდი ნიკლას სუნდსტრიომი და მომავალი წლის დრაფტზე ორი არჩევანი. „ელვების“ ეს ნაბიჯი გასაგებიცაა — მაჩანჩალას მნიშვნელოვანი გაძლიერება სჭირდება და სუნდსტრიომი, რომელიც ბოლო ორი სეზონია, უეინ გრეცკისთან ერთ სამეულში თამაშობს, ამის ერთ-ერთი წინაპირობაა.

## რეინჯერსის დუბლი და აილენდერსის ჰეთ თრიქი

როგორც ვთქვით, მეოთხე ნომერი რეინჯერსს ერგო და ნიუიორკელებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ჩეხი პაველ ბრენდლი აირჩიეს, კალგარისთან გაცვლის შედეგად მიღებული მეცხრე ნომრის ხარჯზე კი ფორვარდი ჯემი ლუნდმარკი და ნაგანოს ოლიმპიურ ჩემპიონ იან ჰლავაჩზე უფლებები შეიძინეს. ამგვარად, რეინჯერსმა ორი გოლეადორი შეიმატა (ბრენდლმა თავის გუნდში 73 შაიბა გაიტანა, ხოლო ლუნდმარკი ამერიკელ თანატოლთა შორის საუკეთესო ბომბარდირია) და ეს სამომავლოდ თავდასხმაში ბევრ პრობლემას მოუხსნის. ამიტომაც ხარობდა გუნდის გენერალური მენეჯერი ნეილ სმიტი: „ბრენდლი და ჰლავაჩი, ვფიქრობ, მომდევნო პირველობაზევე დაგვეხმარებიან, ხოლო ლუნდმარკი გაისად ჩვენი გუნდის თამაშს კიდევ უფრო გააუმჯობესებს“.

გამოირჩა აილენდერსი. მანამდე კლუბმა ფინანსური პრობლემების გამო რამდენიმე ძვირადღირებული ვარსკვლავი გაყიდა და ნათელი გახადა, რომ ახალგაზრდებს შეიმატებდა. კლუბის გენერალური მენეჯერის, მაიკ მილბერის ნაყოფიერმა დრაფტამდელმა საქმიანობამ „კუნძულელებს“ შედეგად ის მოუტანა, რომ მათ პირველი ათი არჩევანიდან ერთბაშად სამი მოიპოვეს, რაც ნჰლ-ის ისტორიაში მესამე შემთხვევაა. „რეინჯერებმა“ ფორვარდი ტიმ კონოლი (№5), წარსულში ცნობილი ჰოკეისტის, ნელსონ პაიეტის ვაჟი ტეილორი (№8) და სლოვაკი მცველი ბრანისლავ მეზეი იგდეს ხელთ. მილბერი ამით არ დაკმაყოფილდა და დალასისგან მიღებული პირველი რაუნდის ბოლო, 28-ე ნომრად კიდევ ერთი მცველი, სლოვაკი კრისტიან კუდროცი შეიძინა.

„ჩვენ ნაწილობრივ მაინც ავინაზღაურეთ ის დანაკლისი, რომელიც გუნდიდან ლიდერების წასვლის შემდეგ შეიქმნა. ყოველ შემთხვევაში, ამ ბიჭებისგან ორი მაინც უეჭველად ითამაშებს მომდევნო სეზონში“ — განაცხადა მილბერმა დრაფტის შემდეგ.

## კიდევ რა იყო?

სულ ეს იყო წლევანდელი დრაფტის ციებ-ცხელება. გუნდებს არავითარი სიურპრიზი არ შემოუთავაზებიათ. ერთობ უცნაურად მოიქცა ნეშვილი. იმის ნაცვლად, რომ შეტევაში გაძლიერებულიყო, ლიგის დებიუტანტმა ძლიერ მეკარე მაიკ დანჰემს ბრაიან ფინლი (№6) შეუწყვილა.

კალგარიმ მე-11 ნომრად ტანმორჩილი და აგრესიული რუსი ფორვარდი ოლეგ საპრიკინი შეიძინა. შედარებით დაბალ, მე-12 ნომრად შეფასდა უკრაინაში დაბადებული, რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებში მოასპარეზე დენის შვიდკი (იგი ფლორიდაში აღმოჩნდა), არადა, შარშან მას დონით სედინებთან აიგივებდნენ.

კიდევ რამდენიმე ტრეიდი განხორციელდა. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი ფინიქსელი ოლეგ ტვერდოვსკის ანაჰაიმელ ტრევის გრიზსა და დრაფტის მე-15 ნომერ სკოტ კელმანზე გაცვლა გახლავთ. ფინიქსს რობერტ რაიხელის ჩეხეთში დაბრუნების შემდეგ ჰაერივით სჭირდებოდა მაღალი კლასის ცენტრი, ხოლო ანაჰაიმს — შემტევი მცველი. ასე რომ, ორივე მხარე კმაყოფილი დარჩა. შეგახსენებთ, რომ 1994 წლის დრაფტზე ტვერდოვსკი სწორედ ანაჰაიმმა აირჩია მეორე ნომრად, მერე კი მცველი ვინიპეგში (ამჟამად ფინიქსი) თვით ტეემუ სელიანეზე გაცვალეს.

**სამველ ლარიბიანი**

## დრაფტის პირველი რაუნდი

1. პატრიკ შტეფანი (ჩეხეთი, ატლანტა); 2. დანიელ სედინი (შვედეთი, ვანკუვერი); 3. ჰენრიკ სედინი (შვედეთი, ვანკუვერი); 4. პაველ ბრენდლი (ჩეხეთი, რეინჯერსი); 5. ტიმ კონოლი (აილენდერსი); 6. ბრაიან ფინლი (ნეშვილი); 7. კრის ბიჩი (ვაშინგტონი); 8. ტეილორ პაიეტი (აილენდერსი); 9. ჯემი ლუნდმარკი (რეინჯერსი); 10. ბრანისლავ მეზეი (სლოვაკეთი, აილენდერსი); 11. ოლეგ საპრიკინი (რუსეთი, კალგარი); 12. დენის შვიდკი (უკრაინა, ფლორიდა); 13. იანი რიტა (ფინეთი, ედმონტონი); 14. ჯეფ ჯილსონი (სან ხოსე); 15. სკოტ კელმანი (ფინიქსი); 16. დავიდ ტანაბე (კაროლინა); 17. ბარეტ ჯეკმენი (სენტ ლუისი); 18. კონსტანტინ კალცოვი (ბელარუსი, პიტსბურგი); 19. კირილ საფრონოვი (რუსეთი, ფინიქსი); 20. ბარეტ ჰაისტენი (ბუფალო); 21. ნიკ ბოინტონი (ბოსტონი); 22. მაქსიმ უელე (ფილადელფია); 23. სტივ მაკარტი (ჩიკაგო); 24. ლუკა სერედა (შვეიცარია, ტორონტო); 25. მიხაილ კულეშოვი (რუსეთი, კოლორადო); 26. მარტინ ჰავლატი (ჩეხეთი, ოტავა); 27. არი აჰონენი (ფინეთი, ნიუ ჯერსი); 28. კრისტიან კუდროცი (სლოვაკეთი, აილენდერსი).

სპეციალისტთა აზრით, ასეთი ძლიერი დრაფტი 1990 წლის შემდეგ (მაშინ თვით იარომირ იაგრი აირჩიეს) არ ყოფილა. ცხადია, ძნელია, იწინასწარმეტყველო, სამომავლოდ რომელი ვუნდერკინდი იქცევა ვარსკვლავად, მაგრამ ერთი რამ ახლავე შეიძლება ითქვას — 7-8 ახალბედას წლეულსვე ძალუძს ლიგაში დამკვიდრება. უპირველეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, დრაფტის პირველ ოთხ ნომერს ვგულისხმობთ (თუმცა სედინები კიდევ ერთი სეზონით შვედეთში დარჩენას აპირებენ), ასევე საპრიკინს, შვიდკის, რიტას. იქნებ აილენდერსის რომელიმე ახალწვეულმაც გამოიჩინოს თავი. ისე, შარშანდელ დრაფტს თუ გავიხსენებთ, პირველი რაუნდის რჩეულთაგან მხოლოდ ორმა ტამპელმა ვენსან ლეკავალიემ (№1) და რეინჯერსელმა მენი მალჰოტრამ (№7) მოიკიდეს ფეხი თავიანთ კლუბებში, დანარჩენი სამი კი ყინულზე დროდადრო თუ გამოჩნდებოდა ხოლმე.

ჩვენ კი მოვლენებს წინ გავუსწრებთ და ვიტყვით — 1999 უეჭველად ძმები სედინების წელი იქნება. ამას ისევ და ისევ ბურკის სიტყვებით დავადასტურებთ: „ტყუპები თვალდახუჭულნი პოულობენ ერთმანეთს მოედანზე, ყველაზე საჭირო დროს და საჭირო ადგილას“ — თქვა მან და დასძინა, სედინები ისეთივე კვალს დატოვებენ, როგორიც 80-იანებში ლიგას პეტერ და ანტონ შტიასნებმა დააჩნიესო.



# იაპონელები აღარ ხუმრობენ

ჰოლანდიაში ასენის ავტოდრომზე გამართა მოტომრბოლელთა მსოფლიოს ჩემპიონატის მეშვიდე ეტაპი.

კლას 125-ში რბოლა მოიგო და ლიდერობა დაიბრუნა იაპონელმა მასაო აზუმამ. მეორეც იაპონელი იყო — [illegible] 20 ქულა შემატა თავის ადრინდელ მონაგარს და 88 ქულით მეხუთე ადგილზე გადაინაცვლა. ჩემპიონატის ყოფილი ლიდერი ესპანელი ემილიო ალზამორა მეოთხე ადგილს დასჯერდა და 111 ქულით საერთო ჩათვლაში ახლა მეორე ადგილზეა. აღსანიშნავია, რომ სამივე მრბოლი ჰონდათი ასპარეზობს.

კლას 250-ში იტალიელი ვალენტინო როსი, მართალია მხოლოდ მეორე იყო, მაგრამ თავის უშუალო მეტოქეს იაპონელ ტორუ უკავას კიდევ 7 ქულით აჯობა. ჩემპიონატის ლიდერს უკავას 134 ქულა აქვს, როსის — 115. ასენის რბოლა კი იტალიელმა ლორის კაპიროსიმ მოიგო.

ხუთასიანების კლასში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დანაკლისია. ადრე ტრავმირებულ მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონს დუენს წლევანდელი ჩემპიონატის ლიდერი ესპანელი ალექს კრივილეც დაემატა. ჯერჯერობით უცნობია, როდის დაუბრუნდება სპორტსმენი რბოლებს. ასენის დიდი პრიზი კი იაპონელმა ოკადამ მოიგო. 93 ქულით საერთო ჩათვლაში იგი მესამე ადგილზეა. ლიდერობა შეინარჩუნა კრივილემ — 129 ქულა, მეორეზეა ამერიკელი კენი რობერტსი — 94.

**ირაკლი ბერიაშვილი**



# კასაგრანდე რიხიანად დაბრუნდა

## თან იფიცება, უბრალო ვიყავ, ტყუილად მტანჯესო

„შვეიცარიის ტურის“ მეათე და ბოლო ეტაპი იტალიელმა მაურიციო დე პასკუალემ (ამორე ე ვიტა) მოიგო, მთლიანად ტურნირის გამარჯვებული კი მისი თანამემამულე ფრანჩესკო კასაგრანდე (ვინი კალდიროლა) გახდა.

29 წლის კასაგრანდემ, რომელსაც შარშან ანტიდოპინგური ტესტის ჩაგდებისთვის ცხრათვიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს, მსოფლიო კლასიფიკაციაში პირველ ადგილზე მყოფ ფრანგ ლორან ჟალაბერს (ონსე) საერთო ჩათვლაში წუთზე მეტით გაუსწრო.

„მეორე ეტაპის შემდეგ გუნდის თავკაცები მიხვდნენ, რომ საბოლოო გამარჯვებისთვის ბრძოლა შემეძლო და ყველანაირად შემიწყვეს ხელი. მეც მათი იმედები არ გავაცრუე“ — განაცხადა სპორტში ახალდაბრუნებულმა მრბოლმა.

1998 წლის გაზაფხულზე დოპინგის გამოყენებაში ორჯერ მხილებული კასაგრანდე დღემდე ამტკიცებს, რომ უდანაშაულოა. მაშინ იტალიის ველოსპორტის ფედერაციამ იგი ექვსი თვით მოკვეთა შეჯიბრებებიდან. თუმცა ეს სასჯელი ველოსპორტის საერთაშორისო კავშირს ძალიან ემსუბუქა და სპორტის არბიტრალურ ტრიბუნალში (ლოზანა) ჩივილის შემდეგ კასაგრანდეს დისკვალიფიკაციის ვადა 9 თვემდე გაუზარდეს.

**გაიოზ თალაკვაძე**

**საერთო ჩათვლა**

1 ფრანჩესკო კასაგრანდე (იტალია) 35 სთ 22 წთ 40 წმ
2 ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი) +1,04
3 ჯილბერტო სიმონი (იტალია) +1,11
4 ლორან დიუფო (შვეიცარია) +1,16
5 ოსკარ კამენზინდი (შვეიცარია) +1,45

# ბელტრანს ქალი ეღირსა

## ეს გამარჯვება სანრომას შესანდობარია




მანუელ ბელტრანმა მრავალდღიანი პირველად მოიგო

„კატალონიის ტურის“ ბოლო, მე-7 ეტაპი და მთლიანად ტურნირი ერთმა კაცმა მოიგო — ესპანელმა მანუელ ბელტრანმა (ბანესტო). მან 14-კილომეტრიან ინდივიდუალურ რბოლაში აჯობა ყველას. დისტანციის დაფარვას ბელტრანმა, რომლისთვისაც ეს ტურნირი პირველი მრავალდღიანი მოგებული შეჯიბრია, 33 წუთი და 31 წამი მოანდომა. მისმა თანაგუნდელმა და თანამემამულემ ხოსე მარია ხიმენესმა კი მასთან მთელი 30 წამი წააგო, თუმცა მაინც მეორე ადგილზე გავიდა.

პოდიუმზე კი სამი ესპანელი ავიდა. საერთო ჩათვლაში მეორე ადგილი წინა ეტაპის გამარჯვებულმა რობერტო ერასმა დაიკავა, მესამე კი ხიმენესმა. ორ მშვენიერ ქალიშვილს შორის მყოფმა ბელტრანმა შამპანურით წუწაობით გული რომ იჯერა, სალაპარაკოდაც მოიცალა და განაცხადა, რომ თავის გამარჯვებას მანუელ სანრომას ხსოვნას უძღვნიდა. ალბათ, გახსოვთ, ეს 22 წლის მრბოლი „კატალონიის ტურის“ მეორე ეტაპის საფინიშო სპრინტისას ველოსიპედიდან ჩამოვარდა, თავი ასფალტს დაჰკრა და სულიც საავადმყოფოში მიყვანამდე განუტევა.

**ნანა შატაძიშვილი**

# ზოგს დასკვნებისთვის წელი არ ჰყოფნის, ზოგისთვის ორი მატჩიც საკმარისია

საქართველოს ჩემპიონატი

ფინალი

**აზოტი — ვითა 2:3**
სამ მოგებამდე

| | |
|---|---|
| 21 ივნისი | აზოტი 85:75 ვითა |
| 23 ივნისი | ვითა 71:72 აზოტი |
| 24 ივნისი | აზოტი 65:78 ვითა |
| 25 ივნისი | ვითა 72:68 აზოტი |
| 28 ივნისი | აზოტი 62:68 ვითა |

**საქართველოს** მერვე ჩემპიონატის გამარჯვებულის გამოვლენას ზუსტად ცხრა თვე დასჭირდა. კიდევ ერთხელ გალიეს გუნდებმა ამ ხნის მანძილზე სავალი ეკლიანი ბილიკები, სვენებ-სვენებით განვლეს მერვე ეროვნულის მომქანცველი მარათონი და ახლა, როცა ყველა კითხვას პასუხი გაეცა, წლევანდელი ჩემპიონატიც, წინა შვიდის მსგავსად, მატიანის ფურცლებზე გადაინაცვლებს.

უკვე მერვედ დადგა განსჯის, დასკვნების გამოტანის ჟამი. სწორედაც დროა, ცივი გონებით შევაფასოთ განვლილი პირველობის ფინალური დაპირისპირება, რომლის ხილვაც დიახაც რომ ღირდა ამდენ ლოდინად.

გამარჯვებული უკვე ცნობილია — თბილისის „ვითა“ ზედიზედ მეშვიდედ შეიქნა ქვეყნის ჩემპიონი, რაც ამ გუნდმა არანაკლები სიძლიერისა და ამბიციების მქონე რუსთავის „აზოტის“ ძლევით მოახერხა. მართლაც რომ საინტერესო გამოდგა „ვითასა“ და „აზოტის“ ფინალური შეჭიდება. ჩემპიონის ბედი მეხუთე, გადამწყვეტ შეხვედრაში გაირკვა, სულ ბოლოსღა გადაიხარა სასწორი „ვითასკენ“, იქამდე კი გუნდების უშეღავათო ბრძოლებს არც კალათბურთის გულშემატკივარი დაუტოვებია გულგრილი.

ისტორია განმეორდა, „აზოტს“ ისევ მეორე ადგილი და ვერცხლის მედლები ერგო, საჩემპიონო გვირგვინს კი კვლავაც „ვითა“ შესწვდა — უფრო უკეთ მომზადებული და ტაქტიკურად მეტად განსწავლული გუნდი.

გაჩემპიონების ურეალურესი შანსი დაუსხლტა „აზოტს“ ხელიდან. რუსთაველები სერიაში 2:0 დაწინაურდნენ და საბოლოო მიზნამდეც თითქოს ერთი ნაბიჯიღა რჩებოდათ, მაგრამ ნათქვამია, კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო. ვითელთა ჰეგემონია ასე, ერთი ხელის მოსმით დასამხობი არ აღმოჩნდა, გუნდმა საკუთარი ძალის ირწმუნა და ბრჭყალები სწორედ მაშინ გამოაჩინა, როცა წარმატებაში დაჯერებულმა რუსთაველებმა თავი ზედმეტად დაიმშვიდეს.

ცხადად გამოჩნდა მწვრთნელის, ზურაბ ტომარაძის მუშაობის შედეგიც. „ვითამ“ სეზონის ბოლოს საგრძნობლად მოუმატა და ერთი შეხედვით უფრო ძლიერ „აზოტს“ ფინალში ტოლ-სწორ მეტოქედ წარუდგა. ორი წაგების შემდეგ გუნდი მორალურად არ გატყდა, ტომარაძემ შეგირდები კვლავაც საბრძოლველად შემართა და სერიაში „ვითამ“ ანგარიში გაათანაბრა, რის შედეგადაც ფსიქოლოგიური უპირატესობა მათ მხარეს აღმოჩნდა. მეტოქის ამგვარმა შემართებამ „აზოტი“ წელში გაწყვიტა, ხუმრობა საქმე ხომ არ იყო, ამდენი ჯაფა რუსთაველებს ერთიანად წყალში ეყრებოდათ, თუმცა მათ დანებება არც უცდიათ და უკანასკნელ მატჩში ისეთი რიხით ეკვეთნენ მოწინააღმდეგეს, თითქოს ჩემპიონობაც გარდაუვალი ჩანდა...

მაგრამ არა, თბილისელებმა „აზოტს“ მეტი აღარ დაანებეს, ტომარაძემ შეძლო გუნდის მობილიზება და მეორე ტაიმში მეტოქეს შეუვალი დაცვა შეაგება, რამაც გადაწყვიტა კიდეც ჩემპიონის ბედი.

ეგეც რომ არა, „ვითას“ გაცილებით სრულყოფილი სათადარიგო სკამი აღმოაჩნდა, ვიდრე „აზოტს“. თბილისელებს არ ჰყავთ გამოკვეთილი ლიდერი, რაც „აზოტს“ დამატებით თავსატეხად დაატყდა, რადგან საფრთხე თითოეული მოთამაშისგან იყო მოსალოდნელი.

ექვსი კალათბურთელის იმედად მყოფი ოთარ ხმელიძე კი სათადარიგოებს არცთუ ხშირად ასაქმებდა.

ზემოთქმულს მეტი სიცხადე რომ შესძინოს, ფინალურ მატჩებში ორივე გუნდის კალათბურთელთა შედეგიანობას გადავხედოთ:

„აზოტი“: ჯაფარიძე — 81 ქულა, გოგობერიშვილი — 64, ჟლენტი — 60, ბაბიაშვილი — 50, ბერუაშვილი — 47, გაბისონია — 26, ჯიმშელეიშვილი — 12, ჩაჩუა — 9, ბარამიძე — 3.

„ვითა“: დავითულიანი — 59, ტურაშვილი — 59, ორმოცაძე — 57, ჩუბინიძე — 55, კოკოლიშვილი — 47, აბრამიძე — 37, კორძაძე — 21, უსტიაშვილი — 18, ბაქრაძე — 6, ახალკაცი — 5.

როგორც ხედავთ, „ვითას“ შედეგიანობა, მეტოქისგან განსხვავებით, უფრო თანაბრად ნაწილდება კალათბურთელებზე, რაც თანამედროვე კალათბურთში წარმატების ერთ-ერთი საწინდარია. რუსთაველთა ძირითადი ხუთეული იქნებ სჯობს კიდეც „ვითასას“, მაგრამ ჩემპიონობაზე მებრძოლი გუნდის თავკაცობას შემადგენლობის დაკომპლექტებისას მეტი წინდახედულობა მართებდათ. „აზოტის“ ლიდერების წინააღმდეგ ტომარაძემ დამატებითი რეზერვები აამოქმედა, რასაც მეტოქე კოლეგამ ვერაფერი დაუპირისპირა, რადგან ხმელიძე რისკზე არ წავიდა და ისევ ნაცად მოთამაშეებს დაეყრდნო.

შეუძლებელია, ფინალური სერიის ანალიზისას გვერდი აუარო ფაქტს, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება კალათბურთში. საუბარია საჯარიმო სროლების რეალიზაციაზე, რაც დიდად განაპირობებს დაძაბული თამაშის შედეგს.

აღსანიშნავია, რომ აზოტელები ამ კომპონენტშიც ჩამორჩნენ მეტოქეს, რაც ალბათ იმით აიხსნება, რომ ექვსგზის ჩემპიონებს მსგავს შეხვედრებში მონაწილეობის გაცილებით დიდი გამოცდილება დაგროვებოდათ. „ვითამ“ 136 საჯარიმოდან 100 გამოიყენა, რაც ერთობ კარგი შედეგია, რუსთაველებმა კი 124-დან მხოლოდ 78 ჩააგდეს.

„აზოტი“ უმეტესად დავითულიანზე, ჩუბინიძეზე და ტურაშვილზე ჯარიმდებოდა, რაც ამ მოთამაშეების აქტიურობაზე მიგვანიშნებს. რუსთაველთაგან კი ძირითადად ჯაფარიძე და ჟლენტი ესროდნენ პერსონალურებს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ჟლენტიც და ჯაფარიძეც საჯარიმოს ხაზიდან ყოველთვის სიზუსტით გამოირჩეოდნენ, ახლა მათი მონაგარი მოკრძალებულად უნდა ჩაითვალოს. ამ კალათბურთელების 49 ნასროლიდან მიზანს მხოლოდ 25-მა უწია.

არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ „ვითას“ წარმატებაში ლომის წილი დაიდო ნუგზარ კოკოლიშვილმა. კი ვთქვით, გუნდს გამოკვეთილი ლიდერი არ ჰყავდაო, მაგრამ კოკოლიშვილი მაინც გამოირჩეოდა თანაგუნდელთა შორის. ჯანმაგარი და კარგი ფიზიკური მონაცემების მქონე ეს კალათბურთელი დროდადრო ლიდერის ფუნქციასაც ითავსებდა და ბომბარდირული თვისებებითაც გამოირჩა. მისი ნასროლი სამიანები ყოველთვის დროული და რაც მთავარია, ზუსტი იყო. ეს კი „აზოტს“ გასაქანს არ აძლევდა.

რაკიღა სიტყვა სამქულიანებზე ჩამოვარდა, იმასაც გეტყვით, რომ ამ მხრივ კოკოლიშვილი ორივე გუნდიდან საუკეთესო იყო. აქვე, ამ კომპონენტში ყველა კალათბურთელის მონაგარსაც გაგაცნობთ.

„ვითა“: კოკოლიშვილი — 12, ორმოცაძე — 5, ტურაშვილი — 4, აბრამიძე — 3, უსტიაშვილი — 2, კორძაძე — 1, დავითულიანი — 1.

„აზოტი“: გოგობერიშვილი — 10, ჯაფარიძე — 8, ჟლენტი — 6, გაბისონია — 6, ჯიმშელეიშვილი — 2, ბერუაშვილი — 1, ჩაჩუა — 1.

რუსთაველთა ცენტრ ჯაფარიძის 8 სამქულიანი თავისთავად კარგი შედეგია, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ირაკლი უკანახაზელის პოზიციიდანაც ძალიან სახიფათოა, თუმცა მოლოდინი, თითქოს ნაკრების ცენტრი ჯაფარიძე ორივე ფარზე გაბატონდებოდა, არ გამართლდა.

ქებას იმსახურებს ჩუბინიძე-ორმოცაძის დუეტი. მართალია, საბოლოო ჯამში ჯაფარიძე ყველაზე ხელხვავიანი კალათბურთელი აღმოჩნდა, მაგრამ რომ არა ზემოხსენებული დუეტის შეხმატკბილებული თამაში დაცვაში, ჯაფარიძის მონაგარი უფრო შთამბეჭდავი იქნებოდა. რუსთაველთა ლიდერს განსაკუთრებით მაშინ შეეკრა ხელ-ფეხი, როდესაც ტომარაძემ შეგირდები დაცვაში ზონურად განალაგა. მოგეხსენებათ, დაცვის ამგვარი სისტემა კალათბურთელებისგან სხარტ აზროვნებასთან ერთად ულევ ენერგიას და დროულ გადაადგილებას მოითხოვს, ამიტომ მწვრთნელმა ტანმაღალ კორძაძეს მეტად მოძრავი ჩუბინიძე ამჯობინა, რომელმაც ორმოცაძესთან ერთად შეკრა ის ტანდემი, რაც ჯაფარიძისთვის გადაულახავ ბარიერად იქცა.

„ვითამ“ თამაშის ორგანიზებითაც დაჯაბნა „აზოტი“. ორი წაგებული შეხვედრის შემდეგ მათი ზედიზედ სამი მოგებაც ამაზე მეტყველებს. ტომარაძის ნაფიქრ-ნააზრევს მოედანზე გამთამაშებელმა, დავით უსტიაშვილმა, შეასხა ხორცი. მან ჩინებულად გაართვა თავი მწვრთნელის დავალებებს და შედეგმაც არ დააყოვნა. უსტიაშვილმა „ვითას“ სათამაშო დისციპლინა კიდევ უფრო განამტკიცა და მეტოქის დაცვის დანაწევრებას გონივრული და მეთოდური შეტევებით ახერხებდა. საჭირო დროს დათომ ბურთიც „დაიჭირა“, ტემპიც ააჩქარა და კრიტიკულ მომენტებში წინაც გაუძღვა თავისიანებს.

ამას ვერ ვიტყვით არჩილ ჟლენტზე. იგი არც ერთზე ნაკლები არ არის, მაგრამ ფიზიკურმა კონდიციებმა [illegible] უმტყუნა. ამას ისიც მოწმობს, რომ [illegible] ჟლენტი თანაგუნდელთაგან ერთ-ერთი საუკეთესო იყო, მაგრამ მერე ფინალურმა მარათონმა მოქანცა და მანაც შედეგიანობას უკლო. აჩიკო ბურთის გათამაშებისას ისეთი პასიური გახლდათ, როგორც არასდროს. მას მოედანზე ლაპარაკიც ევალებოდა, თუმცა მოლაპარაკე ჟლენტს იშვიათად თუ ნახავდით.

აქვე ერთ მნიშვნელოვან გარემოებაზეც გავამახვილებთ თქვენს ყურადღებას, არაერთხელ გვითქვამს, რომ რუსთაველთა თამაშზე დიდად მოქმედებს მათი ნერვიულობა, რაც წლევანდელმა ფინალმაც დაგვიდასტურა. როდესაც „აზოტი“ მშვიდად თამაშობდა, სულ ლიდერობდა და აკი თავიდან ორივე თამაშიც მოიგო. საკმარისია, ერთი კალათბურთელი განერვიულდეს, მღელვარება დანარჩენებსაც გადაედებათ ხოლმე და გუნდის სამოქმედო სქემის მოშლასაც წინ არაფერი უდგას.

საამისოდ ჭკუისსასწავლებელი მაგალითი შარშანაც ჰქონდათ რუსთაველებს, თუმცა... ასე არ მოხდა. ვფიქრობთ, მომავალში კვლავაც გასაჩემპიონებლად მებრძოლ „აზოტს“ ამაზე დიდი დაფიქრება მართებს. რა იცით, იქნებ სწორედ ეს აღმოჩნდეს „ვითას“ საიდუმლოების გასაღები.

ისე, ჩვენში დარჩეს და, ვითელები მერვე ეროვნულში მთლად სწორად არ მოქცეულან. მათმა საქციელმა კი ფედერაცია აიძულა, ჩემპიონატის დებულებისთვის ზურგი ექცია. ფაქტია, რომ პირველ წრეში გათამაშებისგან განზე გამდგარი „ვითა“ ფედერაციას რომ არ დაენდო, ახლა ეს გუნდი ჩემპიონი ვერ იქნებოდა. დაირღვა დებულება, „ვითა“ მაინც დაუშვეს ჩემპიონატში და...

არა, „ვითა“ ღირსეულად, ალალად და უსაყვედუროდ გახდა ზედიზედ მეშვიდედ ტრიუმფატორი, მაგრამ კანონის წინაშე ყველამ ქედი უნდა მოიხაროს, განურჩევლად დამსახურებისა. წეს-კანონის უგულებელყოფით საერთო საქმე წახდება, საქმე, რომელსაც ქართული კალათბურთი ჰქვია და ღვთის მადლით ჯერ კიდევ ფეთქავს.

თუმცა კმარა, წასული ამბავია და გაგრძელება აღარც ღირს. უკეთესი მომავლის მოლოდინში ესეც და სხვა ამისთანებიც ახლა კარგად დავივიწყოთ. ვინ იცის, იქნებ მალე ეს ეკლიანი სავალიც უკან მოვიტოვოთ და იმ გზაზე გავიდეთ, სადაც ცხოვრება ცხოვრებაა, კალათბურთი — კალათბურთი.

**გიორგი გიკაშვილი**

მურაზ ლომთათიძის ფოტოები



თავიდან არჩილ ჟლენტის (ბურთით) „აზოტი“ მძლავრობდა...



...მერე ნუგზარ კოკოლიშვილის (№14) „ვითამ“ მდგომარეობა გამოასწორა...




...ბოლოს კი გაჩემპიონებულმა ვითელებმა თავიანთი პრეზიდენტი გია გაგნიძე ჰაერში ატყორცნეს

კალათბურთი

EURO BASKET 99 FRANCE

# სლოვენია არაფრის ღირსი არ ყოფილა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის ჩემპიონატის მეორე ეტაპი. III ტური. 28 ივნისი



ლიტვა — იტალია. არვიდას საბონისმა (ბურთით) იტალიელი რობერტო კიაჩიგი (№14) პირწმინდად დაჩაგრა

პო

## E ჯგუფი

### სლოვენია 69:74 საფრანგეთი

(I ტაიმი 38:28)

სლოვენია: ზდოვცი (14), დანეუ (8), კრალევიჩი (2), სმოდისი (4), მილიჩი (15), იურკოვიჩი (10), ნესტეროვიჩი (16), დრაგშიჩი

საფრანგეთი: სონკო (7), რიგოდო (12), ფუარე (5), სკიარა (3), აბდულ-ვაჰადი (11), რისაშე (12), გადუ (4), ჟულიენი (6), ვეისი (2), ბილბა (9), სმიტი (3)

არ ყოფილა სლოვენია მეოთხედფინალის ღირსი. ანდა, თავად არ სურდა ამ ეტაპზე თამაში. სხვაგვარ ახსნას ამ გუნდის საქციელს ძნელად თუ გამოუძებნი.

ჯერ იყო და, სლოვენიამ, რიგიანი მოთამაშეებისა და ახირებული მწვრთნელის გუნდმა, მეორე ტურში ისრაელს აჩუქა მოგება და მეოთხედფინალში გასვლის შანსი მინიმუმამდე შეიმცირა. ექსიუგოსლავიელებს სასწაული თუ უშველიდა. ჰოდა, 28 ივნისი, ანუ მეორე ეტაპის ბოლო ტურის დღე, სწორედ რომ სასწაულით დაიწყო. ყოველ შემთხვევაში, იმისთანა რამეები მოხდა, სლოვენიას რომ არ დაესიზმრებოდა.

ჯერ ესპანეთმა მოუგო ისრაელს და ეს უკანასკნელი ჯგუფში ჩარჩა. არადა, ებრაელები მოგების შემთხვევაში მეოთხედფინალში გადიოდნენ და სლოვენიას ყველანაირი იმედი უქრებოდა.

მერე რუსეთმა მოუგო იუგოსლავიას. პირიქით რომ მომხდარიყო, ანუ იუგოსლავიას ემარჯვა, სლოვენია ულაპარაკოდ ჯგუფში რჩებოდა, მაგრამ რაც მოხდა, ზემოთ მოგახსენეთ.

სლოვენიას ერთადერთი ამოცანა რჩებოდა გადასაწყვეტი: დაემარცხებინა საფრანგეთი (რომლისთვისაც ეს მატჩი აღარაფერს წყვეტდა, რადგან ყველა ვარიანტში ჯგუფში მეორე ადგილზე გადიოდა) და ესპანეთთან ქულების ტოლი რაოდენობა დაეგროვებინა. მერე კი სლოვენიას უპირატესობა ჰქონდა: ურთიერთშეხვედრაში 85:75 მოუგო ესპანეთს, ამიტომ მეოთხედფინალში თავად გავიდოდა, ესპანეთი კი — შინ წავიდოდა.

მატჩი ისე დაიწყო, იფიქრებდით, სლოვენია საცაა შუაზე გაგლეჯს საფრანგეთსო. მე-3 წუთზე 9:4 იგებდნენ, მე-5-ზე — 15:6. ფარქვეშ რადოსლავ ნესტეროვიჩმა მუსრი გაავლო ფრედერიკ ვეისს, დანეუ და ზდოვცი სამქულიანებს აგებდნენ. მე-10 წუთზე ანგარიში 26:10 გახდა. ამ დროისთვის ფარიც სლოვენიელების იყო (20:12). ფრანგებს არაფერი გამოსდიოდათ. ეგ იყო, ტიერი გადუმ ორი ბურთი ჩააგდო, მაგრამ სლოვენია უფრო გამხეცდა და მე-14 წუთზე ყველაზე დიდი, 19-ქულიანი სხვაობა დაფიქსირდა — 33:14.

საფრანგეთი გონს სირილ ჟულიენმა მოიყვანა. მან ერთი-ორჯერ ბურთი მოხსნა, ხოლო სტეფან რისაშემ სწრაფი გარღვევები გააჩერხა. სხვაობა კი შემცირდა, მაგრამ სლოვენიამ მაინც ათი ქულით მოიგო ტაიმი.

მეორე ტაიმის დასაწყისში ფრანგები 7 ქულით მიუახლოვდნენ მეტოქეს (47:40), მაგრამ იურკოვიჩმა და მილიჩმა მოინდომეს და ზუსტად ტაიმის შუაწელში სხვაობამ 15 ქულას მიაღწია (57:42).

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ სლოვენიას აქამდე მოედანზე მხოლოდ ექვსი მოთამაშე გამოეყვანა: სასტარტო ხუთეულს (ზდოვცი, დანეუ, იურკოვიჩი, მილიჩი, ნესტეროვიჩი) ხანდახან სმოდისი (სულ 9 წუთი ითამაშა) ეხმარებოდა. მერე ცოტა ხნით კრალევიჩი (7 წუთი) და დრაგშიჩი (6 ქულა) შეიყვანეს. აი, ეს იყო მწვრთნელ ბორის ზრინსკის შეცდომა — სლოვენიელთა ხუთეული გადაიღალა და წინააღმდეგობის უნარი დაუჩლუნგდათ.

34-ე წუთზე საფრანგეთის რიგებში ტარიკ აბდულ-ვაჰადი დაბრუნდა და ერთ შეტევაში სამი ქულა გააკეთა (ბურთს პლუს საჯარიმო). სხვაობა ექვს ქულამდე შემცირდა (59:53). აბდულ-ვაჰადმა დაინახა, რომ სლოვენიელებს არაქათი ეცლებოდათ და თანაგუნდელების აყოლიება დაიწყო. ჯიმ ბილბამ და ანტუან რიგოდომ ზედიზედ ჩააგდეს სამქულიანები და ანგარიში გაათანაბრეს (63:63, 37-ე წუთზე). ერთი წუთიც არ გავიდა და იმავე რიგოდომ და აბდულ-ვაჰადმა კვლავ შორიდან იმარჯვეს (68:65 საფრანგეთის სასარგებლოდ, 38-ე წუთზე). ამ ოთხმა სამქულიანმა მთლად მოუღო ბოლო სლოვენიას, რომელმაც დარჩენილ დროში ვეღარაფერი მოასწრო. ესპანეთმა კი გაიხარა: მეოთხედფინალში პრაქტიკულად დაკარგული ადგილი სლოვენიამ დიდსულოვნად დაუთმო.

მატჩის შემდეგ სლოვენიის მწვრთნელი ბორის ზრინსკი ლობე-ყორეს მოედო და დამარცხების მიზეზების გარდა ყველაფერზე ისაუბრა: „ვულოცავ საფრანგეთს გამარჯვებას. რთული თამაში შემოატრიალეს. აბდულ-ვაჰადი შესანიშნავი იყო, მაგრამ ყველაზე დიდი ზიანი რიგოდომ მოგვიტაან".

ფრანგთა დამრიგებელმა ჟან-პიერ დე ვინჩენციმ კი სლოვენიის ნაკრებს მადლობა გადაუხადა, ისეთი თამაში შემოგვთავაზეს, რომ ჩვენი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენება მოგვიხდაო.

### ესპანეთი 88:74 ისრაელი

(I ტაიმი 36:31)

ესპანეთი: ანგულო (6), კორალესი (3), დე ლა ფუენტე (13), დე მიგელი (12), ერეროსი (12), ხიმენესი (2), რეიესი (19), როდრიგესი (16), რომერო (5)

ისრაელი: ამსალემი, კოენ-მინცი (3), დანიელი, გუდესი (3), ჰენფელდი (12), კატაში (8), საფარი (1), შეფერი (17), შელეფი (16), შტეინჰაუერი (10), ტაპირო (1), თორჯემანი (3)

### რუსეთი 76:68 იუგოსლავია

(I ტაიმი 36:31)

რუსეთი: კუდელინი (6), პეტრენკო (2), კისურინი (12), ე.პაშუტინი (9), კურაშოვი (6), ზ. პაშუტინი (20), ავლეევი (9), პანოვი (12), ნოსოვი

იუგოსლავია: ბოდიროგა (14), დანილოვიჩი (8), ობრადოვიჩი (6), ლონჩარი (5), გუროვიჩი (12), შჩეპანოვიჩი, სტოიაკოვიჩი, დივაცი (13), ტარლაკი (6), ტომაშევიჩი (4), ტოპიჩი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| *იუგოსლავია* | 6 | 5 | 1 | 443:386 | 11 |
| *საფრანგეთი* | 6 | 5 | 1 | 414:384 | 11 |
| *რუსეთი* | 6 | 4 | 2 | 441:409 | 10 |
| *ესპანეთი* | 6 | 3 | 3 | 439:454 | 9 |
| ისრაელი | 6 | 2 | 4 | 416:467 | 8 |
| სლოვენია | 6 | 2 | 4 | 405:421 | 8 |

ლე მანი

## F ჯგუფი

### ლიტვა 74:62 იტალია

(I ტაიმი 39:35)

ლიტვა: იასიკევიჩიუსი (4), მ. ჟუკაუსკასი (2), მასიულისი, შტომბერგასი, ე. ჟუკაუსკასი (1), ადომაიტისი (2), საბონისი (25), კარნიშოვასი (19), მასკოლიუნასი (3), ეინიკისი (14), პრაშკევიჩიუსი (4)

იტალია: ბონორა, ბაზილე, გალანდა (6), ფუჩკა (4), მარკონატო, დე პოლი (4), მაიერსი (8), მენეგინი (16), აბიო (5), მიანი (3), კიაჩიგი (11), დამიაო (5)

ჯგუფის ბოლო მატჩი სანახაობრივად ძალიან კარგი გამოდგა. და იცით რატომ? იმიტომ, რომ ორივე გუნდის შემადგენლობაში ბევრი ძლიერი კალათბურთელი თამშობს. თანაც იმ შეხვედრაში მოედანზე გასულთაგან, ერთ-ერთი ძალიან, ძალიან, ძალიან დიდი მოთამაშეა. მხედველობაში არვიდას საბონისი მყავს, ვინაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი კლასი, ქულებიც ბლომად დააგროვა, მოხსნებიც და პასებიც. და ყველაფერ ამას იგი ისე კარგად აკეთებდა, განსაკუთრებით პასებს, რომ...

შეხვედრის ორივე მონაწილეს მეოთხედფინალში თამაში უკვე დაბევებული ჰქონდა. გასარკვევი ერთი რამლა იყო, ვინ დაიკავებდა პირველ ადგილს და ვინ მეორეს, ანუ ვის შეხვდებოდა საკმაოდ ძლიერი ესპანეთი და ვის უფრო ძლიერი რუსეთი. მოგება ლიტვამ შეძლო და მასაც შესაბამისად E ჯგუფის მეოთხეადგილოსანი ესპანეთი ერგო, იტალიელებმა კი რუსებთან ჭიდილში უნდა მოიპოვონ ნახევარფინალის საგზური.

ლიტველთა თავკაცმა იონას კაზლაუსკასმა შეხვედრა ორი ტანმაღალი კალათბურთელით, საბონისით და ეინიკისით დაიწყო, რათა იტალიელეთათვის ფარი თავიდანვე მოეგო. ამის საპირისპიროდ აპენინელთა ბოსნიელმა მწვრთნელმა ბოგდან ტანევიჩმა სასტარტო ხუთეულში გრეგორ ფუჩკა და რობერტო კიაჩიგი დააყენა. თუმცა ფარიდან ასხლეტილი ბურთებისთვის ბრძოლაში მაინც ლიტვამ იმარჯვა, საბონისი კი ცამეტ ასეთ ბურთს დაეუფლა.

ტაიმი თანაბრად მიმდინარეობდა, წინ ძირითადად ლიტველები იყვნენ, მაგრამ მენეგინის ზუსტი სამქულიანი ტყორცნის შემდეგ აპენინელები 29:26 დაწინაურდნენ. აქ კი საბონისმა ზედიზედ ოთხი ქულა მიითვალა: ერთი საჯარიმო ჩააგდო, მეორე ვერა, მაგრამ ბურთი კვლავ მის ხელში აღმოჩნდა და „პორტლენდის" გიგანტმაც ნახტომში ესროლა. ორ ქულასთან ერთად მან კიდევ ერთი საჯარიმოს უფლება მოიპოვა, რომელიც ზუსტად გამოიყენა და კვლავ მისი გუნდი დაწინაურდა — 30:29. ეს ერთქულიანი სხვაობა პირველი ნახევრის ბოლო წამებამდე შენარჩუნდა, მანამდე სანამ სირენის შემდეგ არტურას კარნიშოვასის 6,25 ხაზის გარედან ნასროლი ბურთი იტალიელთა კალათში არ ჩაეშვა — 39:35.

შესვენების შემდეგ ბალტიისპირელები უფრო ლაღად ათამაშდნენ და ხუთ წუთში მეტოქე უკვე თოთხმეტი ქულით ჩამოიტოვეს — 52:38. ანგარიშში სხვაობა ამის მერეც იზრდებოდა, რადგან იტალიელებმა მოწინააღმდეგის გაუვალ დაცვას გასაღები ვერაფრით მოარგეს (მხოლოდ ხუთი (!) ქულა მეორე ტაიმის პირველ ათ წუთში), ლიტველები კი ზუსტად ისროდნენ. შეხვედრის ბოლოს კაზლაუსკასის შეგირდები ცოტათი მოეშვნენ და იტალიამაც სამარცხვინო ანგარიშით წაგებას თავი დააღწია.

### გერმანია 102:85 ხორვატია

(I ტაიმი 50:49)

გერმანია: ნიურნბერგერი, ბოგოევიჩი (12), ვუხერერი (2), ტომიჩი (32), ფემერლინგი (10), ტერდენგე (4), არიგბაბუ, ოკულაჯა (11), ნეესი (10), ნოვიცკი (21)

ხორვატია: კრსტიჩი (6), მულაომეროვიჩი (11), მრშიჩი (8), კუკოჩი (14), პრკაჩინი (15), ზადრავეცი (10), გირიჩეკი (13), რუჟიჩი (5), ვუიჩიჩი (3)

### ჩეხეთი 73:78 თურქეთი

(I ტაიმი 37:36)

ჩეხეთი: ჩუდეკი (3), პ. ველში, ვაჰალა, შტუხლი, ი. ველში, კლაპეტეკი, ოკაჩი (14), ბარტონი (20), ტრემლი (14), იდესი, ნოვაკი (4), ბეჩკა (18)

თურქეთი: თუნჩერი (9), თურქოღლუ (15), თურქჯანი (17), ერდემი (2), ქონუქი (3), ილდირიმი (4), ქუთლუაი (6), ოქური (2), ბეშოქი (2), ფარსი (6), სარიჯა (12)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| *ლიტვა* | 6 | 5 | 1 | 467:401 | 11 |
| *იტალია* | 6 | 4 | 2 | 427:385 | 10 |
| *თურქეთი* | 6 | 4 | 2 | 377:371 | 10 |
| *გერმანია* | 6 | 3 | 3 | 420:432 | 9 |
| ხორვატია | 6 | 3 | 3 | 444:454 | 9 |
| ჩეხეთი | 6 | 3 | 3 | 434:470 | 9 |



სლოვენია — საფრანგეთი. ივიცა იურკოვიჩი (№13) ფრანგი ტიერი გადუს (№11) გზაზე

პარიზი

**მეოთხედფინალი**

1 ივლისი

| | | |
|---|---|---|
| 1 | რუსეთი — იტალია | **17:00** |
| 2 | იუგოსლავია — გერმანია | **19:15** |
| 3 | საფრანგეთი — თურქეთი | **21:30** |
| 4 | ესპანეთი — ლიტვა | **23:45** |

პარიზი

**ნახევარფინალი**

2 ივლისი

| | |
|---|---|
| **1** ნაგ — **2** ნაგ | **17:00** |
| **3** ნაგ — **4** ნაგ | **19:15** |
| **1** მოგ — **2** მოგ | **21:30** |
| **3** მოგ — **4** მოგ | **23:45** |

პარიზი

**ფინალი**

3 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| მე-7 ადგილისთვის | 14:45 | მე-3 ადგილისთვის | 18:45 |
| მე-5 ადგილისთვის | 16:30 | პირველი ადგილისთვის | 21:00 |

*პირველი ხუთი გუნდი ითამაშებს სიდნეის 2000 წლის ოლიმპიურ თამაშებზე*

# კასპაროვი დედამიწას ეომება



ივნისმა ჭადრაკის ისტორიაში ერთი მსოფლიო დონის ტურნირიც ვერ ჩაწერა, ურიცხვი პატარ-პატარა მემორიალები კი რა სათვალავში ჩასაგდებია — აქ ძირითადად წვრილფეხობა იმაღლებდა ოსტატობას, ასე რომ, მათ რაიმე განსაკუთრებული პრეტენზიები ვერც ექნებოდათ. ერთადერთი საყურადღებო, რასაც ფინიშს მიწეულ თვეში ჩაეყარა საფუძველი, ფირმა „მაიკროსოფტის" პროექტი გახლავთ — „კასპაროვი მსოფლიოს წინააღმდეგ". 21 ივნისს მსოფლიოს ჩემპიონმა პირველი სვლა გააკეთა, ხოლო პასუხის გაცემა ხელეწიფება ნებისმიერს, ვისაც „ინტერნეტის" კომპიუტერულ ქსელთან მუშაობის საშუალება აქვს. საკმარისია გაიაროთ რეგისტრაცია და თქვენ შეუერთდებით ჭადრაკის პროფესიონალ და დილეტანტ მოყვარულთა დიდ არმიას და მათთან ერთად ეცდებით უპირველესის დამხობას, თუმცა აქედანვე გეტყვით, რომ არა მგონია (და ამ აზრს მრავალი გამოთქვამს), მსოფლიოს ნაკრებმა პლანეტის უდიდეს საჭადრაკო ურჩხულს რაიმე დააკლოს, თუნდაც იმიტომ, რომ მსოფლიოს ნაკრების სვლა კეთდება საყოველთაო კენჭისყრის შემდეგ, უმრავლესობის პრინციპით ანუ გადის სვლა, რომელსაც მოთამაშეთა უმრავლესობა აირჩევს; მოთამაშეებში კი... არა, პატიოსნად მოფიქრალიც ბევრი იქნება, მაგრამ იმდენი სიკეთე მე და თქვენ, მკითხველო, რამდენიც კასპაროვთან უსაქმობისგან მთქნარებაავარდნილი და ჭადრაკის სახელმძღვანელოში ჩაუხედავი თამაშობდეს. ეს, ცხადია, არ ნიშნავს იმას, რომ ყველაფერი უკვე ცნობილია, მით უმეტეს, რომ „მაიკროსოფტმა" მსოფლიოს ნაკრებს ოთხი ექსპერტიც მიაშველა — ისინი „ინტერნეტში" თავიანთ სვლებს ათავსებენ და ამით ერთგვარად ხელს უწყობენ დანარჩენებს სწორი სვლის გაკეთებაში, თუმცა ახლა ამ ექსპერტებზეც ვთქვათ: 16 წლის ფრანგი ეტიენ ბაკრო, ჩვენი ზურაბ აზმაიფარაშვილის შეგირდი; 19 წლის ფლორინ ფელეკანი — აშშ-ის ჩემპიონი იუნიორებში; 15 წლის ექსოდესელი და ამჟამად აშშ-ის ქალთა ჩემპიონი ირინა კრუში და ბოლოს 14 წლის გერმანელი ელიზაბეტ პეტცი, ვინაც თავის დროზე თავად კასპაროვმა ბევრი [illegible] ნაჭიდრი ახალგაზრდობაა, თუმცა ამ სახელების ჩამოთვლისას ჯერჯერობით, არ ჩანს [illegible] კასპაროვის ან [illegible] მასთან მიახლოებული მოჭადრაკის გვარის ხსენებას რომ ახლავს. თუმცა, შევეშვათ ახლა ამას და მარათონული პარტიის საწყისი სვლები გავარჩიოთ. თეთრებით კასპაროვია, რომლის პირველმა სვლამ დაგვარწმუნა, რომ ჩემპიონი მსოფლიოს ლია ბრძოლაში ეპატიჟება, ანუ ეს სვლა გახლდათ ოსტაპ ბენდერის საყვარელი 1.e2-e4; არც მსოფლიოელებს დაუწყიათ გაუკვალავი გზებით სიარული და მათმა პასუხმა პარტიაში უძველესი და უბერებელი დებიუტის — სიცილიური დაცვის გათამაშება დააფიქსირა... ამის შემდეგ კიდევ სამი სვლა გაკეთდა, რომელთაც ქვემოთ იხილავთ.

დავით გულუა

**კასპაროვი — მსოფლიო**

1. e2-e4 c7-c5
2. მg1-f3 d7-d5
3. კg1-b5+ კc8-d7
4. კb5:d7+ ლd8:d7




## სპარტაკის ბიჭმა ჰა-ჰა დააფასა

განთქმული ამერიკელი მსახიობი და პროდიუსერი მაიკლ დუგლასი გასულ უქმეებზე საფრანგეთში ყოფილა და იქ ფორმულა 1-ის მანი კურის რბოლას დასწრებია. გამარჯვებულთა მისალმებაში დუგლასისთვის ვერავის მოუსწრია. ფრანგული რბოლის მომგები გერმანელი ჰანც ჰარალდ ფრენცენი (მეტსახელად ჰა-ჰა) და მეორე ადგილზე გასული ფინელი მიკა ჰაკინენიც ალალად ესალმებიან კინოს ფორმულების კარგ მცოდნეს.




REUTERS პარიზიდან

## ჩვენი რუბენასი

გასულ უქმეებზე მანი კურის ტრასაზე ნაბრძოლ ბრაზილიელ მეფორმულეს რუბენს ბარიკელოს ლამანში გადაუკვეთავს და უიმბლდონის ტერასაზე ჩამომჯდარა თანამემამულე გუსტავო კუერტენის საქომაგოდ. კუერტენს შვეიცარიელი ლორენცო მანტა დაუმარცხებია, რუბენსი კი მარტო არ ყოფილა, გვერდით რომ ქალი უზის, რუბენსის ცოლია, სილვანა ჰქვია და ქმარიც უყვარს და ჩოგბურთიც.



REUTERS ლონდონიდან

## დაგვიანებული წვიმა უიმბლდონში



REUTERS ლონდონიდან

*წლევანდელ უიმბლდონს ამინდმა მხარი დაუჭირა. იმ გაგებით, რომ წვიმა შეჯიბრის მეშვიდე დღესლა მოვიდა და თამაში შეწყვიტა. ერთი რივითი მაყურებელი ტია მეტერელი ცას ასცქერის და სანახაობის წახდენას თუ ნანობს. თუმცა, წვიმას დილიდანვე ელოდნენ — სამხრეთ ლონდონის თავზე იმოტოლა შავი ღრუბლები შემოჯარულიყო, რომ...*

**ავსტრია**

I ტური

ტიროლი 2:1 რაპიდი

**შვედეთი**

XII ტური

დუირგარგენი 4:1 მალმიო

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; **ინფორმაციის რედაქცია** ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29